

შაკლინ სირაძე

სელოვანის გზა

* ღრამა ხუთ მოქმედებად *

ესეი –

პამლეტის ნიღაბს ამოფარებული სელოვანი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2008

საუბარი საუბრამდე

* * *

წიგნს ვუძღვნი
ჩემს მარადიულ მეგობარს
მანანა ნიპულიშვილს

გადამფრენი ჩიტების ოდნავ სველი, გლუვი და თეთრ-მსუბუქ ფრთათა იდუმალი შრიალი მომწვდა.

თითქოსდა ჩემი სულისმიერი თვალი ჭვრეტდა, თუ როგორ შეირხა სიტყვისა და ცის მისტიური კავშირი და შედუღაბდა.

ამ წიგნით „ხელოვანის გზა“, რომელიც გავასრულე, ხომ იმას ვცდილობდი, ჩემში წმინდა გულის ფარულ სწრაფვას დავწეოდი, რათა ის ბოლოს და ბოლოს ქცეულიყო იმად, რაც ჩემში თრთოდა და მოძრაობდა, ქცეულიყო ღვთის სიტყვად, სუნთქვად, ცის უსასრულო სიციხფრედ და სიწმინდედ.

თითქოსდა ვიღაც, ჩუმად, თანმდევედა და ბრძენის სიტყვებს ჩამჩურჩულებდა:

– „ცაზე დააკაკუნე და მოუსმინე მის ხმას.“

მაგრამ, საბოლოოდ, იმის ნაცვლად, რომ სრული სიმშვიდით შევემოსილიყავი, ურთიერთმონაცვლე გრძნობათა გორგალი ყელს გამეჩხირა და სუნთქვის საშუალება არ მომცა. ერთი მხრივ, დიდ სინარულს განვიცდიდი, რომ ჩემი უკვდავი სული გამთლიანდა, ცით დაიბადა (ჩუმად! ჩუმად! – ნუ ხითხითებ, შენ თანამედროვე კრიტიკოსო!), მეორე მხრივ, კი სინანულის მწარე განცდამ მომიცვა, რომ ის, რისკენაც ვისწრაფვოდი, განუხორციელებელი დარჩა და ბოლოს, მესამე, იქნებ ყველაზე უმთავრესი, შიში და თრთოლვა, რომ სასამართლოს წინაშე უნდა წარვსდგე. ამ სასამართლოს კი ის საზოგადოება წარმოადგენს, რომელიც იყო, არის და იქნება. მაგრამ პირველი სიტყვა ხომ უდაოდ იმ საზოგადოებას ეკუთვნის, რომელიც ჩემი დრო-სივრცეიდან, ჩემი საუკუნის მაჯისცემისგან იქსოვება და მეც, ვინც ეხლახან წიგნი გავასრულე, გადავწყვიტე, საბრალოდ-ბულო დასკვნამდე წინასწარი ჩვენება მივცე საზოგადოებას.

მაშ, ასე! სიტყვა წარმოთქმული (ოდნავ ფილოსოფიური) საბრალოდ-ბულო დასკვნამდე.

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2008

© ჟ. სირაძე

ISBN

ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი

* * *

ხელოვანი თავისი შთაგონების გზაზე გარდაუვალი კანონზომიერების წყალობით მარად აწყდება იმ ზღვარს, თავისი გენიალურობისა და ერთადერთობის ნიშნად რომ ეგონა, მაგრამ თავისდა გასაოგნებლად აღმოაჩენს, რომ უნიკალურობის იქით, მხოლოდ და მხოლოდ ცნობილი ბერძნული მითია, ან უკვე აღიარებულ შედეგთა სიუჟეტები. მაგრამ ამაში გასაოცარი არც არაფერია. ეს ხომ კანონზომიერი მოვლენაა. ბერძნული მითი თუ უკვე ცნობილ ავტორთა შედეგების სიუჟეტები თავიანთ თავში უკვე ატარებენ სამყაროს სულისმიერ რუკას, მის არქიტექტონიკას, თუ პროექტის ესკიზს. ეს ის მონეტებია, რომლითაც ნებისმიერი ამბის შესყიდვა და მოპოვება ხდება შესაძლებელი. ეს ის მარცვლებია – სამყაროს არსს, მის გულისგულს რომ გამოხატავენ და გადაგვიხსნიან.

და როცა ჩემს სულში სამყაროს მარცვალზე, მის მოძრავ სულზე მოვინდომე თხრობა ჩემდაუნებურად იმ წიგნის სიუჟეტი შემოვხაზე, რომელმაც (თუ არ გამიწყრება თანამედროვე მკაცრი და ირონიული მკითხველი) ფიგურალურად ვიტყვი, სასიკვდილო ჭრილობა მომაყენა. ეს წიგნი შექსპირის₁ „ჰამლეტია“₂.

ამ წიგნის დაუსრულებელი კითხვა უფრო და უფრო მაფიქრებინებდა, რომ ეს ის მონეტაა, რომლითაც ყველა ამბავი აიხსნებოდა, ოდნავ შუქ-ჩრდილებით დაბურული საგნები კი ყოფიერების საიდუმლოებაზე მიმანიშნებდა. ეს მოციმციმე მონეტა კი, იმ სიბრძნედ მესახეობდა, რომელზედაც პლატონი₃ ოდესღაც წერდა და გვირჩევდა, რომ მოგვეპოვებინა₄.

* * *

ერთხელ ჯ. ჯოისის₅ „ულისეს“ კითხვისას, აღფრთოვანებულმა ამოვიწერე ჰამლეტის ინტერპრეტაცია.

– „ალგებრის მეშვეობით ამტკიცებს, რომ ჰამლეტის შვილი-შვილი შექსპირის პაპაა და რომ თვითონ იგი საკუთარი მამის აჩრდილი.“

ჯ. ჯოისი „ულისეს“

და მე შლევური აზრი მეწვია და ჩემ თავს დავეკითხე:

– ნუთუ შექსპირისთვის ჯოისისეული ვერსია ჰამლეტისა უცხო და მიუღებელი უნდა ყოფილიყო?

„ჰამლეტში“ შექსპირის სულის სიშიშველე, ხან მამის აჩრდილის სახით გვეცხადება, ხან ჰამლეტის იგავმიუწვდომელი მონოლოგებით, იმ ზღვარს რომ აღწევს, როცა სიგიჟის ვარსკვლავები უკვე სიბრძნისეულ გზებს გვიმჟღავნებენ და ცხადი ხდება შექსპირის ყოვლისმხედველი სულის თვალი უკვე იცნობდა ჯოისისეულ ვერსიას. ამის დასტურად გამოდგება თავდაღმა მდგარი სიბრძნე მასხარასი, სიშლევის ენით, პარადოქსების მეშვეობით სულის უღრმესს საკითხებზე რომ საუბრობს.

მოდით, გავიხსენოთ, თუ როგორ მიუყვება მასხარას ძრწოლა თანამედროვე სიბრძნის პარადოქსალურ გრეხილს:

– ”

მასხარა:

– კაცის ტვინი რომ უცებ ქუსლებში მოექცევა, რას იტყვი, კოჟრები არაფერს დაუშავენს?

ლირი₇:

– როგორ არ დაუშავენს.

მასხარა:

– მაშ, გიხაროდეს, შენი ტვინი წაღებში აღარასოდეს მოექცევა.“

შექსპირი „მეფე ლირი“

ან, მოდით, ჰორაციოს⁸ ირონიულ პასუხს მოვუსმინოთ და ასე ვეზიაროთ შლეგური სიბრძნის ირონიას:

- „ბერნადო:
- ჰორაციო, მგონი შენა ხარ?
- ჰორაციო:
- მგონი, ისა ვარ.“

უ. შექსპირი „ჰამლეტი“

ამ ფრაგმენტებით ცხადი ხდება, რომ შექსპირი ჯოისს კარგად იცნობდა⁹. მაგრამ მე სხვა რამ უფრო მაინტერესებს:

– რატომ არის შემოსილი შექსპირის დრამებში სული ამდენი „ტანთსაცმლით“? ამდენი ადათ-წესებით? ან, რატომ აღიძვრის ჰამლეტის სიმაღლის სული, ეს წმინდა სული მამის მკვლელობის გამო შურისძიებად და რაც ასე, ერთი შეხედვით, ალოგიკურია, შურისძიების აღსრულების შემდეგ ის ამოწურავს კიდეც თავის არსებობას:

ჰამლეტი, ადარ არის ჰამლეტი

და მე ასე მომეჩვენა, რომ ჰამლეტისნაირი კაცისთვის შურისძიება მიტმანნილი ამბავი იყო, უფრო ზუსტად კი ცილისწამება:

და შემდეგ ჩემს თავს დავეკითხე:

– და მაინც რატომ უკავშირდება და ეწვნის ერთი მეორეს ინგლისის თავისუფლება, ჰამლეტის სიკვდილი და მისი უსაზომო ტკივილის გარეთ გამოსახება?

და მე იმასაც ჩავწვდი, რომ სულის სიშიშვლე ნაძალადევად შემოსეს და ეს იმითაც გამჟღავნდა, რომ ტრაგედია კომედიად გარდაისახა.

ბოლოს კი შექსპირის ეს უცნაურობა, საუკუნის იდეალით ავსხენი. ეს იდეალი ის სულისშემხუთველი ტანთსაცმელია თავისი ადათ-წესებით, რომელიც მოითხოვს მიმოფანტული ბოროტება სხვადასხვა გმირებში ზღაპრული ჯოხის მეშვეობით შეიკრიბოს და ბიძად გარდაისახოს.

ტრაგედია ფარსს ემსგავსება, ამბის დასასრულს აღმოჩნდება, რომ ყველა გმირი კეთილია, ყველა გმირი ბრძენია, ყველას უზო-

მოდ უყვარს სამშობლო ინგლისი. მოკლედ, ყველა ერთი მეორის სიყვარულით არის განმსჭვალული, მაგრამ რაღაც სიზმარეული, ბუნდოვანი ფარდის გამო, მათობელი ბანგივით, გონებას რომ აბნელებს, ამ დრომდე ეს არავინ არ იცოდა.

და მე დავეკითხე ჩემს თავს:

– კი მაგრამ, რაშია საქმე? რამ განაპირობა რომ თავად ისეთი გენიოსიც კი თავისი სინდისის სიწრფელეს ამდენი მაქმანებითა და ამდენი ამბებით ხუთავს? თუმცა შექსპირის გენიას ამ ხელოვნურობაშიც ძალუქს მოგვასმენინოს სინდისის ხმა, ხმა სისხლის გამყინავად რომ ჩაგვესმის.

ჰამლეტი – თავისი მამის გასისხლიანებული გვამის იქით აღმოაჩენს ახალ ფანჯარას¹⁰, საიდანაც სხვა სამყარო მოჩანს, რომელიც მის ფარულ ოცნებას, წმინდა გულის მონახაზს არ ემთხვევა. მისი ღვთიური ცრემლის სიწმინდით მოქსოვილი, კაშკაშა მზით გასხვიოსნებული და სიყვარულის უანგარო მდინარით მორწყული სამყარო იშრიტება.

ის სამყარო, დაირღვა ყველა საგანს სიწმინდის სიმებით რომ აერთიანებდა და გამოჩნდა ბნელი კუთხეები და იქ განმხოლოებული საგნები და გაუცხოებული ადამიანები.

ჰამლეტი, ვნებისგან განწმენდილი სულია მაღალ მისტიურ საფეხურზე ასული და მისი ფარული ოცნება, მხოლოდ სულის გამთლიანებაა და ნატვრა მიწიერობისგან სავსებით განთავისუფლება.

- „რად არ მეშლება ეს სხეული ესრედ მაგარი რად არ გადნება და ცის ნამად არ იქცევა!“

უ. შექსპირი „ჰამლეტი“

რად არ ვიქცევი ცის ნამად? ღვთის ცრემლად?

ცის ნამად ქცევა

– ასე განცხადდება მასში ღვთის სიყვარული, თუმცა ეს ვერ ხორციელდება. რადგან ვიღაცამ ჰამლეტის ოცნებას, მზის კაშკაშა ამ ნათელში ლაქა აჩვენა – მამის გასისხლიანებული გვამის სახით.

ამ ბოროტების, მკვლელობის, ღალატის, უსამართლობის დაუჯერებლობა ქმნის მთავარ ფრაზას:

– „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის.“¹¹

შემთხვევითი სულაც არ არის, რომ კრიტიკოსთა უმრავლესობა ჰამლეტის ქმედებას არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს, რადგან ჰამლეტის ქმედება თუ აზრი გარეგანი თვალისთვის დაფარული რჩება. ჰამლეტის გონიერებაში საიდუმლოება შექსპირის გენიის ფარდია და შექსპირი ვერც კი აგვიხსნიდა, თუ რატომ დაწერა ეს პიესა. წერა აქ სიცოცხლისთვის აუცილებელ ერთადერთ გზად იქცევა, როცა წერის პროცესი სუნთქვის პროცესს მიუყვება, ეს სუნთქვა სულიერი მდინარის მიმყოლია – ყოველი საგნის ცაში ჩაგარდნას რომ ნატრობს და ზეიმობს.

– და რას ნიშნავს ეს?

იმას, რომ თუ რაიმე, კონკრეტული პასაჟის ახსნა დაგვკვირდება, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შექსპირი, როგორც ეს მისთვის მეტისმეტად დამახასიათებელი რამ, ტექსტში თავის გმირს ერთ რაიმეს ათქმევინებს და აქვე, მის სულში სულის სხვა მოძრაობა იხაზება.

მაგალითად, ჰამლეტი პიესაში თუმცა კლავს პოლონიუსს, მაგრამ სინამდვილეში ის არ არის მკვლელი, რადგან „ჰამლეტს“ არათუ არ შეუძლია მოკლას ვინმე, არამედ ამაზე ფიქრიც კი თავზარს სცემს მას. და თუ პიესაში ჩვენ მაინც ვხედავთ, რომ ის დანას ჩაასობს პოლონიუსს¹², რომ ამ უკანასკნელს სისხლი სდის და ბოლოს კვდება კიდევ, ეს ჩვენ უნდა წავშალოთ, როგორც ფუჭი ზმანება, როგორც ისეთი ქმედება, რომელიც ჩვენ გასასულელებლად არის გათამამებული, რათა ჰამლეტის ენიგმა კიდევ უფრო დაიფაროს და ხელშესახები ვერ გახადოს.

ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ შექსპირი მოხერხებულად ახერხებს დაწეროს ერთი რამ და შთაგვაგონოს კი სხვა რამ, მაგრამ ეს უფრო დაფარულის ვერგამოთქმის გამო ხდება.

მეორე მაგალითი კი ასეთია: ჰამლეტი ჩუმად თვალს ადევნებს

განმარტობაში მლოცველ ბიძას, მისი მამის მკვლელს. და აქ შექსპირს დასჭირდა ტყუილი ეთქვა. კერძოდ, ჰამლეტი ამ დროს იმის განსჯას იწყებს, რომ თუ ის ლოცვისას ბიძას მოკლავდა მაშინ ბიძა უეჭველია სამოთხეში მოხვდებოდა.

მაგრამ ასე ხომ მხოლოდ პრაგმატული გონების ადამიანს, სისხლისმსმელ მკვლელს ძალუძს განსაჯოს. მაგრამ თუ მაინც-დამაინც ჰამლეტის ქმედება და აზრი ასე არასწორად მოჩანს, ეს იმიტომ რომ თავად ჰამლეტი თავისთავსაც კი ვერ უმჟღავნებს თავისი უბიწო სულისა და უბიწო სიბრძნის გამო მისთვის უმთავრეს აზრს. –

– „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის.“

და თუმცა ჰამლეტი პიესაში მუდმივად და უგონოდ იმეორებს ამ ფრაზას, მაგრამ შექსპირმა ის ტექსტში მხოლოდ ერთხელ დაწერა. ის უთქმელად, უჩუმრად იგულისხმება ყოველი ფრაზის იქით... ჰამლეტი ყოველ ამოსუნთქვას ამ ფრაზით იწყებს და ამთავრებს. ეს მეშჩანისთვის ნონსენსია, როგორც დიოგენეს მიერ მზით გაკაშკაშებულ ქუჩებში ანთებული ფანრით სიარული. და ეს მეშჩანის თვალთ ნონსენსი გვიმჟღავნებს იმ გზას, რომელსაც სული გაივლის შეშლილობის ყველა მდგომარეობაში, რათა მოიხილოს სამყაროს ყოველი საგანი და ყოველ სახეს ნილაბი ჩამოგლიჯოს. ჰამლეტის ნებისმიერი ნაფიქრი, ნებისმიერი ამოღვრა, ნებისმიერი ფრაზა – ამ უსიტყვო, გამოუთქმელი ტკივილით უნდა გავხსნათ.

ამიტომ ყველაზე არაზუსტია და აბსურდული ტექსტის პირდაპირი, სწორხაზოვანი კითხვა-გაგება. მხოლოდ აღქმას, რომელიც ცდილობს მიჰყვეს ჰამლეტის ფარულ, სულიერ გზას არის სწორი.

მაგალითად, ჰამლეტი ოფელიას ეუბნება:

– მე შენ არ მიყვარხარ.

აქ ჰამლეტი გამოაჯაგრებს საკუთარ გრძნობას, ის ამ გრძნობით თამაშობს, ასე ეთამაშება ტანჯული, ნაწამები სული თავის ყვე-

ლაზე სათუთ გრძნობებს, რომელიც მისთვის უკვე მიუწვდომელია. თითქოსდა, ერთი შეხედვით, არასწორია ჩემი პარალელი:

„...ვინაიდან, ზორციტ ვნებული აღარა სცოდავს“.

მოციქულ პეტრეს¹³ პირველი წერილი. თავი 4.1.

მაგრამ განა ჰამლეტმა სხეული არ მოიკვეთა, როცა თავის სულიერ გზას გაუყვა? მისი ტანჯვით განწონილი სულისთვის ამქვეყნიურ სიამოვნებას არ შეიძლება ის ფასეულობა ჰქონდეს, რაც ჩვეულებრივი კაცისთვის.

ჰამლეტი ფაქტიურად ამბობს, რომ იმ კაცს, ვისაც ოფელია უყვარდა ან ეგონა, რომ უყვარდა, იმ კაცსა და დღევანდელ ჰამლეტს შორის, უზარმაზარი მანძილი დევს.

და მაინც, ჰამლეტისთვის ოფელია რჩება ძველი, ჰარმონიული სამყაროს ანასხლეტად, ნათებად. ამიტომაც ის ურჩევს ოფელიას¹⁴, თავი დამალოს, დაფაროს, რათა გადაურჩეს წუთისოფლის ბოროტ კანონზომიერებას:

– „მონასტერში წადი, მონასტერში!
რად გინდა ქვეყანაზე ცოდვიანები გაამრავლო“.

უ. შექსპირი, „ჰამლეტი“

მოკლედ, ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ფრაზა:

– „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“.

ჰამლეტის სულიერი მდინარის მთავარი მამოძრავია.

ეს ფრაზა ერთდროულად გვიმჟღანებს ჰამლეტის სიდიადეს და სისუსტეს, რადგან მისთვის დაუჯერებელია, რომ ბოროტება შეიძლება არსებობდეს. მაგრამ სწორედ ეს დაუჯერებლობა და „არცოდნა“, რაც მის სულიერ თვალს უზუსტესად აცნობინებს დაფარულის საზრისს.

აღმოსავლური მისტიური სიბრძნის შრეებიდან, თუ შევეცდებით ჰამლეტის ტექსტის წაკითხვას, ყველაზე მცდარ გზას დავადგებით. რადგან აღმოსავლური სიბრძნე ბოროტებას ილუზიად მიიჩ-

ნევს, ამ დიადი აჩრდილის – ბოროტების თანამდევნი ორი მთავარი აჩრდილება:

ტანჯვა და სიამოვნება.

თუ რეალობა და მისი თანამდევნი ბოროტება ცუდი და უსარგებლო სიზმარი – სუმრობაა, მისგან განსათავისუფლებლად სავესებით საკმარისია სულიერი გამოფხიზლება – გამოღვიძება, და არა ჰამლეტისებრი ტანჯვა და გვემა. უფრო მეტიც, ყოვლად ფუჭია და უსარგებლო ადამიანი გრძნობდეს ტკივილს იმის გამო, რომ ბოროტება არსებობს.

საკუთარი თავის შემეცნებით, ჩემმა შინაგანმა ხედვამ უნდა წაშალოს ეს სასაცილო აჩრდილები.

მაგრამ ჰამლეტი, არც აჩრდილად მიიჩნევს ბოროტებას, არც უსარგებლო სიზმრად. მთელი პიესის ენიგმურობა სწორედ ჰამლეტის დაუჯერებლობაში, მის ბავშვურ მიაშიტობასა და სიწრფელეში ძვეს, რომელიც ხედავს ბოროტებას და ვერც ხედავს. მასში ღვთაებრივი იმდენად დიდია, რომ დანახული, მოსმენილი და განცდილი მამის სიკვდილი დაუჯერებელიცაა და თან მისი მამოძრავებელიც.

ღვთაებრივი მასში ამბობს, რომ სამყარო მხოლოდ სინათლეა, უმანკოებაა, სიბრძნეა, სიყვარულია და რწმენაა. და ეს ღვთაებრიობა მასში იმდენად დიდია, რომ ის, როგორც ყოველი კაცი, კი არ მიემართება ცხოველის ნაბიჯებით, ბუნების უტყვი ხმით ღვთაებრიობისკენ, არამედ მასში ღვთაებრივი ძალმოსილება (სასობა) იკვირვებს მის გარეთ მყოფ ბოროტებას. უფრო ზუსტად კი, ადამიანური მისთვის იმდენად უცნოა, რომ როცა აიძულეს – მამის მკვლელობით – დაენახა ბზარი, ლაქა, უსამართლობა, მკვლელობა, ტყუილი, ფლიდობა, მრუშობა და ცოდვა, მისმა უბიწო სულმა ეს ვერა და ვერ დაიჯერა. მას არა მარტო თავად არ ძალუძს შესცოდოს, ანუ შური იძიოს ბიძაზე, არამედ თავად ფიქრი ამაზეც კი თავზარს დასცემდა.

ზოგიერთი კრიტიკოსი აქილევსის ქუსლად მიიჩნევს¹⁵ ჰამლეტის უმოქმედობას, მაგრამ აქ დავიწყებულია, რომ ყოველი დიადი სული უმოქმედობით არის დალდასმული, რადგან ის

ღვთაებრიობის პირმშოა, და ყოველი ქმედება მას თავისთავს, თავის ღვთაებრიობას განამორებს კიდეც₁₆.

ჰამლეტის ერთ ფრაზაში, წამის მეათედ ტანჯვასა და რყევაში კაცობრიობა ხან ჰარმონიულ, სინათლით განათებულ მთელად იქცევა, და ხან კი წამის მეათედში არარავდება და უფსკრულის სიმავეში უაზროდ ინთქმება. ეს კოსმოსის უსასრულობის მოხილვაა ერთი წამის მეათედში და იმ შლეგური აზრების წყებაა, საბოლოოდ სიბრძნეში რომ იკრიბება. მაგრამ თავად ამ რყევასა და ამ სიდიადეში უტოლდება ადამიანი ღმერთს.

ამიტომაც სტ. მალარმე₁₇ ასეთ რაღაცას იტყვის ჰამლეტზე, რასაც აღენ რენე ასე იხსენიებს:

– „ჰამლეტი ეს არისო გამოუვლენელი, განუზორციელებელი ღმერთი, რომელსაც არ შეუძლია გახდეს ის, რაც არის.“

და როცა ისევ და ისევ დავეკითხე ჩემს თავს:

– რას ნიშნავს ჰამლეტის იჭვი? მისი მერყეობა?

მყის ის აზრი მეწვია, რომ ჰამლეტი აუცილებლად ხელოვანი, პოეტი უნდა ყოფილიყო. ხელოვანი, ვიდრე თავისი ქმნილებითა და გენიით დაიფარება, ვიდრე არცერთი გრძნობა, არცერთი გაელვებული ფიქრი არ ქცეულა სტილის, ამ „მკვდარი“ და გაწონასწორებული გონების პირმშოდ₁₈. მაშასადამე, მასში სულის ყველა ნაწილი ბორგავდა და ცოცხლობდა. და მე ვიცანი ჰამლეტის ნამდვილი სახე. ხელოვანი, რომელსაც თავისი ტკივილი ახსოვს, ხელოვანი თავისი ცხოვრება წინდაწინვე ზეპირად რომ იცის. მე ცხადია, იმ გამორჩეულ ხელოვანზე ვსაუბრობ, წერის პროცესამდე თეთრი ფურცლის წინაშე თრთოლვა, რომ იპყრობს. სწორედ ხელოვანი ჰამლეტში წარმოთქვამს ამ ფრაზას:

– ჩემთვის კი არ ჩანს, იგი არის.

ეს სიტყვები ხომ მხოლოდ იმ კაცს შეეძლო წარმოეთქვა, ვინც გონებით კი არ ალაგებს სამყაროს საგნებს, ან მათ ემოციის უნებურებით კრავს რაიმე ჯგუფად. მით უფრო უნდა გა-

მოირიცხოს საღი გონების მკაცრი ლოგიკა. აქ მოჩანს კაცი, ვინც ჭკრეტს, ანუ ის, ვისაც უკვე მოპოვებული აქვს თავისი სამყარო, ის, ვინც ხელახლა, მეორედ დაიბადა ცით₁₉.

ამაოდ ფიქრობენ, რომ ხელოვანი ნაბიჯ-ნაბიჯ, ანუ ნაწარმოებებით, საფეხურებრივ მიემართება თავისი თავისკენ და ასე ქმნის იგი თავის სამყაროს, საქმე უფრო რთულადაა. ხელოვანს თავიდანვე გააჩნია თავისი სამყარო, ვიდრე წერას, ხატვას ან მუსიკალური ქმნილების თხზვას შეუდგებოდეს ანუ ის თავის მჭვირვალე ცრემლში მოქცეულ მსოფლმხატვით „მოძრაობს“, თავისი ტკივილით განწონილი საგნებით.

– ჩემთვის კი არ ჩანს, იგი არის.

ანუ ჰამლეტი ამბობს:

– საგნები კი არ ჩანან, ისინი მყოფობენ.

ანუ ისინი აბსოლუტურ ჭეშმარიტებას გვთავაზობენ მის სამყაროში.

და არ არსებობს მანძილი მასა და სხვა საგნებს შორის, რადგან ისინი მის სულში მყოფობენ. ამით ხელოვანში მოძრავი „წმინდანის“ გზას ვგუძანობთ, რომელიც მზის სხივივით გადაკვეთს უნივერსუმს₂₀.

ხელოვნებაში დაუწერელი აქსიომა არსებობს:

– საგნები ისეთნი არიან, როგორადაც მას ხელოვანი გვთავაზობს, ანუ როგორადაც ის იყვარებს ამ საგნებს.

ამიტომაც ნებისმიერი ხელოვნების ნაწარმოები, როგორი დეფინიციაც არ უნდა შემოგვთავაზოს ქრესტომათიის სახელმძღვანელომ, უდაოდ იდეალისტურია, – რაც ეტიმოლოგიურად სწორედაც „ხედვას“ უკავშირდება.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ საგნები ხელოვანის სამყაროს კანონზომიერებაში არიან მოცემულნი და მისი ხილვის იგავმიუწვდომელ ნა-

თელში მოჩანან. ამ დროს აღდგენა ხდება იმ ცნობიერების, რომელიც ადამიანს სამოთხეში ჰქონდა, როცა ის ღმერთს პირისპირ ჰყვრებდა.

მოდით, აღვადგინოთ მთლიანი ტექსტი:

– „ჩემთვის კი არა ჩანს, იგი არის.

ჩენა რას ჰქვია, ჩემს გულისთქმას ვერ გამოაჩენს

ვერც მელნისფრად შეღებილი წამოსასხამი,

ვერც მგლოვიარედ წესისამებრ ძაძებში ჯდომა

ყველა ეს ჩანს, ყველას ძალუმს მათ მითვისება,

მაგრამ მე გულში მაქვს რაღაც, გარწმუნებთ, იგი

არ საჭიროებს მწუხარების მოკაზმულობას“.

უ. შექსპირი, „ჰამლეტი“

ჰამლეტის ენიგმა კაცობრიობის ენიგმაა. ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, თუ რა არის სული. იოანეს სახარებაში ეს ასე აღიწერება:

„ქარი სადაც სურს, ქრის, და გესმის მისი ხმა, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და საით მიდის. ასევეა სულის მიერ ყველა შობილიც“.

იოან. 3. 8

გამოუთქმელია სული და მისი თანამდევი სევდა, რაც ჰამლეტს ჰამლეტად აქცევს. ამიტომაცაა აუცილებელი და კანონზომიერი კაცი ცბუნდებოდეს და კრთომა იპყრობდეს ჰამლეტის სიდიადის წინაშე. მოდით, ისევ გავიმეოროთ ეს სიტყვები:

„მაგრამ

მე გულში მაქვს რაღაც,

გარწმუნებთ, იგი

არ საჭიროებს მწუხარების მოკაზმულობას“.

უ. შექსპირი, „ჰამლეტი“

ჰამლეტი ამ სიტყვებს წარმოთქვამს ამაყად, როგორც სულიერი კაცი, დიდ ტანჯვას რომ ატარებს და მით წვრთნის თავის სულს. ის თავად გრძნობს იმ სიდიადეს, რასაც ავალებს თავისში მყოფი ღვთაებრივი ნათება.

ხელოვანის გამოუთქმელი, სწორედ ეს გულში მოთავსებული უზომო მწუხარებაა, ის სევდა სამყაროს, რომ დაეფინება, რადგან მისი დასაბამი ციდან მომდინარეობს და ისევ ცაში ბრუნდება.

ციდან ცაში მოგზაურობაა ჭეშმარიტი ხელოვანის გზა და ჭეშმარიტება, რომელსაც იგი მოიპოვებს მის მიერ ცაში დათესილი სულისმიერი თესლიდან აღმოცენებული სულიერი ხის ნაყოფია.

მისი ბაგეებით მღვიძარე ღმერთი მეტყველებს²¹, და ის ამით უპირისპირდება ყალბ საზოგადოებას, მკვდარ და ჩაძინებულ ადამიანებს თავიანთი ხელოვნური თამაშით, მრავალი სახეებით და ნიღბით, რომ ცდილობენ იმიტაცია გაუკეთონ სინამდვილეს²².

– „ყველა ეს ჩანს, ყველას ძალუმს მათ მითვისება.“

უ. შექსპირი, „ჰამლეტი“

სხვაგან ის ამ აზრს ასეთ კომენტარს უკეთებს:

– „ღმერთმა ერთი სახე მოგცათ, თქვენ მეორეს იკეთებთ, დახტით, თამაშობთ, დაჩურჩულებთ, მეტს სახელს უგონებთ ღვთისგან გაჩენილ ადამიანს და ამ უწესო ქცევის მიზეზად უმანკობას ასახელებთ“.

უ. შექსპირი, „ჰამლეტი“

ღმერთმა თავისუფალი არჩევანი ყოველ კაცს უბოძა, ნიჭი სულიერ გზაზე სვლისა და თავისი სამყაროს შექმნისა.

ჰამლეტი ამ ტექსტით დასცინის იმ კაცის მდგომარეობას სწორედაც თავის ბოძებულ ნიჭს რომ უარყოფს და გახევებულ-თოჯინურობით ამაოდ ცდილობს ითამაშოს „სულიერობა“ სხვადასხვა ნიღბით.

და ის ყოველთვის იმ წესრიგს ექვემდებარება, რაც ლოგიკის ენაზე დოსტოევსკის თარგმანით ნიშნავს $2+2=4$. ჰამლეტის გზა, ცხადია, დოსტოევსკის სიტყვებით: $2+2=5$ -ია. $2+2=4$, – როგორც დოსტოევსკი წერს, – შეუმსხვრევი კედელია, ბუნების გარდაუვალობა და წესრიგი. ბუნება იცავს და მფარველობს ამ ბრმად მიმყოლ არსებებს.

ჰამლეტის დედა, დედოფალი თითქოსდა თავის თავზე ამბობ-
დეს:

– „შენც კარგად იცი, ეგე წესი საერთო არის,
რაც ცოცხალია, ყველა კვდება და მიწას ტოვებს საუკუნო-
თვის“.

უ. შექსპირი, „ჰამლეტი“

ის ამ სიტყვებს აუღელვებლად წარმოთქვამს, ისე როგორც
მეშჩანის არასოდეს აღელდება იმ საგნებით, რაც მის პირადულს
არ შეეხება. მეშჩანის პირადული კი მხოლოდ მის ვნებიან „სამ-
ყაროს“ გამოხატავს, ანუ ის მხოლოდ ძალმომრედ არის დაკავ-
შირებული სამყაროსთან²³. მას წარმართავს სიკვდილის შიში და
ათიათასი მისი სახესხვაობა. ეს არის შური, ავხორცობა, სიხარბე,
სიძუნწე, მრისხანება, შურისძიება და ა. შ. და ა. შ. ის მხოლოდ
მაშინ „მოდრაობს“, როცა მის „მაერთს“ ეხებიან, ანუ როცა მას
ართმევენ თავისი ვნების საგანს. ის აზარტულ თამაშში არის
ჩართული, – წააგებინეთ ფული და ისიც „ამოდრავდება“, ისიც
„აღელდება“. თუმცა სინამდვილეში მას არც ღელვა შეუძლია,
არც წუხილი, არც სიხარული და არც სევდა.

როცა ლაროშფუკომ²⁴ მონინდომა უზუსტესი ანალიზი მოეცა
ყოფიერებაში მომქმედ ადამიანთა შესახებ, მან ჰამლეტისნაირი
კაცი გამოტოვა:

– „ანგარება ყველა ენაზე ლაპარაკობს. თვით უანგარობის
ენაზეც კი“.

რადგან ჰამლეტი გამონაკლისია, ამოვარდნილია საზოგადოების
ჩვეული წესიდან და, ცხადია, მისი ყველა ქმედება უანგაროა, მას
მხოლოდ ერთი სახე აქვს – მასში გამოსჭვავის ერთი არსისადმი
ერთგულება, ანუ ის ჭეშმარიტი გზის სინათლის მიმყოფი სულია,
რომელიც თავისი სინამდვილითა და სინათლით შემაშინებელია ამ
ათასი გზებით მოსიარულე ადამიანისთვის. ამიტომაც ის იძულებ-
ულია სიგიჟის ნიღბით გვეჩვენოს. თუმცა ჰამლეტის სიგიჟე
ეს არის ისეთი რამ, რომლის ჩაწვდომა ძალიან ცოტა ადამიანს
თუ შესწევს. მაგალითად, ოფელიას გულუბრყვილო და უმანკო
სული გუმანობს, რომ ეს საშიშია, რადაც თავზარდამცემია და

მიუღებელიც მისი სულისთვის. და თუმცა ჰამლეტს ძნელად და
მაინც შეუძლია აიტანოს დიდი ტკივილიც, სამყაროს ბზარი,
ბოროტება, ლაქა, – მამის გასისხლიანებული გვამის სახით რომ
განცხადდა მის წინაშე, მაგრამ ოფელიას ეს არ შეუძლია, რადგან
მასში მხოლოდ სინათლე და სიწმინდეა, – ბზარი კი ვერასოდეს
ჩააღწევს მასში, ამიტომაც ის პირდაპირ ისე, რომ არ ჰყოვნდება
აღმოჩენილი ბოროტების წინაშე (როცა გაიგებს, რომ მამამისი
მოკლეს და მკვლელი კი ჰამლეტია). ის მას იშორებს, ვით
მისთვის მიუღებელ და უცხო საგანს და ასე პირდაპირ, უბიწოდ
გადადის თავის წარმოსახვით სამყაროში, რაც თარგმანში გიჟის
სამყაროა.

ჰამლეტის სიგიჟესა და ოფელიას სიგიჟეს შორის უზარმა-
ზარი უფსკრულია. ჰამლეტი თამაშობს სიგიჟეს, იგონებს მას,
ანუ ის „ზეპირად“ იცნობს თავის სიგიჟეს. არავინ იფიქროს, რომ
ეს სიგიჟე მსუბუქი თამაშია. გალაკტიონი ასე წერდა ამ „ცხადი
სიგიჟის“ შესახებ:

– „არის გზა, არის ნელი თამაში
და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო!“.

გალაკტიონი

ამიტომ, არამცთუ არაზუსტია, სასაცილოც კი არის ის მო-
საზრება, რომელიც ამბობს, რომ ჰამლეტი ვითომცდა სუსტი
არსებაა, – პირიქით, არ არსებობს უფრო ძლიერი და ამტანი არ-
სება, როგორც ჰამლეტია. ჰამლეტის ვითომცდა სისუსტე, არის
მისი სიძლიერე – ის ამ „სისუსტით“, ანუ ტკივილის მიღებით
ხდება ის, ვინც არის.

ამიტომაცაა, რომ ჰამლეტი არც არაფერს ქმნის, მაგრამ ეს
იმიტომ კი არა, რომ ძალა არ შესწევს. არა, საქმე პირიქითაა.
მას ყველაფერი შეუძლია, მაგრამ მას არ შეუძლია ერთ რაიმეში
გამოიხატოს.

მისი ტკივილი, სიხარული, სევდა მთელ სამყაროს განე-
კუთვნება, ისე როგორც ქრისტეს სიყვარული თანაბრად არის გან-
ფენილი და განწონილი ყველა საგანში, სულიერსა თუ უსულოში.

მისი პიროვნების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველაფერია ერთდროულად, – ის ფილოსოფოსია, ის თეოლოგია, ის ისტორიკოსია, ის ხელოვანია, – ერთდროულად მუსიკოსი, მხატვარი, პოეტი... მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, არამც და არამც ერთი რამ. ის ისეთივე გიგანტური და ამოუცნობი ფიგურაა, როგორც ეგვიპტის ქურუმები, რომელთაც ხელდასხმის შვიდი საფეხური ჰქონდათ განვლილი²⁵.

რაიმედ ქცევა ჰამლეტისთვის თავისი თავის დალატია. თუმცა ის მაინც ხელოვანია, რადგან ის კი არ ემზადება, როგორც ხელდასხმული ღვთაებრივის ხილვისთვის, არამედ მარად რჩება იმ მდგომარეობაში, რასაც შეიძლება გამოუთქმელის ერთგულების სამზადისი ვუწოდოთ.

და როცა ჰამლეტში ხელოვანი დავინახე – დრამის მოქმედებამ თავისთავად ხელოვნების სამყაროში გადაინაცვლა. ჰამლეტი ემანუელად გარდაისახა, დიდებული ორფეოსის შვილად და გზის გამგზავლებლად. ბიძა, – თანამედროვე ხელოვნების მეუფედ, – მთავარ პოეტად გარდაისახა, დედა-დედოფალი – ცხოვრების სიმბოლოდ, ხოლო ოფელია კი ფსიქეა იყო, – ეს მოფარფატე პეპელა, ეს ჰაერში მოლივლივე ფოთოლი, – ყოველ შედეგში ჩასაიდუმლოებულად რომ ძევს... აი, ასე ნელ-ნელა გარდაისახა შექსპირის „ჰამლეტი“ იმ ნაწარმოებად, რომლის გამომხეურებას დღეს ვაპირებ.

* * *

და თუმცა უ. შექსპირი იყო, ვინც შთამაგონა ეს პიესა, მაგრამ არსებობს შთაგონების სხვა წყაროც. ეს ზოგიერთი თანამედროვე ლიტერატორთა ნაწერებია. მაგრამ უმთავრესი წყარო კი ლორენსის²⁶ ცნობილი მოსაზრებებია ჰამლეტის შესახებ.

– „ჰამლეტის ჭეშმარიტი საწუთრო სექსუალურია.

ახალგაზრდა კაცი შეძრწუნებულია დედამისის სისხლის აღრევის გამო. სექსს აქ ახასიათებს ისეთი ველური და უჩვეულო შიში, როგორც მას აქამდე არასოდეს გააჩნდა... ჰამლეტში სჭარ-

ბობს შეძრწუნებული ზიზღი დედის ფიზიკური ურთიერთობის მიმართ, რაც მას აიძულებს ზიზღით უარყოს ოფელია და თვით მამაც, აჩრდილის სახითაც კი ზარავს... ფიზიკური ურთიერთობის უბრალო ხსენებაც კი, მას ზარავს, თითქოს ეს არნახული ნაკლია²⁷.“

შემდეგ ამ დაუჯერებელი განსჯის თუ ცილისწამების განშლა მიმდინარეობს:

– „დარწმუნებული ვარ, რომ შექსპირისეული მამის მოკვლის კომპლექსიც, ჰამლეტის შიშიც დედის, ბიძის, ყველა მოხუცის მიმართ გამომდინარეობს იმ შეგრძნებიდან, რომ მამებს შეუძლიათ გადასცენ სიფილისი ან მისი შედეგები თავიანთ შვილებს.“

და მკითხველი დაბნეული იკითხავს:

– სად ბოროტების ამ ზომის განცდა, რომელიც მხოლოდ იმ კაცს შესწევს, ვინც წმინდანობის სიმალემდეა ასული და, რასაც მოჰყვება ის მონოლოგები, რომელიც ადამიანის სულის ყველა ჟღერადობას გაგვიმჟღავნებს და სად ლორენსის აკვიატებული ფიქრი სექსუალობაზე, ინცესტსა და სიფილისზე?

და შეიძლება ლორენსის მოსაზრება უბრალო ხუმრობად მიგვეჩინა, რომ არა ის ფაქტი, რომ თანამედროვე სამყაროს სწორედ ლორენსით ეს აზრები აკვიატებია და მისი მოძღვარი ზომ ზიგმუნდ ფროიდი.

და მე გამბედაობა უნდა მომეხმო, რათა გამეცნობიერებინა ჩემი თავის წინაშე, რომ ჩვენ ეპოქას ზგ. ფროიდის²⁸ ფსიქოანალიზმა სხვა სახე მისცა. მან ღვთაებრივი გზნება და ცეცხლი ჩაუქრო ჩვენი სიცოცხლის წვესს – ღვთის რწმენას – ლოცვის ჟამს წარმოთქმულ ჩვენ სიტყვებს რომ ამოძრავებდა, სამყაროს და ადამიანის სულს ღვთაებრივი შუქით რომ ავსებდა, უსახური თარგმანი შეუქმნა – მისი ანატომისტური სურათი.

თითქოსდა მან კომპიუტერივით გადაიღო სიცოცხლის უღრმესი და იღუმალ შრეთა ასლები, შემდეგ კი ისინი უსასრულოდ გადაამრავლა და მისი ყველაზე ფერმკრთალი ასლი შემოგვთავაზა.

ამ უსახური ასლით შესძლო ამოეყირავებინა ჩვენი წარმოდ-

გენები სამყაროზე და ღრმად დაფარული ჭეშმარიტება ზედაპირზე დაეფინა.

ზიგმუნდ ფროიდის კვალი მოჩანს ნებისმიერი თანამედროვე მოაზროვნის ნაწერებში, განუსხვავებელია თუ რას კვითხულობთ. იქნება ეს ხელოვნების ქმნილება თუ ფილოსოფიური ნააზრევი, ყველა მათგანში ვპოულობთ აბსოლუტური რწმენის რღვევას, ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის ერთგული, მზით გასხივოსნებული გზის ჩაქრობას და მის ნაცვლად ათი ათასი შესაძლებელი გზის ჩენას. და უმთავრესი კი ისიცაა, რომ ამ უსასრულო ასლების სამყაროში გაბერწებული ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის მიერ საკუთარი ნააზრევის ვერდაჯერება და მისით ვერნეტარებაა. რადგან მას ყოველთვის გარედან მაცქერალი თვალი მიუძღვება, რომელიც მას შიგნით, თავის თავში კი არ ამზერინებს, რათა მოკვდეს და ხელახლა დაიბადოს ამ ერთადერთი, მზით გაკაშკაშებული ერთგული გზისთვის, არამედ ამ კაშკაშა მზის წინაშე რჩება დაუბადებელი – და თავისი სიკვდილის ვერდამნახავი, არარადჰყოფილი და ასე იქმნება გონებისთვის დაუჯერებელი უსასრულო და უნაყოფო სულის გამომფიტავი შესაძლებლობები.

უსაფუძვლოა და სასაცილოც კი ჰამლეტის თანამედროვე გმირად წარმოჩენა. ისევ გავიხსენებ ჰამლეტის მთავარ მამოძრავებელ აზრს:

– ცის ნამად ქცევა.

ანუ ჰამლეტს სურს მისი მიწიერი ცხოვრება წაიშალოს და ის ღმერთის ხილვაში განიმქვრეს და ამ დიდი ოკეანის უსასრულობაში წვეთ-წვეთად ჩაიღვაროს.

მაგრამ, მეორე მხრივ კი, ის იზიარებს მამის სიტყვებს, რომელიც მას შემდეგ წარმოითქმის, რაც ჰამლეტმა უკვე შეიტყო ბიძის მიერ მამამისის მოკვლის ვერაგული ფაქტი:

– „...ამ ამბავს, რომ შენ არ აღენთე, მაშინ იმ უმსგავსო ბალახად არ ეღირებოდი, რაც ქვესკნელის ლეთის ნაპირებზედ სიმსუქნით ღებება“.

უ. შექსპირი, „ჰამლეტი“, გვ. 52

ამით მამა ჰამლეტს მიანიშნებს, რომ ტანჯვა ადამიანის მოვალეობაა და რომ ძრწოლა, რომელიც ჰამლეტის შემდგომ ცხოვრებას განწონის, თავიდანვე მამის მიერ დასტურყოფილია. ის იწონებს ჰამლეტის მომავალ ცხოვრებას, რომელიც ტანჯვისგან განთავისუფლებას კი არ ესწრაფვის, არამედ ცდილობს თავისი ტანჯვის, თავისი ტკივილის ერთგულება შეინარჩუნოს.

და თუმცა თანამედროვე ადამიანი ტანჯვისადმი ერთგულებას ირჩევს²⁹, მაგრამ არა იმისთვის, რათა ამაღლდეს, არამედ რათა დაეცეს და დაკნინდეს.

ჩვენ ყოველწამს, ტელევიზორით, წარმოსახვითი მსოფლიოს სარკეში მატერიალური სამყაროს მუჯღუგუნს შევიგრძნობთ³⁰, ის არაფრით არ გვაცლის კინო-შედევრში ღრმად შევადწინოთ. რადგან მას უფლება აქვს, ძალმომრედ შეწყვიტოს ჩვენი ღრმა აზროვნება, ამაღლებული განცდა, ჩვენი სათუთი ფიქრების წყება, რათა უსაზომოდ გაზარდოს უმნიშვნელო საგანი (საპონი, შამპუნი, სარეცხი ფხვნილი და ა. შ. და ა. შ.). და ისეთი ფასი დაადოს მას, რომ ლამის ის წარმოგვიჩინოს ადამიანის არსებად.

ის, რაზედაც ჰამლეტი ასე მკაცრად საუბრობს, როცა ჰორაციოს ესაუბრება:

– „აბა, მიჩვენე ჯერ ისეთი კაცი სადმე, რომელიც მონად ვნებათღელვას არ განდობია და მასაც შენებრ აქ ჩავისვამ, აქ გულის სიღრმეში“.

თანამედროვე ადამიანი კი ლამის თავის მოვალეობად თვლის ვნებათღელვას აჰყვეს, – და მუდმივ თავის გულისთქმას მოუსმინოს.

და ეს იმიტომ, რომ ადამიანი „იქ გაჩერდა“, რაც უმაღლესი ძალებისგან აკრძალული ჰქონდა. „აქ შეჩერება“ იმ უმნიშვნელოს გამოდევნებასაც გულისხმობს, მას ანეგლოტურ შრეში რომ აგდებს. ფრიდრიხ ნიცშე³¹, თანამედროვე ეპოქის „სინდისი“ ამ შრეზე ასე წერდა:

– „სამად სამი ანეგლოტი იკმარებდა ადამიანის დასახსნაიათებლად“³².

ვინმემ შეიძლება თქვას:

– ჰამლეტს თავზარი დაეცემოდა ამ თანამედროვე „სარკეში“ ჩახედვისას.

მაგრამ განა ჰამლეტი დღეს არ არსებობს? არსებობს და ისიც მღუმარედ, მწუნარედ შეჰყურებს იმ სიშლეგეს, რასაც თანამედროვე სამყარო ჰქვია.

ალბერ კამიუ³³ ასე წერდა თანამედროვე ადამიანზე:

– „ჩვენ მხოლოდ დაახლოებით თუ წარმოვადგენთ რაიმეს“.

ა. კამიუ, „დაცემა“³⁴

ჰამლეტი იტანჯება, თუმცა მან არჩევანი გააკეთა ბოროტებასა და სიკეთეს შორის და ეს სიკეთეა, სინათლე, სიყვარული, სიბრძნეა.

თანამედროვე გმირი კაცი – უფრო პილატეს მოავაგვს, ჰოსა და არას შორის რომ არის განიდული³⁵, ერთი შეხედვით, თანამედროვე უკუთვალის მსჯელობით – ის უდანაშაულოა. ის არც იესოს მიმდევარია და არც ბარაბასი, ის არც სიკეთეს უძღვნის თავს და არც ბოროტებას.

თუმცა, როგორც ყოველთვის, არჩევანის ბოლომდე ვერმიმდევარის არჩევანს სხვა დაეპატრონება და ეს სხვა – არარაობაა, – შავბნელი და პირქუში ბოროტების მსახური.

ბერტრან რასელის³⁶ ცნობილი კითხვა, თანამედროვე პილატეს კითხვაცაა:

– „იქნებ სიბრძნე რაფინირებული სისულელეა?“

რადგან ეს კითხვა დასტურყოფაა იმ სისულელისა, რომელსაც თანამედროვეობა სიბრძნედ ასაღებს.

ფედერიკო ფელინი³⁷ ფილმში კითხულობს:

– „იქნებ სიბრძნე კანფეტის შესაფუთი ქაღალდის კიდეზე წერია?“³⁸

ღიას, თანამედროვე ადამიანის სიბრძნე კანფეტის შესაფუთ ფურცელზე ისევე იწერება, როგორ რეკლამის რგოლებში – უმნიშვნელო საგანთა კიდეებს აკვრია.

თანამედროვე ადამიანი ტანჯვით თავისთავის დაკნინებისკენ, დაცემისკენ მიემართება.

ჰამლეტისთვის კი ტანჯვა, სიცოცხლისადმი უდიდესი სიყვარულისა და პატივის მიგებაა. რაშიდაც ის იწრთობა და თავისი მიწიერი ცხოვრების ყველა შესაძლო საფეხურს გაივლის.

ამ დრამით მე მსურდა ილუზიის ტყვეობაში მყოფთათვის ერთდროულად, **ფრთხილად და სასტიკად** თვალები ამეხილა და მეჩვენებინა, რომ ფროიდის მიერ შექმნილი სქემა ოდიპოსის კომპლექსი გახდა ამ ეპოქის სასტიკი განაჩენის ყალიბი და „საზრისი“, რომლის ფარგლებშიც á priori უნდა ჩაემწყვდეს ხელოვანის სათქმელი, რისი წყალობითაც ნებისმიერი ფილოსოფიური ტრაქტატისა თუ ხელოვნების ნაწარმოებში ჩადებული ღვთაებრივი გზის ერთადერთობის გამასხრება მიმდინარეობს. ამ დრამით თანამედროვე სამყაროში შემოქმედის ტრაგიკული ბედის სასტიკი განაჩენის დაძლევის გზაც გამოიკვეთა.

პიესის პერსონაჟები:

1. პერსონაჟი: იესო ქრისტე (მათეს სახარების გათვალისწინებით).
2. პერსონაჟი: – ეშმაკი (მათეს სახარების გათვალისწინებით).
პიესის პერსონაჟები:
 3. ემანუელ – ორფევსის, დიდი პოეტისა და მუსიკოსის შვილი.
 4. სატირი – თანამედროვე ხელოვნების მეფე, ემანუელის ბიძა
 5. ორფევსის სული – ძველი ხელოვნების სამეფოს მეფის სული.
 6. ევრიდიკე₁ – ძველი ხელოვნების სამეფოს დედოფალი
ევრიდიკე₂ – თანამედროვე ხელოვნების სამეფოს დედოფალი.
 7. ფსიქეა – ხელოვანის უკვდავი სულის ნაპერწკალი, მზის სხივი.
 8. აპოლონი – მუზა – ფორმის, სინათლისა და კომპოზიციის ღვთაება ხელოვნებაში.
 9. დიონისე – მუზა, სიცოცხლის დინების გამომხმობი ღვთაება.
 10. აფროდიტე₁ – მშვენიერებისა და სათნოების ქალღმერთი ძველი ხელოვნების სამეფოში.
აფროდიტე₂ – სიმახინჯის, უზნეობის ქალღმერთი თანამედროვე ხელოვნების სამეფოში.
 11. ეროს₁ – აფროდიტეს შვილი, სიყვარულისა და სიკეთის ღმერთი ძველი ხელოვნების სამეფოში.
ეროს₂ – აფროდიტეს შვილი, თავისუფალი სექსისა და ფუქსავატობის ღმერთი თანამედროვე ხელოვნების სამეფოში
 12. ნარცისი – ძველი ხელოვნების სამეფოს დამაარსებლის სახელი.
 13. თანატოსი – სიკვდილის ღმერთი; დიდი სინამდვილის პირველი დედა-მშობელი, ხელოვნების სამეფოს პირველი ბებია-ქალი.

14. ჰელიოსი – დიდი სინამდვილის მეორე დედა-მშობელი; ხელოვანის სამეფოს მეორე ბებია-ქალი.
15. ქრონოს₁ – ღვთიური წრის ჟამადმქცეველი ღმერთი ძველი ხელოვნების სამეფოში.
ქრონოს₂ – დროის მეთვალყურე თანამედროვე ხელოვნების სამეფოში.
16. ერინიების გუნდი – ხელოვანის სინდისის გამღვიძებელი და გამომხმობელი სამი ქალღმერთი.
17. ევმენიდების გუნდი – ხელოვანის თანაგრძნობის, ლოცვისა და ვედრების გამომხმობელი სამი ქალღმერთი.
18. ბაქი ქალების გუნდი.
19. თანამედროვე კრიტიკოსი₁ – არტივა-ი-ქიმერიუსი.
20. თანამედროვე კრიტიკოსი₂ – პავიჩიუსი.
21. თანამედროვე სამი პოეტი.

(სცენაზე იისფერი სინათლეა. ფარდის ახდამდე სცენაზე გამოდის ავტორი, მას თეთრი სამოსი აცვია, სამოსის მარჯვენა მხარეს ყვავილის ფორმის სისხლის ლაქა ატყვია. ასეთივე ყვავილის ფორმის სისხლის ლაქა აქვს სახის მარჯვენა მხარეს, მარცხენა ლოყაზე პიეროს დარად, ცრემლი აქვს გამოსახული. სამოსის შუაგულში კი მესამე თვალია გამოსახული.)

ავტორი:

როგორ შეიძლება ქრისტე მონაწილეობდეს ბერძნულ დრამაში? როგორ შეიძლება ძველი საბერძნეთის, ღვთაებრივი პოეტისა და მუსიკოსის ორფეოსის შვილი თანამედროვე ხელოვანის გზას გვაჩვენებდეს? როგორ შეიძლება შევათავსოთ ბერძნული მითი და კომპიუტერი? სად ახალი აღთქმის ეშმაკი და სად ემანუელო? სად საბერძნეთის მითიური პერსონაჟები და სად შექსპირი, გოეთე³⁹, ილია ჭავჭავაძე⁴⁰, გალაკტიონი, შოპენი⁴¹, დოსტოევსკი⁴², ბეთჰოვენი, ჯოისი⁴³ ან ვალერი⁴⁴?

დიახ, სად ის? და სად ეს?

„და შენ დაიბნევი, ჩემო მკითხველო! ჩემო მაყურებელო!

მაგრამ ყველაფერი ხომ პრეტექსტია! სა-ბა-ბი-ა!!!

რათა თანამედროვე სამყაროს, ხელოვნების სამყაროს შემოიღო კითხვები მოისმინო და გაიაზრო!

გაჰყევი ქრისტეს ხატს, ამ მარადიულ ლოგოსს, ყველა ჩვენთაგანში რომ თვლემს და აქ, ამ პიესაში იღვიძებს და მონაწილეობს, ვით უკვე არსებული და შესაძლო ამბის ინტეგრალი

და შენ ყველაფერს ჩასწვდები!“

ჟაკლინ სირაძე

ავტორი ვადის.

ფარდის ახდამდე, ფარდის წინ გამოდის ფსიქეა⁴⁵ თეთრი მბრწყინავი სამოსით, თავზე მჭკნარი ყვავილების გვირგვინი ადგას, შუბლს მბრწყინავი ვარსკვლავი უნათებს და მთრთოლვარე ხმით წარმოთქვამს:

– სიწმინდე! – არა ნიღაბს დაპირისპირებული და დამიზნებული!

– სიწმინდე, – ცის სიყვარული!

– სიწმინდე! – პოეტის გულით მზის ნათელის მოხილვა და ამბორი!

– სიწმინდე! – სიბრძნის სიმაღლით ღვთაებრივთან საუბარი!

– სიწმინდე! – პოეტის ცის ვარსკვლავად ქცევა!

– სიწმინდე! – ღვთაებრივის დაუსრულებელი წყურვილი!

* პროლოგი *

(სცენაზე იისფერი სინათლეა. თეატრის დირექტორს აცვია ოქროსფერი ტანსაცმელი, ახურავს ოქროსფერივე ჩაჩი, რომლის წვერზე დამაგრებულია ცისფერი ფერის მბრწყინავი ვარსკვლავი. მას ხელში ოქროს ჯოხი უჭირავს. ის ჯოხს ზემოთ, ცისკენ ასწევს და მაყურებელს მიმართავს:

უბირ ადამიანს ხელოვნების დიადი სამეფო
ფუჭი სიზმარი ჰგონია.

ის კი, უფრო რეალურია, ვიდრე ეს მყარი დედამიწა
და უფრო რეალური, ვიდრე ეს სკამი.

(ხელს იშვერს ჯერ მაყურებლის სკამისკენ, შემდეგ მაყურებლისაკენ!)

– ხელოვნების სამეფო ხომ, თქვენს წმინდა გულებში
მკვიდრობს და ფეთქავს.

და თქვენს ზეცნობიერში თვლემს.

ეს მზის სხივია, –

კაცობრიობას რომ ამთლიანებს და ასხივოსნებს.

(ოღნავ ყოვნდება და დატკეპნილად გამოთქვამს):

– ამბობენ, რომ თეატრი ცხოვრების სარკეა?

მაგრამ თუ თეატრი, იმ ცხოვრების ასახვაა,
რაშიდაც ადამიანის სული სულაც არ მონაწილეობს?
რას იტყვით მაშინ? ვის სჭირდება ეს სარკე?

ჩვენ, ვინც ვოცნებობთ მზეზე, ზღვაზე, ღრუბლებზე,
ჩვენი სული ხომ ეს დაუსაბამო, ლაჟვარდოვანი ცაა
მიზეზი ჩვენი სევდისა – უჟამო ცა.

ადამიანი დედამიწაზე იმიტომ დაიბადა,

რომ ფრთები ჰქონდეს.

და რა თავში იხლის ყოველდღიურობას

ამ წვრილმან, მანკიერი ცხოვრების ორომტრიალს,

რაშიდაც ჩვენი სული არარავდება.

ყოველი გმირი, ხელოვანმა სული რომ შთაბერა,

მიმოდის თქვენს შორის მილიონობით გამრავლებული

და შენ! (მიმართავს მაყურებელს) საკუთარი ნებით
თვალეზე რომ გაქვს ხელები აფარებული,
გაჭირვებითა და ცთომით სიბნელეში რომ დახეტილობ,

ის მოგიძვება და გზას გინათებს.
ადამიანი დედამიწაზე მაშინ ცოცხლდება და სულიერდება,

როცა ღვთაებრივზე ფიქრობს და ოცნებობს.

და ზეციურ ცის ნამს ცრემლს ღვრის.

(ისევ შეყოვნდება დ ეშმაკური გამომტყველებით):

– და მაშინ რა გამოდის? მცდარია, რომ თეატრი ცხოვრების
სარკეა?

(აქ ის ცდილობს მაყურებელს თვალეში ჩააცქერდეს):

– მაშ რისი სარკეა?

– სარკეა ფრენის!!!

(თეატრის დირექტორი შთაგონებულ სახეს იღებს და ხელებს
ააფარფატებს ისე, თითქოს ფრთები ჰქონდეს.)

– მე მინდა ავფრინდე ცაში!

სადაც გრძნობები არ არის მთავარი და წარმმართველი!

სადაც გონება, მხოლოდ გონება ვერ დაგვანახებს

ჩვენი სულის სიღრმისეულ გზებს!

ფრენის პროცესის გამოსახვა!

აი, თეატრის უცნაური სარკე.

ეს სარკე ცას უნდა გამოსახავდეს

– ცის მონახაზი ადამიანში.

(ჩურჩულითა და მკაფიო ხმით):

– როცა თეატრში პიესას ვუყურებთ, როცა ჩვენი სულის-
მიერი ხელები ერთმანეთს გადაეჭდობა, სამყაროს გულისგულს
ვწვდებით და მაშინ შინაგანი თვალი ჭვრეტს, თუ როგორ ვცვი-
ვით ცაში და ასე ვმოგზაურობთ გადასულნი ნამდვილი სიცოცხ-
ლის დინებაში და ხელახლა ვიბადებით ღვთიურის მონატრებად.

*** ავტორის გამოსვლა ***

(სცენაზე იისფერი სინათლეა. ჩნდება ავტორი. მას თეთრი სამოსი აცვია, ყვავილის ფორმის სისხლის ლაქა აქვს სახის მარჯვენა მხარეს, მარცხენაზე კი, პიეროს დარად, ცრემლი აქვს გამოსახული, სამოსის შუაგულში კი თვალი.):

– ოქროს ხანაში დროის ღვთაებრივი წრე,
ხელოვანს იმ ოქროს კვეთში ამწყვდევდა⁴⁶,
სადაც ძალისხმევა და მინდობა,
სასწორის ორ პინაზე ერთნაირად დაიდებოდა.
და ასე აღემატებოდა ხელოვანი თავის თავს
ასე ქმნიდა იგი თავის ღვთაებრივ სულს.
მაგრამ ოქროს ხანა დამთავრდა!

ორფევსი მოკვდა! დიდი პოეტი და მუსიკოსი,
სიბრძნის ჭეშმარიტი მცნობელი.

დიდ სინამდვილეს, ერთ მზის სხივად შეკრულს
თავის სიმღერებსა და ლექსებში რომ სდებდა.
მაშინ ხომ ხელოვანი ლაქიდან მზეს ქმნიდა.

(სცენაზე ჩნდება მოხუცი, რომელსაც თავზე თეთრად მბრწყინავი ქვა ადევს და ანათებს, ხოლო გულზე ჩამოკიდებული აქვს უზარმაზარი საათი)

ამ დროს ქრონოსი ხელოვანს თავისთავს სთავაზობდა თავ-
მოდრეკით,

მეფის სიდიადითა და ტირანის შემპარავი მჭერმეტყველებით,
რათა აღსრულებულიყო დროთა დინების წრედ, ჟამად ქცევა.
ადამიანის სული კი ციური სამეფოს ნათელით
ათრთოლებული და გაღვიძებული,

კდემით იწვოდა, და ეს ღვთაებრივი სუნთქვის სიდიადე აი-
ძულვებდა

დაეძლია მასში უწვრთვნილი ცხოველი.

ორფევსის მეფობის დროს
ციური ნათება, მზის ნათელი

ხელოვანს ფსიქეას სახით ეცხადებოდა
(სცენაზე თეთრ სამოსში (და არა კაბაში) ჩნდება ფსიქეა. მას შუბლზე ვარსკვლავი უბრწყინავს. ის ნელი მოძრაობით პირუეტს აკეთებს. თავზე კი მჭკნარი ფოთლების გვირგვინი ადგას. ის ხან ნელ-ნელა მიმოდის, ხან კი შეშლება. ის უნდა გამოხატავდეს გა-
თომილობასა და სიმარტოვეს.)

– და ხელოვანის სულს გარემოცავდა
გამოუთქმელი სევდა და კაემანი.
ვით მჭკნარი ფოთოლი შეიგრძნობდა,
კოსმოსის დიად სიცივეს
და ასე, მზისა და სიკვდილის,
თავზარდამცემი და აღმტაცი იღუმალების,
დიადი ერთის წინაშე წარსდგებოდა⁴⁷.

(სცენაზე ჩნდება თანატოსი⁴⁸. მას შავი ტანსაცმელი აცვია, თეთრი ნიღაბი აქვს აფარებული სახის ნაცვლად. ჰელიოსი⁴⁹ ბრჭყვიალა, ყვითელ სამოსშია გამოწყობილი და თავზე მბრწყინავი ბურთი ახურავს.)

და თუ ის, მოკვდავთათვის
თავზარდამცემ იღუმალებას გაუძლებდა,
მაშინლა დაიბადებოდა იგი ჭეშმარიტ ხელოვანად
მხოლოდ შემდეგ იხილავდა იგი
გარდასახულ, ათიათასი მზით გაბრწყინებულ სამყაროს,
სადაც ყოველი საგანი ხელოვანის
სულიერი თვალის წინაშე
ხელახლა დაიბადებოდა.

(ჰელიოსი და თანატოსი ერთმანეთს უახლოვდებიან, კოცნიან და ეხვევიან.)

– აფროდიტე⁵⁰ ხელოვანის სამყაროს საგნებს
ზნეობის საფეხურებად განალაგებდა
და ასე შეასწავლიდა ხელოვანს
სათნობისკენ სავალ, სათუთ გზებს.

(სცენაზე გამოდის აფროდიტე. მას ცისფერი კაბა აცვია, რომელიც შამპანურის ფერში გადადის. ეს კაბა მჭვირვალე ნაჭრისგან უნდა იყოს შეკერილი. აფროდიტე მეტისმეტად ლამაზია.)

მის მშვენიერ, მაღალ ყელს ამშვენებს მარგალიტის მძივები. აფროდიტე ხელებით სათნოებას განასახიერებს, თავს მდაბლად, ღირსეულად დაგვიკრავს და ისე გადის სცენიდან.)

– ეროსი⁵¹ დედამიწაზე სიცოცხლის წვეწვს ატკობს და ღვთაებრივის გზებით აერთებს დაცალკევებულ საგნებს. ხელოვანს ცეცხლის ენითა და ვარსკვლავთა გიჟური სრბოლით შთაბერავს... და ეს ხომ სამყაროს ხმაა... ქმნილების რიტმი.

მოკვდავთაც რომ ჩაესმით, როცა მათ ყურთასმენა უფაქიზდებათ,

დიდმა პოეტმა თქვა: ის, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს;

ის, რაც ზრდის ხეს; ის, რაც ამოდრავებს ქარს; ის, რაც ჩიტებს აჭიკჭიკებს;

ის, რაც ყვავილთა სურნელებად იფრქვევა.

და როცა სიყვარული – სამყაროს ნამდვილი კავშირი – ჰქრება,

ადამიანებს სევდა იპყრობთ,

(გამოდის სცენაზე ეროსი. მას ვარდისფერი სამოსი აცვია, თავზე მბრწყინავი ლალი აქვს მიკრული მზისფერ ქულზე. ის ლაღად, მზიარულად აკეთებს რამოდენიმე მოძრაობას, მაყურებელს კოცნას უგზავნის, თავს დაგვიკრავს და ისე ტოვებს სცენას.)

– როცა ხელოვანი დიადი ძალის შემცნობი აცახცახდებოდა მოულოდნელად მის წინაშე

მიწის ორი სასტიკი სული დადგებოდა –

დიონისე⁵² და ევრიდიკე⁵³.

დიონისე ველური ჟინით საგანთა ზღვრებს გადაუხსნიდა,

ევრიდიკე კი უჩვენებდა ადამიანის,

სიხარბეს, ავხორცობას, უგონობას,

ანგარებას, ვნებათაღელვით შეპყრობას

და ასე სიგიჟის ზღვარზე მდგარ ხელოვანს.

უნდა დაემღია ეს ორი დემონიური ძალა,

და ასე დაბრუნებოდა ხელოვნების სამეფოს.

ოქროს ხანაში დიონისეს

ხელოვნების სამეფოში ყოფნა ეკრძალებოდა,

ევრიდიკეს კი, ექოს სახელით მოიხსენიებდნენ

ის, ზეციურობით განწმენდილი მიწიერობა,

ის, ფაქიზი მუსიკა – ველური სისხლი, რომ დასძლია

(სცენაზე გამოდის დიონისე, რომელსაც თავზე ვაზის მტევნების გვირგვინი ადგას. მას გვერდს უმშვენებს ქალის ხატი, მშვენიერი ევრიდიკეს სახით, რომელსაც აცვია მჭვირვალე ოქროსფერი სამოსი, სახეზეც ოქროსფერი თხელი ვუალი აქვს ჩამოფარებული)

(სცენაზე გამოდის აპოლონი⁵⁴, მზისებრ ანათებს რომელსაც დიდებული თეთრი სამოსი აცვია, თავი კი დაფნის გვირგვინით აქვს შემკობილი.)

– აი, ის, ვინც ქმნილებას საბოლოო ფორმას ანიჭებს,

ვინც მუსიკასა და მათემატიკას, ღვთის ღიმილად გარდასახავს.

– და ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ

ერინიები⁵⁵ და ევმენიდები⁵⁶ –

თუ ერინიები ხელოვანს სინდისის ქვევით ტანჯავენ

და ასწავლიან უსამართლობასთან ბრძოლას,

ევმენიდები მოწყალებასა და მიტევებას ასწავლიან

და სიყვარულისა და თანაგრძნობისკენ სავალ გზებს უჩვენებენ.

(სცენაზე გამოდის სამი ერინია ბრჭყვიალა მწვანე სამოსით. ხელში სამივეს სისხლით მოსვრილი დანა უჭირავს. გამოდის სამი ევმენიდე. ხელში სამივეს სანთელი უჭირავს და თეთრი, უბრალო სამოსი აცვიათ.)

ფარდა

I ქველება ზმანება

სურათი I

(თოვლი მოდის. ყველაფერი ბურუსშია გახვეული, იისფერი ღომინირებს. ემანუელს სცენის მარცხენა მხარეს დგას და ცისკენ იყურება, პირი ღია აქვს და პირიდან პეპელათა უსასრულო რიგი გამოდის. პეპელათა რიგი მთელ სცენას უნდა კვეთავდეს.)

სცენაზე მრგვალი და წაგრძელებული ფორმის შუშის ყალიბში, ან სინათლის ნაკადში თოვლის სწრაფი ბარდნა გამოისახება (ეს მიკროსამყარო ხელოვანის შინაგანი სამყაროა). მაყურებელს ისეთი განცდა უნდა დაეუფლოს, თითქოსდა თოვლის სწრაფ ბარდნაში, თოვლის ფიფქების რიალის უსასრულობაში თავად შედიოდეს, როგორც ხელოვანი (ემანუელი) შედის თავის სამყაროში.

ემანუელს მოულოდნელად ეცხადება თეთრი, მბრწყინავი სამოსით შემოსილი არსება, მას მკერდზე ცისფერი სისხლი სცხია. მაყურებელმა ეს უნდა აღიქვას, როგორც ემანუელის ზმანება – კოშმარი).

ემანუელი ხმამაღლა:

– შენ მოკვდი! და სამყარო დაცარიელდა.

შენ მოკვდი, მამა! და წყვილია მოსილმა ღამემ

მოიცვა ხელოვნების სამეფო,

რადგან – შენ დატოვე ეს სამყარო.

შენ! შენ! შენ!

(ეხლა ემანუელს დაიჩოქებს. ადგილი, სადაც მამის ორფევის სული თეთრი, სპეტაკი სამოსით დგას, ჩაბნელებულია. ემანუელს ზემოთ ცისკენ იყურება და ისე წარმოთქვამს ამ მონოლოგს:)

– ჩემი თვალები ცარიელია.

და რას ვხედავ ამ სიცარიელეში?

და ეს ქარია, და ეს ქარია, და ეს ქარია.

ქარი ტალღა, ქარი ვარდი, ქარი სამშობლო

და ეს უბრალოდ არაფერია

არაფერი არაფერია⁵⁷.

(ემანუელს დაკვირვებით და გაოცებით აცქერდება თავის ხელებს ეკრანზე (ან სარკეში) მისი გადიდებული, გაოცებული მზერა უნდა მოსჩანდეს. ადგილი, სადაც მამის სული თეთრი სპეტაკი სამოსით დგას, ისევ განათლდება). მამის ორფევის ხმა:

– მე მკვდარი ვარ და შენ გოლებ!

მე მკვდარი ვარ და შენ სიცარიელეს ჩასჩერებიხარ!

მე მკვდარი ვარ და შენი თვალები ცარიელია!

(ერინიების გუნდი, ემანუელს მიმართავენ:)

– შენ ორჭოფობდი!

და ამ იჭვში იღო

მამის სამყაროს უარყოფა

და მისი სიკვდილი.

(მამა განაგრძობს:)

– შენი ხელები სისხლიანია – მაგრამ ეს სისხლი

არ არის წითელი...

მას ვერავინ დაინახავს... ეს შენი ოცნებაა...

ეს შენი ფიქრის ფიქრია...

შენ გსურდა ჩემი სიკვდილი!

(მამის სული მწუხარედ და დანანებით:)

– თუმცა მცნობ კი მე? იცი კი, ვინ ვარ მე?

შენ ხომ ამჟამად იმ სამყაროს პირმშო ხარ,

რომელმაც ციური პური მიწიერ პურს ანაცვალა.

(ერინიების გუნდი მრისხანე ხმით იმეორებენ):

ეს მე ვარ მამაშენი! შენი სინდისი!

შენი ზნეობა და იდეალი!

(მამის სული ამ სიტყვებს ჩუმი ხავილით წარმოთქვამს:)

– როცა ჩემში სიბრძნე

და ცის სიმაღლე ვეღარ დაინახე.

მაშინ, დავიწყე კვლევა.

(მამის სული ხაზგასმულად ხმამაღლა წარმოთქვამს:)

– ვის ძალუმს ღვთის ხმა სავსებით მოისმინოს?!

(აქ კი უკვე ყვირის:)

– არავის! არავის! არავის!

(ეხლა ისე ჩვეულებრივ ტონზე გადადის, ოღონდ მკაცრი ხმით:)

რატომ ხარხარებდი, როცა მე დიდი პოეტი ვმღეროდი?

შენ ამბობდი:

არ შეიძლება უფლის სახელით მეტყველებო.

არ შეიძლება მზის სხივით მოვქარგოთ სათქმელიო.

რად დაეჭვდი, რომ ადამიანს ძალუძს გამოსახოს

თავისი თავი?

რად ხედავდი იქ სიბნელეს, სადაც საგანთა

განათებულ მხარეს ვაჩენდი?

რად ჩაეჭიდე ასე მძაფრად ამ ბოროტებას?

ეხლა კი ტირი! ეხლა კი ძრწინხარ!

შენი ტანი თრთის, ვით ქარით რხეული მოცახცახე

მწვანე ფოთოლი.

თუმცა...

(ის წინ მიიწევს, ემანუელის უფრო უახლოვდება, ხაზგასმული ირონიულობით წარმოთქვამს:)

– შენ ხომ არ შეიძლება რაიმეს ჰგავდე?!

(მამის აჩრდილი ხელს იშვერს ემანუელისკენ, ხაზგასმულად და მკაცრად წარმოთქვამს:)

– ეს შენ მასწავლე! ეს შენ მასწავლე!

(ისევ დამარცვლით, ხაზგასმულად:)

– ა-და-მი-ა-ნი ა-რა-ვის და ა-რა-ფერს არ ჰგავს!⁵⁸

აი, რამ დამაბნია მე! და ჩემზე მეტად კი შენ!

მაგრამ შენ დაივიწყე ძველთაძველი ჭეშმარიტება,

რომ არსებობს ორი გზა, – ორი ხელოვანი.

ერთი, – ლაქას რომ მზედ აქცევს

და მეორე – მზეს, რომ ლაქად აქცევს.

დღეს ხელოვნება წყვილად ღამეში ჩაეშვა.

და საგნები არარად, მზე კი ლაქად გარდაისახა.

ადამიანი არავის და არაფერს არ ჰგავს –

არა! არა! ეს მხოლოდ ნახევრული სიბრძნეა.

ადამიანი ყველაფერს და არაფერს ჰგავს!

ეს არის სიბრძნე – კაშკაშა მზე,

სინათლეს რომ აფრქვევს.

(აქ ჩურჩულზე გადადის:)

– თუმცა, უნდა გაგიმხილო სიმათლეს:

მე მომკლეს და მკვლელი კი ბიძაშენია!

(ემანუელის თითქოს შებარბაცდება და სახეზე ხელებს აიფარებს. შემდეგ ხელებს ცისკენ აღმართავს:)

– რა უცნაურია ეს აზრი, ეს აზრი ხომ ჩემი აზრია?

ჩემი ნაფიქრი? – აზრი, დიდ სინამდვილეში რომ მახედებს,

თითქოს თვალსაწიერი გადამეხსნა და ოკეანის უსასრულო-ბაში ჩავვარდი

და ღმერთის სუნთქვა მომწვდა

და ამ სუნთქვამ გადამიბუგა გონება.

(საკმაო პაუზა.)

და მაჩვენა, მთელი სიცხადით მაჩვენა

რომ მამის სიკვდილმა თან გაიყოლა ღვთაებრივი სამყაროს ნათელი

და ამ სიკეთით ნაძერწი homo moralis!

და მისი ღირებულებანი, მისი ჰარმონიული ნაწილები:

სიბრძნე, სიმამაცე, კეთილგონიერება და სამართლიანობა

რწმენა, სასოება და სიყვარული

და მათი მათი სინდისის ხმა!⁵⁹

ო, რა უაზროდ ჟღერს ეს სიტყვები.

როგორ ჩაეშვა თანამედროვე ხელოვნება წყვილად ღამეში,

ამ წყვილად ღამეს, ხელოვნების ამ თავზარდამცემ კრიზისს, მე ვუწოდებ

აპოკალიპსური ჟამის ხელოვნებას.

ბიძაჩემის, სატირის სასტიკი მკვლელობის შედეგს.⁶⁰

• • • • •

ღმერთო, მიჩვენე გზა ჭეშმარიტი.

სურათი II

(ხელოვნების წარმოსახვით სამყაროში ვიმყოფებით. შორს მოსწანს ცაში ფესვგადმული ტირიფები, ტოტები კი დაბლა აქვთ დახრილი. ხელოვნების სასახლეში, წითელი ფერის დარბაზში ზის მწვანე ტახტზე მეფე-პოეტი (ემანუელოსის ბიძა) სატირი⁶¹ და მისი დედა-დელოფალი. დელოფალს მწვანე ბუმბულებით გაწყობილი მეტისმეტად მოხსნილი, ასიმეტრიულად აჭრილი, სხვადასხვა ფერებით შეკერილი კაბა აცვია. განსაკუთრებით მკვეთრად სწანს მწვანე ბრჭყვიალა ნაჭერი. დელოფალს ამავე მწვანე ფერის გაზის ხელთათმანები აცვია მკლავებამდე. დელოფალს გვერდით უზის ეშმა, გველის სახიანი, მწვანე ტანსაცმლით.

მეფე ჯერ გველს კოცნის, შემდეგ ავხორცულად კისერში კოცნის დელოფალს და ამბობს:)

– ჩემი საბრალო, უბედური ძმა მოკვდა ჩვენ ვწუხვართ, რომ ის მოკვდა არ შეიძლება ხელოვნება წარმოიდგინო როგორც თვითგვემა, როგორც ტანჯვა და ურვა ჩვენ საბრალო არსებათ, მხოლოდ იმის ძალა თუ მოგვდგამს ნაბიჯ-ნაბიჯ მივსდით ცხოვრებას ის, ხან გვაცინებს, ხან კი გვამწუხრებს მაგრამ ჩვენ, – ძალა არ გვერჩის მას ვეურჩით ხელოვნება ხომ ცხოვრების დაა, მისი მიმდევნებელი და ყურისმგდებელი რაც მე მალეღვებს (დააყოვნებს) ემანუელოს დარდია! შესაძლოა კი გულწრფელი იყოს დარდი, დარდი ასე ხანგრძლივი? (შემპარავი ხმით:)

– ჩვენ კი ვიქორწინეთ.

მე – თანამედროვე ხელოვნების სამეფოს პოეტმა და ცხოვრებამ – ევრიდიკემ

ცხოვრებამ – არა წარმოსახვის ფუჭმა ნაყოფმა,

ცხოვრებამ, შეულამაზებელმა და ნაღმა.

და ჩვენი დიდი სიყვარულის გვერდით დარდი განელდა.

(ნელა და შემპარავი ხმით:)

– სიყვარული გვანთავისუფლებს! სიყვარული აგვამალლებს! (ბიძა-მეფე ხარხარით:)

– სიყვარული, რომელიც უდარდელად დაფრინავს ყვავილიდან ყვავილზე!

(ახლა ის დელოფლის ხელებს ხელებში მოიმწყვდევს, ტუჩებთან მიიტანს და ნელა კოცნის. შემდეგ ხელს გაუშვებს. მიმართავს დელოფალს):

– მარტო მე შემიძლია შენი შეყვარება, და დავაფასო, დავიგემოვნო შენი მწიფე, ტკბილი სხეული ვისიამოვნო, გასიამოვნო.

შენც მოგხიბლო და მეც მოვიხიბლო, მე განიჭებ თავისუფლებას, მხიარულებას, ამიტომაც შენ შესძელი უზრუნველი სიცილი, ხმამაღალი სიცილი

და ახლა შენ შეგიძლია თავისუფალი ლაპარაკი. ადრე კი, ვიდრე ჩემი ნახევარძმა, შენი ქმარი ცოცხალი იყო, ვითომცდა სათნოება, ვითომცდა სიბრძნე, ვითომცდა სიწმინდე, და მოზომილი ნაბიჯები.

აი, ეს ტვირთად გაწვა და ასე არაბუნებრივად დაჭიმული გათვლილი ნაბიჯებით დააბიჯებდი გაშეშებული. ლოგინში ნებივრობა ხომ ცოდვად გეთვლებოდა?

(ნიკაპის ქვემოდან ხელს მოუთათუნებს და ლოყას მიუაღერებს. უცბად გულიანი სიცილი აუვარდება):

ბიძა სატირი:

– ხა! ხა! ხა!

ჭამა ცოდვა! სმა ცოდვა! სექსი ცოდვა!

დაბადება ცოდვა! ცოდვა და ცოდვა!

სასაფლაოში წოლა და კუბოს სიცივის შეგრძნება

აი, უმაღლესი წესიერება და სათნოება.

(დელოფალი კეკლუცად გაშლის და დახურავს მარაოს. ეს მას

უბრალოდ კეკლუცობისთვის სჭირდება. მარაოს მწვანე ფონზე დახატულია შავად პური.)

დელოფალი ვერიდიკე:

– მეტად მაწუხებს ემანუელის განმარტობა

ჩემი შვილი,

დათრგუნა მამაზე დარდმა

(მეფე-ბიძა, გალიზიანებული, მსწრაფლ მობრუნდება. აშკარად ვხედავთ მის დამცინავად დაღმეჭილ სახეს. მსახიობმა ეს ფრაზები ხაზგასმული ირონიულობით, გალიზიანებული ტონითა და საცნაური ცინიზმით უნდა წარმოთქვას):

– ხა! ხა! ხა!

მწუხარებავ, თავად რომ ირთვები,

მწუხარების მხიარულებით

რა არის უფრო საამო,

თუ არა მწუხარება, ღრმა მწუხარება,

რომლის სიღრმეში დევს

დამპალი ვაშლი

სიამოვნებისა.

(გულიანად იცინის შემპარავად, ნელა, ხაზგასმულად წარმოთქვამს):

– რაც – ჩვენ – გვატ-კობს!

მწუხარება ხომ სამყაროსაგან გვაუცხოებს

და განდიდებას გვინერგავს.

მაშასადამე, ტკივილთან ერთად

გაუცხოება რაღაცას გვაწვდის...?!

ხა! ხა! ხა!

ეს მარტოობის სასიამოვნო განცდაა!

განდიდების ჟრჟოლვა...

ხა! ხა! ხა!

ერ-თა-დერ-თო-ბა!!!

(მეფე ავხორცულად იცინის, ჩაეხვევა და ლოშნის დელოფალს.)

სურათი III

(იგივე სცენა. დარბაზში შემოდის აფროდიტე, მას მოჰყვება ეროსი, ფსიქეა, ქრონოსი, თანატოსი, მეფის მეგობრები, სამი პოეტი, ერთი კრიტიკოსი.

შემოდის ემანუელოს. მას უცნაური სახე აქვს. ის თითოეულს სახეში ჩაშტერებით ჩასცქერის, თითქოს პირველად დაინახაო. შემდეგ უკან ბრუნდება, თითქოსდა ვერ დაუვკერებია მათი არსებობა.

ყველას ფსიქეასა და ეროსის გამოკლებით დამცინავი ღიმილი აღბეჭდია. ურთიერთგაგება დამპალი ღიმილი.

შემდეგ ყველას (ფსიქეასა და ეროსის გამოკლებით) ემანუელოსის საქციელზე გულაინი სიცილი აუვარდებათ, თუმცა ეს სიცილი ხელოვნურია, მაგრამ სიამოვნებას კი ნამდვილად ყველას ანიჭებს.

მაყურებელი ხედავს, რომ ემანუელოს ეს სიცილი ჩაესმა, გულზე ხელი მოიკიდა და მწარედ გაეცინა. მეორე წუთს კი თითქოსდა დაავიწყდა ეს სიცილი და ისიც, რომ დარბაზში მის წინ მეფე-დელოფალი და სხვები დგანან.

ის თავისთავს მიმართავს, თითქოსდა მარტო იყოს:

– მამაჩემის სული?

(სცენაზე ჩნდება სამი ევმენიდი ხმამაღლა და სასიამოვნო ნარნარა ხმით:)

შენ გახსოვს მამაშენის დაბადების,

ფარული და იღუმალი გზა,

გზა, შენს წმინდა გულზე რომ გადის

და მისტერიის საიდუმლოს გაზიარებს.

დიდება, შენ, ემანუელოს!

(ევმენიდების გუნდი, ხმამაღალი გალობით, იწყებენ:)

– ერთხელ, როცა, ჩვეულებრივ დაღამდა

და დედამიწას მთვარემ მისტიური სხივები მოჰფინა,

მთვარეს ჩაესმა მდინარის წკრიალა ხმა,

სიხარულითა და აღტაცებით რომ რწყავდა და ელამუნებოდა

ჩაბნელებულ კელ-მინდვრებს და თითოეულ კენჭსა

და ქვას შეჰხაროდა.

და როცა მთვარემ თავისი სხივები ირიბად მდინარის
გიჟმაჟ შეხეფებს შეანათა,
იფეთქა სიყვარულმა და ამბობენ,
სამყაროში რაღაც შეიძვრა.

მდინარის პირას მდგარმა ხეებმა ცაში ფესვები გაიდგეს
და მოისმა ხმა ისეთი ტკბილი და საამური,
როგორც ქარით რხეულ ვარდის ბუჩქზე შემომჯდარ
სიყვარულით გულშემძრულ, საწყალობლად ამღერებულ
ბუღბულს აღმოხდება.

და დაიბადა ორფევისი.

მდინარის ზედაპირზე ხან ჩიტი დაფრინდებოდა
და მდინარის ტალღებს ფრთას შეატოლებდა,
ხან, ჰაერში მჭკნარ ფოთლებს მოჰკრავდით თვალს
და ხან კი, ცისფერ პეპელას, ნარნარიტა
და ნელი ფრენით მდინარის ტალღებს, რომ ევლებოდა.

ასე შვა მდინარისა და მთვარის ერთობამ
მამაშენი ორფევისი – დიდი პოეტი, მუსიკოსი და მხატვარი.
როცა ორფევისი მღეროდა, მდინარეები დინებას წყვეტდნენ,
ქარი კი ქროლვას, ხეზე შემომსხდარი ჩიტები კი სულს
გაინაბავდნენ,

და თვით მძვინვარე ლომი, გაყურსული,
ჩუმად უსმენდა მის მღერას.

მაშინ ევრიდიკემ – ცხოვრებამ, ამ სიხარულისა და მწუხრის
დელამ, –

პირიდან ყველა მოკვდავთათვის სასიკვდილო გველი ამოუშვა.
თუმცა, უწყოდა, ღვთაებრივი საიდუმლოს გამჟღავნებისთვის
სასჯელი არ ასცდებოდა

გველმა ორფევისი დაკბინა და როცა ევრიდიკეს ეგონა,
რომ ორფევისი მოკვდა, მაშინ, დაიბადა იგი ხელახლა,
და ის ღვთიური ხმა აღმოხდა,
რითაც ანგელოზები ცაში მღერიან.

მისტერიათა საიდუმლოს გამცემი ევრიდიკე დაისაჯა,

ის გველმა დაკბინა და ისიც, უსულოდ დაეცა.

და ყველამ ვიციტ, ორფევისი ჰადესში თუ როგორ გაემგზავრა,
და ევრიდიკესთან ერთად დაბრუნდა დედამიწაზე.
იქორწინა ორფევისმა, და ასე გაჩნდი შენ, – ემანუელოს.

მიწიერისა და ზეციერის ნაერთი –
მდინარის წკრიალა ხმა ჩაგესმის,
გამოუთქმელი სევდა კი უსასრულობაში მიგადინებს.
მამაშენის უკვდავმა სულმა დაამარცხა ევრიდიკე.

და ასე დამკვიდრდა ხელოვნების სამეფოში
მუსიკალურ ფრაგმენტად გარდასახული ცხოვრება.
რაშიც ორფევისი ერთდროულად,
თავისთავს ჭვრეტს, და მთელ სამყაროსაც.

(სცენაზე წყნარად და ნარნარად ჩაივლის ევრიდიკეს ხატი.
და ისევ ჰქრება.)

ერინიების გუნდი

– შენ იტანჯები! შენ იტანჯები! შენ იტანჯები!

და გახსოვს ის, – ერთადერთი,
მეფე პოეტი! ღვთაებრივი ადამიანი!

ემანუელოს ხმამალა:

– შენ ხარ მამა! მამა! მამა!

(ემანუელო უფრო ხმამალა ყვირის. ყველა ერთმანეთს
შეშფოთებით გადახედავენ)

– ემანუელო:

– ეს ტკივილს ეწვნის! (ის გულზე ხელს მოიკიდებს.)

რომ დავიბადე ამ უცხო სამყაროში,

მე ხომ აქ მცოვია! მე ხომ აქ მცოვია! მე ხომ აქ მცოვია!

მე მცოვია მამა!!!

თითქოს ღმერთის დიადი სახლი მივატოვე.

და ვინ ვარ მე? არსება, რომელსაც ლოდი სრესს?

(გულზე ხელს მოკიდებს)

– აქ ხომ ტაძარი უნდა ააგონ.

თუ მე თავად, მე ვარ ლოდი?

ეს იგივეა!

ეს იგივეა!⁶²

(ბიძას ზიზლიანი სახე გაუხდება. დედოფალმა გულწრფელი შეშფოთებით მოისმინა ემანუელის საუბარი და მწუხარედ და დაფიქრებული გამოიყურება. სხვებიც საკმაოდ შეცბუნებულნი არიან. სულ ერთ წამს თითქოს კადრი გაშეშდაო. ჩანს ორი აფროდიტე. ერთი ზღვისფერი კაბით, მარგალიტის მძივებით, მეორეს კი მწვანე, ასიმეტრიულად აჭრილი კაბა აცვია. მეორე პირველს ხელს ჰკრავს და ისიც მორჩილად გადის სცენიდან. პირველი აფროდიტეს გაუჩინარების შემდეგ, ცხადი ხდება, რომ მეორე აფროდიტე ბიძას ემხრობა და მის ზიზლს ემანუელს მიმართ სავსებით იზიარებს. ის ჯერ დონჯს შემოირტყამს, შემდეგ მწვანე კაბას აათამაშებს და გამომწვევი და აღტაცებული სახით ელოდება ბიძას, როდის გამოთქვამს თავის მოსაზრებას.

ბიძა მეტისმეტად მკაცრ სახეს იღებს. მას გოროზი გამომეტყველება აქვს. ის დონჯს შემოიდებს. ის ფეხზე დგას და ისეთი შეგრძნება გვაქვს, რომ ემანუელს ჩაჰყვირის.

ბიძა ემანუელს:

– რას თამაშობ, რომ იტანჯები?

(უკვე ირონიულად წარმოთქვავს, თითქოს მღერის)

რა არის ტანჯვა?

სურვილი, რომელსაც ვერ ვფლობთ.

ამას ვარქმევთ ხან ტანჯვას, ხან კი მეხსიერებას.

(ბაძავს ემანუელს ხმასა და ინტონაციას, დაცინვითა და ენის მოჩლეკით წარმოთქვამს).

– რატომ არსებობს ეს მოგონება?

(ისევ თავის ხმით:)

აღრე, მამაშენი, ორფევის ამტკიცებდა,

რომ ადამიანის უკვდავ სულს,

(ხაზგასმულად და დაცინვით:)

– ხელო-ვანს! ჰქონდა მეხსიერება,

და როცა ხელოვანი იტანჯებოდა,

მიწიერობას განეშორებოდა,

რათა, ზეციური ხმები მოესმინა.

(ხარხარით, დაცინვით:)

ამ ღვთიური ყვავილებით – ლექსებით

(მკაცრად და ირონიით:)

– ადამიანები ვსურდათ დაგეშინებინათ!

ასე მიაღწიეთ ცრუ ღიღებას.

თქვენ, (ემანუელს შეხედავს და სიცილი აუვარდება:)

თუმცა, შენ არც ჩვენთან ხარ

და არც მამაშენის გზაზე დგახარ!

ორფევისი და ნარცისთა⁶³ სკოლა

საუკუნეების განმავლობაში

ერთიდაიმავე ტექსტს იმეორებდნენ.

და ასე დაიჯერა კაცობრიობამ,

რომ ხელოვანს მეხსიერება გააჩნია.

ღვთის სხივის საიდუმლოებას რომ ინახავს.

(დამცინავი ხმითა და აგდებული ტონით:)

– მეხსიერება რომ არსებობდეს,

წარმოსახვის ეს უბადრუკი ყრმა

კაცობრიობაც იარსებებდა,

ხელოვნების სამეფოს მიერ რომ იყო მართვადი.

მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას,

კაცობრიობა ფიქციაა,

როგორ შეიძლება არსებობდეს ის,

რასაც არ გააჩნია მაერთი.

მეცნიერები დღეს იმასაც კი ამტკიცებენ,

რომ სამყარო მხოლოდ ფაქტების გროვაა,

და მამასადამე, თქვენ იდეა ფიქსეს –

– ღმერთს, – სულ არ ადარდებს,

ეს შენი ფაქტები რა სახით განლაგდება.

A+B თუ B+C – არაფერი არ იცვლება,

ეს სამყარო სიცარიელეში მოძრაობს.

საპნის ბუშტი – ოცნება ღმერთზე

საღლაც ჰაერში გაიფანტა

და დღეს იმასაც კი ამბობენ, რომ რაღაც წერტილიდან,

რომელიც გაფართოვდა 15 მილიარდი წლის წინათ.

აი, იმ წერტილიდან... ხა! ხა! ხა!

აი, იმ... (თითქოს სიცილით იგუდება) აი, იმ წერტილიდან

დაიბადა, არა, არა და არა (ხაზგასმული დაცინვითა და პათეტიურობით)

წარმოიშვა (ხელს სივრცეში შემოხაზავს) – არა, არა –
(ხმა ეცვლება და სიმკაცრეს ტაკი-მასხრობა ენაცვლება:)

– დიახ! დიახ! სწორედ წერტილიდან,
ამბობენ, ლაქიდან აღ-მუ-ცენ-და ეს სამყარო.
ამ სამყარომ ხელოვნების სამეფო შექმნა.

ხოლო ღმერთი, რითაც აქამდე
სულდგმულობდა ადამიანთა მოდგმა,
ფაფუ! გაჰქრა! არა! არა! არ მომკვდარა!
ის, რაც არასოდეს არსებობდა, – არც შეიძლება მოკვდეს.
აი, ასე. ეს არის, ერთადერთი სიმართლე.

(თითქოს შვებით ამოისუნთქაო, ოფლს მოიწმენდს. ისტერიული ხარხარით:)

– საგანთა არსი – ლაქაა!
ლაქაა და ამიტომაც დავარქვი
დღევანდელი ხელოვნების სამეფოს
ლაქის სამეფო!
სატირი ტაშს შემოჰკრავს.

(ემანუელის ხელებს აიფარებს სახეზე და გარბის. დედოფალი უხერხულად ზის სკამზე. სცენა წამიერად ბნელდება და მარტო მცირე მონაკვეთი ჩანს ისე, რომ ვერავინ ხედავს. ბიძა სატირი უახლოვდება აფროდიტეს, უხამსი ჟესტებით წელზე მოხვევს ხელს და ტუჩებში კოცნის – თმას უხეშად უწეწავს, ისმის მისი ამაზრზენი ხარხარი, რომელიც სხვებს არ ჩაესმით. სცენა ნათლდება და ვხედავთ, რომ სატირი ისევ თავის ადგილზეა. ვხედავთ აფროდიტე მეტისმეტად კმაყოფილია, თითქოსდა მისი დიდი ხნის სურვილი აღსრულდა. აფროდიტე მლიქვნელურად შესცქერის სატირს. ის თავზე გვირგვინს შეისწორებს. აფროდიტე მწვანე კაბას უშნოდ ააფრიალებს:)

– მეუფეო, გილოცავთ ტახტზე დაბრძანებას
და თქვენ მშვენიერ ევრიდიკესთან დაქორწინებას.
მართლაც ასწორებს, თქვენი ხედვა მაგრად ანათებს,

ეხლა სამყარომ სახე იცვალა,
აღარ არის ყველაფერი ჩაკეტილი და ფარისევლურად
არ მალავს თავს გრძნობა.

და ვგრძნობ, თუ რა ამაოდ ვუმაღავდი საკუთარ თავს
უხამს აზრებს და წვრილმან ვნებებს,
ყველაფერი უნდა გამჟღავნდეს,
და დღის სინათლეზე გამოეფინოს.

უნდა ვუარყვოთ ხელოვნური ტანჯვა,
რომ ცხოველი იქცეს ღვთაებრივ არსებად.
დაე, ადამიანი დარჩეს იმად,
რაც არის!

ის არის დედამიწის პირმშო!
და მე თქვენმა მეუფებამ შთამაგონა,
რომ მიწა უფრო ძალუმია,
ვიდრე ცა.

და ხელოვნების სამეფო
მიწის პირმშოდ უნდა ვაქციოთ.

(ის ავხორცულად იცინის და ტკრციალებს. დედოფალი ევრი-
დიკე მას მეტისმეტად დაკვირვებით აკვირდება. მასში ეჭვიანობა
და შურიც იკვეთება.)

სურათი IV

(ეროსი და აფროდიტე მარტო არიან სცენაზე. ეროსი დედას):

– დედავ, სათნოებისა და მშვენიერების ქალღმერთო, ფეხთქვეშ ეგები უგვან და სლენგით მჯღაბნელ უბირ სატირს, ჩვენი სამეფოს წმინდა გვირგვინი, რომ დაიდგა.

(დაფიქრებით:)

– მე ვერც ჩვენ დედოფალს ვერ ვცნობ

(გულზე ხელს მოიკიდებს – ტირილი აუვარდება. ჩუმად სცენაზე მოიპარება სატირი და ჩუმად ისმენს საუბარს:)

– ჩემში დიდი პოეტის აღმაფრენა მოკვდა.

ნუთუ დაგკარგე ჩემი ღვთიური ნიჭი?!

ჩემი გული ისე ძალუმად აღარ ფეთქავს.

ეხლა ემანუელოსა და ფსიქეას იმედად დავრჩი.

(მოულოდნელად ბიძა – სატირი სამალავიდან გამოდის და მიმართავს აფროდიტეს. ეროსი მის გვერდითაა ისევ.)

სატირი:

– შენ არ იცი, რომ ცის სიწმინდე და ღვთის ღიმილი

ჩვენი ფსიქეა, დღეს ემანუელოს ოცნებაა,

მისი იდეალი, და სევდის მიზეზი.

ემანუელმა მთლიანად უარგყო და ეხლა

ცის სილურჯეში სურს დაინთქას

და ის კი არ ახსოვს, რომ ცის მშვენიერებას

დედამიწაზე ყველა საგანში შენ ღებდი.

(ბიძა ქრება და აფროდიტეს სიბრაზე მოიცავს. შემდეგ ის თავს მოერევა და ხელოვნური დაყვავებით მიმართავს ეროსს:)

აფროდიტე:

– მე გთხოვ, როგორც ჩემს შვილს

არა, უფრო მეტიც, გიბრძანებ

ემანუელოში ჩასდო ჟინი,

ბრმა და ტლუ გრძნობა ფსიქეასადმი

გიბრძანებ... გიმეორებ, ჩემი მიზანი

ემანუელოს მიწაზე დაცემაა.

(სატირი-ბიძა მიწიდან ამოიზრდება და ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ქრება:)

სატირი:

– ეს გულწრფელი ხელოვნების მსახურებაა!

ბრავო, ახალ აფროდიტეს!

(ეროსი ზიზღითა და აღშფოთებით):

– როცა ვნებისგან განძარცვული გონება,

ემანუელოს ცად ამალღებული, მწუნხარებით შემოსილი სული,

მიწას გაერთხმევა.

ეს იქნება შურისძიება?!

და ვისდა მიმართ?!

და რისთვის?

და რატომ?

(აფროდიტე მეტისმეტად მკაცრად):

– მე გარდავიქმენი, ანუ მე სხვად შევიქმენი

დროებამ ახალი აფროდიტე შვა

ახალი აზრი, ახალი გზნება, ახალი მეფე.

ის დღეს აქ, ტახტზე ზის დიადი სატირი

და მისი ნება – ჩემი ნებაა

მისი აზრი კი – ჩემი აზრი

ჩვენ ფიქრნი ვართ ხელოვანისა,

და თუ დღეს ხელოვანთა სამეფო თავის მეფედ

ემანუელოს ბიძას ნიშნავს,

მეც მას ვემსგავსი, – ის მაქანდაკებს!

(ეროსი მწუნხარე სახით ტოვებს სცენას

აფროდიტე მარტო, თავისთვის:)

– თუ ემანუელოს არ დამარცხდება, შენ ეროსს,

ჩემო ყრმავ, შენ მაინც დამარცხდება.

შენ და ფსიქეა! – თქვენი ქორწინება დაამარცხებს

ძველი ხელოვნების სამეფოს.

ხა! ხა! ხა!

ერთდროს ეროსი იმ ღვთაებრივ მუსიკას მიუყვებოდა,

პითაგორას რომ ჩაესმოდა.

დღეს კი, ის ვნებიანად შეერთვის საგნებს
და თუ ფსიქეა სულის სიწმინდე...

(მცირე პაუზა. დაფიქრებით:)

– ვნახოთ! ვნახოთ!

(აფროდიტე დაძაბულად და ხმამაღლა:)

– ფსიქეა, გათოშილი მარტოობის

უკვდავების ეს დიადი სხივი

ვნებას შეერთვის!

(გულიანად იცინის.)

ხა! ხა! ხა!

ფსიქეა – უკვდავი სული – ეროსს შეერთვის.

(აფროდიტე მტკიცედ:)

– და დაილუპება ძველი ხელოვნება,

ორფევის გზა! ემანუელს გზა!

და შეიქმნება გულწრფელობის ხელოვნება!

სურათი V

(ემანუელს ისევ თავის სამყაროშია, ანუ ის პირს ადებს და პეპელათა უსასრულო რივი მთელ სცენას გადაკვეთს. სცენაზე იისფერი ფერი ღომინირებს. მოსჩანს მრგვალი და წაგრძელებული შუშის ყალიბში ან სინათლის ნაკადში როგორ გამოისახება თოვლის სწრაფი ბარდნა. ეს მიკროსამყარო, ხელოვანის შინაგანი სამყაროა).

ემანუელს მონოლოგი:

– მე ეხლა ვდგავარ გზაგასაყარზე

და რა სასტიკი მოსჩანს აქედან ის ღმერთი,

– ჩემი ცხოვრების მიღმა რომ განდგა

თავბრუდამხვევი სიმაღლიდან, რომ დამყურებს და

ასე მაშინებს,

რადგან მას შეუძლია გაუგონარი ბოროტების დაშვება

(ჩურჩულით:)

მამის სიკვდილი! და ხელოვნების გაბერწება!

მას შეუძლია შემადრწუნოს და შეუძლია
ჩემი ენითუთქმელი ტანჯვის, გულგრილად, მღუმარედ ყურე-
ბაც!

და მაშინ, რა შემიძლია ვთქვა მის შექმნილ სამყაროზე?

რომ ის უბრალოდ სათამაშო მრგვალი ბურთია?

ანდა მღუმარე და ცივი სიცარიელე?

თუ მბრწყინავი წერტილი უსასრულო წყვიდადში?

ამ წყვიდადში ჩაძირული?

და რა ვარ მე?

სული? სხეული?

ილუზიაა, რომ ვსუნთქავ? ილუზიაა, რომ ვაზროვნებ?

ილუზიაა, რომ ვცხოვრობ? ილუზიაა, რომ ვკოცნი?

(ხანგრძლივი პაუზა. ემანუელს დაძაბულ, თითქმის შემლილ
სახეზე, ცრემლები ჩამოსდის.)

რა მნიშვნელობა აქვს ჩემს სიცოცხლეს,

თუ არ არსებობს დიადი აზრი,

რისთვისაც ღირს ვიცოცხლო,

თუ არსად შეინახავს ღმერთის დიადი მეხსიერება

ჩემს არსებობას?

თუ მე გავქრები, ვით ყველაფერი ამქვეყნიურია?

მამაჩემმა თავი მოიკლა, თუ ის მოკლეს?

მაგრამ ეს კითხვაც კი ხანდახან უსარგებლოდ მოსჩანს

უფრო მნიშვნელოვანი ხომ ეს უხმო მუსიკაა

მუსიკა ჩემში, გამოუთქმელ ცრემლად რომ მოედინება

დაუსაბამო სევდა, სევდა რომ ადამიანი ვარ

და ამას ხომ მამაჩემის სიკვდილი შემაგრძნობინებს.

ეხლა ჩემი დიდი მეტოქეა კომპიუტერი,

ეს ჩემი უსახო ალტერ ეგო?

ყველაფერს რომ მაერთებს და ასე მაჩვენებს მსოფლიოს

ყველა საოცრებას

და ასე უწონადოდ დაეფინება ჩემს ფერხთქვეშ სამყაროს
საზრისი

რატომ გაჰქრა მზე? ყვავილები? ფოთლები?

ქარიც ხომ სასაცილოა, ის ღმუის,

მაგრამ მას აღარ ახლავს პოეზიის ნელსურნელება
სამყარო დაცარიელდა, რადგან აღარ არის
მხედველი თვალი მას რომ დაინახავს,
და შეაფასებს.
ვინ მოკლა იგი?

სურათი VI

(ყველაფერი უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ხელოვნების წარმოსახვით სამყაროში ვართ. მოსჩანს ცაში ფესვგადმული ტირიფები, რომელთაც ფოთლები მწუხარედ დაბლა დაუხრიათ. ყველაფერი აალებულია. თითქოსდა მარადიულმა მზემ (ხელოვნების მზემ) თავისი ძალმოსილი ვარდისფერით შეღება ეს ხეები.

მიწიდან კომპიუტერი ამოიზრდება. უკვე ემანუელს კაბინეტიდან გავეყურებთ ამ სამეფოს. ემანუელო დაჭიმული ზის კომპიუტერთან, რაღაც ღილაკს დააჭერს თითს.)

ხმამაღლა ამბობს:

– მამის მისამართი –

მაგრამ რა უცნაური სათაურია...

სათის გასაღები? რაო? მწვანე ეშმაკი?

თითქოს ეს მამაჩემის ნაწერი არც იყოს.

(ხმამაღლა კითხულობს:)

– პატარა ბუხები... სიკვდილის ბუხები...

მწვანეა ჭაფი... სიგიჟის ჭაფი...

ეს ხომ ეშმაკია, მწვანე, მწვანე, მწვანე ხელებით,
გრძელი ფრჩხილებით.

არ დარჩა შენს სახლში – შენს ნავთსაყუდელში
საგანი, რომ არ გააადგილა.

საბრალო,

საბრალო,

საბრალო – მოღალატე ნავთსაყუდელი

ეს არის, რაც გამწყვდევს, ეს არის,

რაც ბორკილად აქცევს შენს უსასრულობას.

სულს არა აქვს საწყისი
სულს არა აქვს სასრული
ცის სიღრმე დაუსაზღვრავია
ეშმაკი მწვანე, მწვანე, მწვანე ხელებით
მზე შავია

ეს არის ბუხის დიდებულება

ეს არის ბუხის დიდებულება

ეს არის ბუხის დიდებულება

ემანუელს, ეს ხომ ბიძაშენია – ჩემი ძმა,
არა, ჩემი ნახევარ-ძმა.

ჩემი ნახევარ-ძმა და სატანის მსახური
და მეც ვიხრჩობი ამ სიმწვანის ქაფში
და აქაა რომ ვპოვებ სიგიჟის რკალებს
მაგრამ ჩემს წამებას აქვს დასასრული
მაგრამ ჩემს წამებას აქვს დასასრული
მაგრამ ჩემს წამებას აქვს დასასრული
(პაუზა):

რადგან სიკვდილი სინათლით გასხვივოსნებულ სახლში დამაბრუნებს...

(ემანუელო შეშფოთებით:)

– ნაწერი წყდება!..

(თითქოს კომპიუტერი მოიშალაო, ისმის საზარელი ხმა... ხმა კომპიუტერიდან სცენაზე გადაინაცვლებს. კომპიუტერი სცენიდან ქრება. მოსჩანს სიკვდილის საზარელი სახე. აცვია შავი, ფრთებიანი მოსასხამი. ის ხან აალებულ ტირიფებში ცელით ხელში, თმააწეწილი დაძრწის და სახეს ღმეჭავს, ისმის ხარხარი (ამ ხმაზე მაყურებელს შიშის ზარი უნდა სცემდეს), ხან კი სერიოზულად იმზირება. ჩნდება ყვავის იღუმალი და ამაზრზენი ყრანტალი. ის მხარზე აჯდება სიკვდილის სახეს. თანატოსი წარმოთქვამს ამ მონოლოგს:)

– როგორ დაკვინდი და არარად ვიქეც,

არარად, – ამ უსახო და უაზრო დროებაში.

მე ვარ სიკეთე – მე ხომ სიცოცხლის შემოქმედი ვარ,
მე ვქმნი სინათლეს – რადგან, მე ხომ სიბნელე ვარ.
მე ვქმნი ცას – რადგან ზღვარს ვავლებ საგანთა შორის.
მე ვქმნი კოსმოსს – რადგან, მე რომ არ ვიყო,
არ იქნებოდა არაფერი.

რატომ გაბერწდა ეს დედამიწა?
რატომ გაბერწდა ხელოვნების სამეფო?

იმიტომ, რომ უარმყვეს.

იმიტომ, რომ უარმყვეს.

მე, – დიადი, და პირქუში,

სახე სიკვდილისა.

და თუმც უარმყვეს, ამ უარყოფით მე კერპად მაქციეს,

ეხლა ხომ ყველაფერში შიშის სახით ვსუნთქავ

სახლი – შიში, სამყარო – შიში, ცა – შიში,

ადამიანი – შიში, სიცოცხლე – შიში, ხე – შიში,

შიში, შიში და შიში,

ყველაფერმა დაკარგა აზრი და სურნელი

და ჰაერში შიშის საზარი სუნი ტრიალებს

შიში ყველაფერს უაზროდ,

და უწონადოდ რომ დააფარფატებს.

(იგივე სცენა

ნახევრად ჩაბნელებული).

* * *

– (თანატოსის მონოლოგი).

– მე სიკვდილი ვარ და იმ კარებს ვხსნი,

რაშიდაც საგნებია გამოკეტილი.

მნე ქალის დარად, ვეხმარები ხელოვანს დაჰბადოს ის ბავშვი,

რომელსაც დიდი ხანია უკვე ატარებდა

მამაშენი უშიშრად წარსდგებოდა ჩემს წინაშე

და ასე იბადებოდა მისი სხივოსანი ლექსები და სიმღერები.

ახლა ის პარნასის იმ ცისფერ სფეროში ბინადრობს,

რომელთანაც ბიძაშენმა

მისასვლელი ხიდი დაწვა.

შენლა დარჩი ჩემდა იმედად.

თუმცა შენშიც ვხედავ ყოყმანს

და ჩვენი დროების გულმოყირჭების ნიაგ-ქარს.

მე სამყაროს სუნთქვა ვარ,

როცა ბალახი ბიბინებს და ქორფად ღაღანებს,

სიცოცხლის სინორჩე მებრძვის.

სამყაროს სიდიადეს გადავხსნი,

კოსმოსის ფარულ ძალებს ავამოძრავებ

ასე ძალუმს იღუმალებას სახე მიიღოს.

თუ პატარა სული შემომეფეთება

მეც პაწია, ბუმ ძალად გარდავიქცევი

და უსახო შიშის მფრთხალ ფინიად მოგვეკლინებით.

ჩემი ზომა – თავად იმ სულშია

ვის წინაშეც უნდა წარვსდგე.

მე მას ვბადებ და ის კი – მე.

ასე რომ, სიკვდილი და სიცოცხლე

მარადიულ ქორწინებაშია.

(სიკვდილის საზარი სახე ემანულოსის წინ დგება. თანატოსი თავს დაბლა დახრის, შემდეგ ცელს მიწისკენ დახრის:)

– მამაშენის დიად სულს გამოვიხმობ.

და შენ მოისმენ მის უკანასკნელ ფიქრებს.

(ემანულოს ვედრების ნიშნად ხელებს მისკენ გაიწვდის და მუხლებზე დაიჩოქებს მის წინაშე.

უცებ სიკვდილის სახე ემანულოს მამის, ორფევსის სახეს მიიღებს. ორფევსის სული:)

– სისხლი მდის, ემანულოს!

მე ჯერ კიდევ მაშინ შემიპყრო აპათიამ,

როცა შენ და შენი მეგობრები

შენი განუყრელი ალტერ ეგო – კომპიუტერით.

დასცინოდით შექსპირს – და მას უწოდებდით

ანც ბიჭუნას და უვიც დრამატურგს⁶⁴,
 გოეთეს სასაცილოდ იგდებდით,
 აბრალებდით გულგრილობას და მეშინობას.
 ჰეგელის⁶⁵ ფილოსოფიას შარლატანის ბოდვა დაარქვით.
 ილიას სიტყვები: – „მე ვარო შენი თანამდევნი სული“,
 თქვენში ამაზრზენ ხარხარს იწვევდა,
 თქვენ ღვთის სასმელიდან მოდენილ
 სიცოცხლის წვენს უარყოფდით
 და ხარხარებდით და ხარხარებდით
 და მე შემიპყრო ურწმუნობამ,
 ურწმუნობის მწვანე, მწვანე, მწვანე
 კითხვა მე დამეუფლა.
 და მაშინ იყო, ჩემს კაბინეტში ჩავიკეტე.
 ბიძაშენიც, ჩემი ნახევარ-ძმაც ამ დროს გამომეცხადა,
 წყალს რაღაც მწვანე ფხვნილი შეურია
 და ჭიქა გამომიწოდა,
 დავლიე და სულ რაღაც 10 წუთში
 ვიგრძენი, სიკვდილის მოახლოება.
 ჩემს წინ თითქოს პატარ-პატარა მწვანე
 ბუზებმა დაიწყეს ფრენა
 სისხლი წამომივიდა ყელიდან
 და ბიძაშენმაც ჩემი ჭიქა
 ხელში ჩამიღო და გაუჩინარდა.
 ასე დაიბადა მითი, ჩემს თვითმკვლელობაზე.
 დღეს საუბედუროდ,
 ცისფერ სფეროში – პარნასის მობინადრეებს
 აღარ გვძალუძს დედამიწას ხმა მივაწვდინოთ.
 დღეს ადამიანებს
 თვალებზე ხელები ააფარეს და სიბნელეში დატოვეს,
 მშვენიერი მუსიკისათვის ყურთასმენა დაუნშვეს.
 აქამდე ხელოვნების სამეფოში არსებული კრიზისები
 კაცობრიობის ერთგვარი რიტმი იყო,
 ამოსუნთქვასა და ჩასუნთქვას შორის პაუზა,

დღევანდელი კრიზისი... (ხმა უწყდება, ცრემლები ჩამოსდის.)
 გაუგონარი კრიზისია.
 თავზარდამცემი! სატირის შავბნელი ხანის მაუწყებელი!
 ციური პურის უარყოფა
 და მიწიერი პურის გაღმერთება.
 დღეს, მზე ლაქად აქციეს, შვილო!
 დაიმახსოვრე, ემანუელს, ერთი ბრძენის სიტყვები:
 „ღიღი სისულელე თუ პატარა სისულელე
 სისულელედ დარჩება.
 მხოლოდ მარადიული ფასეულობანი და ჭეშმარიტებანი
 არიან უცვლელნი.“
 (სიკვდილის სახე, რომელსაც ემანუელის მამის სახე ჰქონ-
 და, ჰქრება).

ფარდა

II ქმედება ზმანება

სურათი I

(ეროსს ეტყობა მოუსვენრობა. აქეთ-იქით დაფრინავს და წარ-
მოთქვამს:)

– მაშ ასე, რაც ემანუელს ბიძამ

სამეფო გვირგვინი დაიდგა,

ხელოვნების სამეფო შეიცვალა.

უფრო ზუსტი იქნებოდა მეთქვა,

ეს სამყარო ამოყირავდა

და ის, რაც სიღრმეში იდო,

ახლა ზედაპირზე დევს⁶⁶.

(ღიმილითა და გაკვირვებით:)

– ზედაპირზე მოღივლივე ჭეშმარიტება? სიბრძნე? ჰმ!

(აქ სიცილი აუვარდება. შემდეგ სერიოზულად:)

– დღეს ხელოვნების სამეფოში რაღაც დაღაპა.

მარადჟამს უცვლელი დედა – აფროდიტეს მაღალი ზნეობა,

მშვენიერება და ამაღლებული სიყვარული გარდაისახა?

და მე, ეროსმა ემანუელსს უნდა გავუღვიძო ტლუ, უხეში ჟინი,

ყველაფრის წამლუკავი ცეცხლითა ღვანთო.

გული მეწინააღმდეგება,

მაგრამ მე, დედაჩემის ნებას ვერ გადავალ,

ხელოვნების ეს კანონი გარდაუვალია.

რას მოიმოქმედებს ემანუელს

სპეტაკი სული?!

მაშ ასე, ქმედება – ქმედება...

(უახლოვდება ემანუელსს ოთახს, რომელიც იისფერი
სინათლით არის განათებული... ეროსს ჩაესმის მონოლოგი,

შეყოვნდება და ისე უსმენს ემანუელსს)

ემანუელო:

ჩაძინებული ადამიანები?!

ისინი ჭაშენ, ისინი იზრდებიან, ტანთ იმოსავენ,

და ბერდებიან! ბერდებიან! ბერდებიან!

და ხანდახან აზროვნებენ!

ასე ათეღვინებენ თავს ყოველდღიურობას

და უდრტვინველად ეგუებიან განადგურებას.

ცხოვრების შედეგი:

დამახინჯებული თოჯინები!

არსებობს სამყარო, და რატომ?

არსებობს სიცოცხლე, და რატომ?

რატომ დავიბადე?

ან ვინ ვარ მე?

ბველმოდური კითხვები?!

ღმერთი გულგრილი?!...

ეს თანამედროვეობამ მოიტანა... არა,

თანამედროვეობამ კი არა, ბრბოს ფსიქოლოგიამ.

დღეს, ბრბო – ფილოსოფოსობს,

დღეს ბრბო – ლიტერატურას ქმნის.

რა შლეგურია ჩემი აზრი, –

მაგრამ, ეს ხომ ჭეშმარიტებაა,

დღეს გენიოსი იდიოტად იქცა.

ეს სასაცილო! გენიოსი – იდიოტი!

იდიოტი – გენიოსი!

ვინც ასე სასაცილო და საზარი

მოსჩანდა ხელოვანისთვის.

დღეს ხელოვანის ადგილი დაიკავა...

მხოლოდ მე დავრჩი ერთადერთი, ამ სამყაროში...

ხელოვანი თანამედროვეობის საპირისპიროდ...

ო, როგორ მეზიზღება ყოველდღიურობა

და თანამედროვე ხელოვანი

ყოველდღიურობის მონა და ბრბოს მსახური.

(ეროსი დაფრინავს, იღებს ოქროვან ისარს და მონოლოგის
შემდეგ გვერდით მჯდომ ემანუელსს გულში ესვრის. ემანუელს
გულზე ხელს მოიკიდებს. ცხადია, ისარს ვერ ხედავს. ემანუ-

ელო უცნაურ მოძრაობას აკეთებს. თითქოსდა მასში ყველაფერი შეიძრაო – ეროსი ჩუმად მოფრინდება კარებთან და სულგანაბული უსმენს ემანუელს.

ეროსი შეძრწუნებული ხედავს სამ ემანუელს.

თითქოს ჩვენ ემანუელს სიგიჟეს ჩავყურებთ – ემანუელო ძალიან გადიდებული შუშის კოლბში (იისფერ ფერში) შედის. როცა ის გამოვა ამ კოლბიდან, მაყურებელს ისეთი წარმოდგენა უნდა შეექმნას, რომ ემანუელო მასში ისევ შევიდა.

მოსჩანს სამი ემანუელო – ერთ-ერთი მესამე (იისფერი ტანთ-საცმლით) წარმოთქვამს):

– მე მსურს სიცოცხლე
და მსურს სიკვდილი

– ეს იგივეა

– ეს იგივეა

– ეს იგივეა

მზე და სიკვდილი!

ტოლი სიდიდე!⁶⁷

და ისინი ერთად,

სამყაროს ზღვარს გადაგვიხსნიან,

და ჯადოსნური გასაღებით

სინამდვილის დიად სამყაროს გვაზიარებენ.

არ არსებობს სხვაობა

შთაგონებულ პოეტთა

სურვილთა სიგრძეში.⁶⁸

ეს უსასრულობაა ნულებით

წარმოდგენილი,

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა⁶⁹

ან მზე კაშკაშა, თვალისმომჭრელი

– არცერთი ბუზით!

– არცერთი ბუზით!

– არცერთი ბუზით!

(პაუზა. საკმაოდ გრძლად უნდა მოეჩვენოს მაყურებელს. ემანუ-
ელოს მონოლოგი.)

– ხა! ხა! ხა!

მე ხელოვანი ვარ! მე მზე ვარ! კაშკაშა მზე!

სიკვდილის პირქუში უფსკრულიდან, რომ ამოვიმართები.

და ასე ჩემში ქორწინდებიან

ორი ტოლი სიდიდე:

სიკვდილი და სიცოცხლე.

მე ვარ მზე, – ათიათასს საგანს

ერთად რომ ჰფენს თავის სხივებს.

მზე – ღმერთის სადარი!

რად დავიღუპე მე – ხელოვანი, ამ წყეულ დროში?

მე ვარ სული? სული – ეს ღვთიური ცეცხლი?

ცას, რომ ვანათებ?

იმ ცას, რომელშიც მთელი მსოფლიოა ჩაწერილი.

მე ვარ ცა? თუ მე ვარ წყალი?

არა, მე ვარ სული და არაფერს ვემსგავსი –

არაფერი – ეს ხომ ნულებითაა გამოსახული,

ეს უსასრულობაა, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა,

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა,

ჩემს ხელისგულზე რომ თავსდება.

(პაუზა.)

– ჩემს ხელისგულზე...

(თავის ხელებს დაჰყურებს დაკვირვებით, თითქოსდა პირვე-
ლად ხედავდეს, ისევ უაზროდ იცინის.)

– მაგრამ ხელი ხელია და რატომ?

(ისევ გაბმული სიცილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი. აკანკალებული ხე-
ლის ცეცებით, ეხება თვალებს, ყურებს, პირს, ფეხებს, თმებს...

დაეჭვებული ხმით წარმოთქვამს:

– ვიცი, რომ ხელი ხელია,

მაგრამ არ ვიცი?

აი პარადოქსი, აი ვარსკვლავი ციდან ჩამოვარდნილი.

ბუნებრივ ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას შორის

არის პაუზა.

– ეს მე ვარ!

(აქ, ის წელში გასწორდება, ამაყი მზერა ცისკენ.)

– და ესაა სწორედ უცნაურად მბრწყინავი ვარსკვლავი.

ემანულოს ხმამაღლა, პათეტიურად:

– ეს მე ვარ ადამიანი!

ემანუელს თითქოსდა რაღაც გაახსენდაო, ყვირის:

– ის მოკვდა! ის მოკვდა! ის მოკვდა!

მამა, მეუფე ხელოვნების სამეფოსი მოკვდა!

საუკუნის დიდი პოეტი! ეს შესაძლოა?

ხელი ხელია? (თავის ხელებს დაჰყურებს) არ ვიცი?

ის მოკვდა, და ისიც არ ვიცი?

და რა ვიცი?

(ჩურჩულებს, თითქოსდა ემინია, ვინმემ გაიგოს.)

რომ მე დამნაშავე ვარ მის წინაშე

რადგან მდინარეებს (ხელით ჰაერში სწორ ხაზს გაავლებს)

აქეთ მივყავარ (თითქოს რაღაც გაახსენდაო)

ფსიქია!! გაღმერთებ!

(უცებ თითქოს შეიძრაო, ოქროს ისარი იატაკზე ეცემა. ემანუ-
ლოს უცნაურად შეირხევა. წკრიალა ხმა გაისმის.)

– წერილი! წერილი უნდა მივწერო!

(აღელვებული დაჯდება სკამზე, მაგიდიდან იღებს ფურცელს
და კალმისტარს. წერას იწყებს.)

(ეროსი თავისთვის, თითქოსდა ვიღაცას ებაახება):

– აი, მისი ტლუ ვნება!

(იცინის)

ვერაფრით აქცევ სიწმინდეს სიბინძურედ

ცას ვერ გარდაქმნი ჭაობად,

ვარსკვლავი ვერ იქცევა სუნიან ვიროხად,

ემანუელში ცა ბრწყინავს,

და სიწმინდე სუფევს,

მასში ყველა საგანი ღვთის ღიმილით იმოსება,

როცა ის ტირის, როცა ის სწუხს,

მთელ სამყაროს სევდა ეფინება. დიადი სევდა!

ემანუელს მამის, დიდი პოეტის სიკვდილი!

თითქოსდა სამყაროს ღერძი გადაუტყდა,

თითქოსდა მზე, მბრწყინავი მზე,

ასე ძალუმაღ რომ ანათებდა ხელოვნების სამყაროს,

ჩაესვენა,

დაბნულდა და საგნებმაც დაკარგეს გამოსახულება.

ეხლა ფსიქიასაკენ! ფსიქიასაკენ მივფრინავ!

დედის ბრძანება?!

ხომ, დედის ბრძანებას განუსჯელად მივსდევ...

ეს არის ხელოვნების სამეფოს

კანონზომიერების ქვაკუთხედი!

სურათი II

(ეროსი ფსიქიას ფანჯარასთან მოფრინდება. ფანჯრიდან გა-
ჰყურებს ფსიქიას, რომელსაც თმები ჩამოუშლია. ფანჯარასთან
ზის და ცას გაჰყურებს. ის რაღაც არაამქვეყნიური სილამაზით
ბრწყინავს, ეროსი ჩუმად ყურს უგდებს და აღფრთოვანებას ვერ
ძალავს.)

ფსიქია:

მე მჭკნარი ფოთოლი ვარ

და ცაში შრიალით მივფრინავ

შრრ! შრრ! შრრ!

ფრთხილად! ფრთხილად!

არ დავიმსხვრე და არ განვქრე!

მე ხომ მჭკნარი ფოთოლი ვარ!

ფოთოლი, რომელსაც ცივ და სველ ქვაფენილზე ძალუძს

შეიგრძნოს პოეტის სევდა, ძაღლის სევდა,

მოხუცი ქალის სევდა, ჩიტის სევდა...

სევდა... მასში ხომ კაცობრიობის სინათლე თვლემს

და ძილ-ბურანში სცნობს თავისთავს

სევდა... ის, ხომ ბავშვის სიხარულის უკან იმალება

და თითოეულ ჩვენგანში ცოცხლობს, ვით ამ სიხარულის

მოგონების ანარეკლი და ტვიფარი

(ეროსი ვით ქარიშხალი, ისე შეიჭრება ოთახში და ფსიქიას
წინაშე დაიჩოქებს):

– მომეცი ფიცი, რომ გეყვარები

და სხვის სიტყვებს მიიღებ,
 ვით ქარის ქროლვას.
 სხვისი სიტყვები დაიმასხოვრე
 ქვიშის მარცვლების ამო მოძრაობაა
 სხვისი სიყვარული, სხვისი სიტყვები,
 ვნების უსახო მოძრაობაა!
 ვნების უსახო მოძრაობაა!
 ვნების უსახო მოძრაობაა!
 მიედინება და
 მის ნებას არ ემორჩილება
 (ხელებს პათეტიურად გაშლის)
 – დღეს ვიღაცას უყვარხარ
 მაგრამ ... ხვალ
 მე კი შენი სულის სხვა სახე ვარ!
 მე კი შენი სულის სხვა სახე ვარ!
 (უცებ მოსჩანს, ფსიქა და ეროსი როგორ შეტყუებდებიან.)
 (გაისმის მწუხარე მუსიკა. შემდეგ ეს მუსიკა მსუბუქი, ირო-
 ნიული განწყობის მუსიკით იცვლება.)

სურათი III

სცენა. შეიძლება ეკრანზე (უფრო სასურველია სარკეში)
 ჩნდება აფროდიტე, რომელიც ორმაგდება. თითქოს, თავისთავს
 ესაუბრება.

პირველ აფროდიტეს აცვია ზღვისფერი, ტალღისებური კაბა,
 მკვრივი ტანი აქვს, ტანზე ლამაზად დაფენილი კაბა უფრო
 ამკარად ხდის მის მაღალ მკერდს, ყელზე უბრწყინავს მარ-
 გალიტის მძივი. მეორეს აცვია ბრჭყვიალა მწვანე კაბა, თავზე
 უცნაური ვარცხნილობა და ქუდის ნაცვლად პური ადევს. ეს უც-
 ნაური ქუდი რამდენიმე მწვანე ბუმბულით არის გაწყობილი, მისი
 ტანი შეფერთხილა, მკერდი დაწეულა, ავხორცობისა და სიბერის
 კვალი ატყვია.

(აფროდიტე ზღვისფერი კაბით, მიმართავს თავის ორეულს:)
 მე ველარა გცნობ, შენ ხომ სილამაზის სიმბოლო იყავი
 შენ შთააგონებდი ადამიანებს მაღალ ზნეობას
 და შენ ზეცად ასულ მშვენიერებას, ეხლა ჭკობში ჩაგირგავს
 თავი.

მე ველარა გცნობ
 შენ – ვინც გაზაფხულს ალამაზებდი,
 შენ – ვინც ბალახებს ცვრის ნამით აციმციმებდი,
 შენ – ვინც ცის სიმაღლეს, აქ მიწაზე ბუნებაში აქსოვდი,
 შენ – ვინც ხეებს ეხმარებოდი მიწის სიღრმიდან
 ამოუტანათ სიცოცხლის წვენი
 და შთაებერთ დედამიწისთვის სიცოცხლე
 შენ ეხლა სიკვდილს ჰქადაგებ.
 შენ დღეს მშვენიერებას უარყოფ!
 შენ უარყოფ შენს სილამაზეს!
 შენ უარყოფ საკუთარ დიდებას!
 შენ – იქეცი თავისუფლების მტრად!
 შენ ებრძვი ემანუელს?
 და ვის?
 დიდი პოეტის გზის გამგრძელებელს!
 ერთდროს სამყაროს საზრისს დაეძებდი
 და ეხლა კი იმ კაცის მონა გახდი,
 ვინც სამყარო გააბერწა.

(მწვანეკაბიანი აფროდიტე თავის ორეულს ურცხვი სახით
 და სწრაფი მოძრაობით უახლოვდება. უხეშად მოგლეჯს და გასწ-
 ყვეტს მძივებს. ისმის, მიწაზე როგორ ეცემა მარგალიტის მძივები.
 პირველი აფროდიტე ტირის, მეორე კი დოინჯს შემოიღებს და
 ურცხვი სახით ამბობს რიხით:)

– შენი დრო წავიდა,
 სიყალბეს ყავლი გაუვიდა.
 შეხედე შენს სხეულს, ამ აფუებულ მკერდს,
 რა სასაცილო ხარ, თითქოს საფუარით

მოზელილი ცომი იყო.

ადამიანს უნდა ეტყობოდეს,
რომ ის ცივილიზაციის პირმშოა
ტექნიკამ უნდა დაგატყოს კვალი
და ეს ნიშნავს, უფრო მეტად ჩაეჭიდო ბუნებას,
დაე, იზეიდოს გულწრფელობამ და სითამამემ
გვეყო ეს მოზომილი ნაბიჯები, გათვლილი ჟესტები,
(ხმამალლა იცინის და მხიარულად):

– ესლა ჩემი დროა.

(ცეკვა-ცეკვით:)

– კმარა მანჭვა და გრეხვა

კმარა ხელოვნურობა,

კმარა ეს ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები.

დაე, ადამიანი იყოს ის, რაც არის,

ხელოვანი და ყველა.

აი, ეს არის სოლიდარობა!!

არავითარი განსაკუთრებულობა, ყველანი ერთნი ვართ!!

(ორი აფროდიტე ერთმანეთს უახლოვდება, ტუჩებში კოცნიან
და თითქოს შეტყუებდებიან. ისმის ხმაური, თითქოს სცენას რაღაც
დაენარცხა. საბოლოოდ სცენაზე ვხედავთ მეორე აფროდიტეს,
გამომწვევი სახით და გამარჯვებულის მზერით.)

სურათი IV

(ხელმწიფე – სატირი – ტახტზე ზის, პომპეზური გამოხედ-
ვა, თავზე უცნაურად წაკრული თავსაფარში ბუმბული აქვს გარ-
ჭობილი, მაჯებზე თანამედროვე სამაჯური, გულისპირი გაღე-
ლილი, მოუჩანს ჯაგარა თმები. ამაყი მზერა. ამ დროს შემოდის
აპოლონი და დიონისე.)

– ჩემო ღმერთებო! (ირონია გამოსჭვივის) როგორ იმგზავ-
რეთ?

რა გადაგხდათ გზაში?

მოგზაურობა, რომელიც ჰაერში ააგებს ტექსტს;

მოგზაურობა, გეოგრაფიული რუკის გადავიწყებით.

გარდაიცვალა ჩემი საყვარელი ძმა,
ძველმოდურ წესებს რომ გვიწესებდა.

და ასე თავს გვახვევდა ტრადიციას.

სამყარო ბნელია და მას ორი ღმერთი წარმართავს:

შემთხვევითობუს! და ევოლუციუს!⁷⁰

სატირი (ხარხარით):

ადამიანი ღმერთკაცი კი არა, ცხოველია, უგუნური ცხოველი,

ჭაობში რომ ჩაურგავს თავი,

ჭამა, სექსი, სიამოვნება რომ წარმართავს.

ადამიანო შენ უნდა იყო ის, ვინც ხარ! –

ბუნების პირმშო, მისი ლალი, თავისუფალი არსება.

თავისუფლება? – ეს ხომ შენი

სურვილის აღსრულებაა!

მყის, დაუთმენლად, სიამოვნებით,

სინანულის განცდის გარეშე

და მაშინ შენ ხარ (დამარცვლით:)

სრულ-ყოფილი ა-და-მი-ა-ნი!

ადამიანი კომპლექსის გარეშე!

(აპოლონს თავზე სინათლის შარავანდედი ჰბურავს. სწორი,
თეთრი სამოსი აცვია:)

– ადრე მეგონა, რომ სამყარო სიმეტრიული იყო.

და სინათლე მეუფებდა ხელოვნების სამეფოში,

და ცა კვებავდა – თავისი მარადიული სატროფოთი,

ღვთაებრივი ნათელითა და სიბრძნით.

დღეს ცხადზე ცხადია, სამყარო დისჰარმონიულია,

– საგნები კი – ასიმეტრიული.

ადამიანი აპათიური,

მწვირეში ჩავარდნილი უაზრო არსებაა.

სიბნელის შვილები ვართ,

სიმახინჯე, დეფორმაცია არის საგანთა არსი.

ხოლო ღმერთი, რომელიც ამ საგნებს ჰგავს

– შენ ხარ, სატირი, და სხვა არავინ!!

დღეს ის სამყარო იღვიძებს,

თავისთავს რომ უმაღლავდა
სურვილის საგანს
და ასე გახდა კაცობრიობა
თავისუფალი! თავისუფალი! თავისუფალი!
დიონისე:

– ადრე, თრობით ვიჭრებოდი საგნებში
და საგნებს ზღვრებიდან სიხარულით გამოვიხსნიდი,
დღეს მივხდი, ამაოა თრობა და გარჯა,
– ფხიზელსაც კი შეგიძლია
ნებისმიერი საგანი ერთმანეთს გადააბა,
და ასე მოიპოვო ჭეშმარიტება⁷¹.
ის, რაც ზედაპირზე დევს, არის კიდევ საგანთა არსი!
თავისუფლება სურვილია,
დაუთმენლად აღსრულებული სურვილი,
ჩემი ბაქში⁷² ქალები და მენადეზი⁷³ დამეხმარებიან,
ფსიქეას ცივი და გათოშილი, უკვდავი მზის სხივი.
ადამიანური ვნების ცეცხლით რომ აღვანთო

(უცებ თითქოს ჩვენს თვალწინ ხდება ორი ცნობილი ღმერთის,
დიონისესა და აპოლონის განმარცხვა თავიანთი ატრიბუტებისგან.
დიონისე თავზე და მკლავებზე მიმაგრებულ ყურძნის მტევნებს
მოიგლეჯს. რევოლვერით კლავს ავაზას, აპოლონი თავზე და-
მაგრებულ სხივოსან ქუდს მოიგლეჯს. ისინი ნელ-ნელა სახეს
იკვლიან, შემდეგ შეტყუებულებიან და ამის შემდეგ გარდაისახებიან
ყვითელ-ბიბილოვან ორ თუთიყუშად.

(ბიბა კმაყოფილი შეჰყურებს ამ ტრანსფორმაციას.

ამ ორს მიმართავს, როგორც ერთ პირს).

სატირი:

ემანუელს მწუხარება!

დილემა!

მამის სიკვდილი?

თუ, თანამედროვე ხელოვნების გაბერწება?

როცა დიდი სინამდვილის ქარები დაჰქრიან

და საგანთა ღიაობიდან მონაბერი

სუნთქვა წვეება ხელოვანს
ჭიდილი იწყება ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის.
საუკუნეთა განმავლობაში
ცხოვრება – ევრიდიკე – ლანდის სახით
ცხადდებოდა ხელოვნების სამეფოში
უნდა დასრულდეს ნარცისის⁷⁴ ეპოქა!
აღარ უნდა იარსებოს ორფევსის ხატებამ!
მე მოვაწყობ სასამართლოს,
და ეს იქნება მოგზაურობა გემით,
რომელიც უფსკრულისაკენ დასძრავს კლასიკასთან ერთად,
ემანუელს დაბნეულ სულს.
ჩვენ გადავრჩებით, რადგან ჩვენ
დიდიხანია უფსკრულზე ვწევართ,
ის კი დაილუპება! ის დაილუპება!
ნარცისთა ნაწერებში
ცხოვრება გამოტოვებულია!
ანუ ხელოვანის ნაწერებსა და
მის პიროვნებას შორის
გაუცხოების საზარელი,
მყარი კედელი აღმართულა.
პოეტის კალამი იქნებ სულიერობის მეშვიდე
საფეხურზე ქმნიდეს შედეგს,
და პოეტი კი ცხოვრებაში ძლივს მეორე
საფეხურზე ასულა.
აი, უფსკრული...
აი, გაუცხოება...
(საკმაო პაუზა. აგრძელებს:)
– პოეტი წარმოთქვამს ჭეშმარიტებას,
და ეს ხომ მისი უცხო სამკაულია.
(და მაშინ გულუბრყვილოდ ჰკითხავთ ამ ბრიყვს:)
– რა მნიშვნელობა აქვს წერას?
(სატირი აგრძელებს:)
– მე უკვე ვხედავ მის სახეს,

აღელვებულს და შეძრწუნებულს,
და ვჭვრეტ, (ქირქილით) იჭვი როგორ ღრმავდება,
მის აბორგებულ სულში.
მჯერა, ეს აიძულებს მას, გამოცხადდეს
„თუთიყუშთა კრებაზე“.

დღეს აღსრულდება ორფევსის განაჩენი,
და გაჰქრება მისი შვილი, მისი ალი და კვალი
შენ, დიონისევ ყოველთვის დევნილი იყავი.
ძველი ხელოვნება ყოველთვის უარგყოფდა.
ეხლა კი შენი ღრო დადგა –
შენ დიონისე აღარ გამოიხმობ საგანთა არსს!
არა! არა! და არა!
საგანთა არსი, ძველ ხელოვანთა
უგუნური წარმოსახვის ნაყოფია.
შენ ხელახლა იბადები!
შენ კი, აპოლონ, შენი ცრუ დიდების ზეიმი დასრულდა.
(კმაყოფილი ღიმილით შესცქერის ორივეს):
შეახსენეთ ემანუელს,
რომ მისი ძველი მუზები და მეგობრები ხართ!
მე მსურს, მას ასწავლოთ
ახალი ანბანი
ჩვენი ხელოვნებისა.
აღამიანს არ გააჩნია ეროვნულობა,
არ გააჩნია სარწმუნოება.
ის თავისუფალია! თავისუფალია! თავისუფალია!
იმ ყალბი და უაზრო ბორკილისაგან,
კლასიკოსები – სინანულს, რომ უწოდებდნენ.

სურათი V

(ფსიქეას ოთახი. ფანჯარასთან დგას თმაგაშლილი ტირის და ცახცახებს. ხელში უჭირავს წერილი. ხელით ცრემლებს იწმენდს. შემოდის აფროდიტე.)

– ჩემო ბავშვო! რამ აგაღელვა?
რა არის ეს? (წერილს შეჰყურებს), რა გამწუხრებს?

ფსიქეა:

– წლების განმავლობაში თქვენმა მზრუნველობამ
ჩემთვის ღვიძლ დედად გაქციათ.

(ფსიქეას ტირილი აუვარდება. წყვეტილ-წყვეტილ განაგრძობს.)

ფსიქეა:

– ემანუელს დღეს ჩემთან შემოვარდა
ისე, რომ არც კი დაუკაკუნებია კარებზე.

(აფროდიტეს აქ სიცილი აუვარდება. ცხადია, გაახსენდება თავისი დავალება ეროსისადმი. შემდეგ თავს სწრაფად შეიკავებს.)

ფსიქეა აგრძელებს:

– უცებ ჩემი ხელი დაიჭირა.
დიდხანს მიყურებდა თვალგაშტერებით
გაოცებული უკან-უკან იხედებოდა
და ასე აგრძელებდა ამ უცნაურ დაკვირვებას.

შემდეგ ხელში წერილი ჩამიძლო,
და სწრაფად დატოვა ოთახი
კარები კი ისე მაგრად მიაბრახუნა,
\რომ სასახლე შეზანზარდა,
მეგონა კედლები ჩამოინგროდა.
აი, ეს წერილი...

(ფსიქეას ტირილი აუვარდება.)

(აფროდიტე, მეტისმეტად ტკბილი ხმით:)

ჩემო ბავშვო, შენც კარგად უწყი
თუ როგორ უმეგობრდება პატივისცემა სიყვარულს,

როცა შენს ძვირფასს სახეს ვჭკვრეტ.
და ემანუელს ვერ მივცემ იმის უფლებას,
გაგეარშიყოს...

თუმცა დაიცა...

(აქ ის, ვითომცდა ფიქრიან სახეს იღებს და სასწრაფოდ დაამატებს):

– მე ვიცი, მე ვიცი ეხლა სად უნდა წავიდეთ!

მეფესთან და დედოფალთან

და გავამჟღავნოთ მიზეზი, თუ რატომ არის

ემანუელს ასე დაღონებული და შეწუხებული.

შენმა სიყვარულმა დაუბნელა გონება,

და იმ აზრმა, რომ შენ უკვე ეკუთვნი სხვას.

და ეს ხომ ჩემი შვილი ეროსია. (ემმაკური და ალერსიანი სახით, თან კოცნის):

და უფრო მეტიც,

ახლა თქვენ შეუღლებაზე უნდა ვიფიქროთ.

აფროდიტე (თავისთვის, აღტაცებული):

– აღსრულდა ჩემი მისია!

ის, რაც ძველ სამყაროს დაანგრევს,

წმინდა სული ხელოვნების სამეფოში

აღარ იარსებებს

ღიას, ჭეშმარიტება არ უნდა არსებობდეს.

(დამარცვლით წარმოთქვამს:)

ვნე-ბის გა-რე-შე! – ცთო-მის გა-რე-შე₇₅,

ეს აღსრულდა!

საუკუნეთა განმავლობაში გაბატონებული

აზრი მოისრა.

ფსიქეა, უკვდავი სული ვნებით იმოსება.

ხა! ხა! ხა!

სურათი VI

(სასახლის დარბაზი. მეფე ტახტზე ზის, მის გვერდით დედოფალი.

აფროდიტე თითქმის შერბის დარბაზში და ძალით მიჰყავს ფსიქეა. ფსიქეა ცრემლად იღვრება.)

მეფე ხმამაღლა:

– ძვირფასო ბავშვო, რამ დაგაღონა,

გავვიმხილე შენი ტირილის მიზეზი.

აფროდიტე (წერილს მალლა აათამაშებს):

– აი, რამ გამოიწვია ფსიქეას დამწუხრება.

და უნებურად ემანუელს გარდასახვის მიზეზსაც მივაგენით.

(მეფეს ცნობისმოყვარეობა გამოეხატება. დედოფალი შეჰყურებს მეფეს და შემდეგ ერთხმად):

– წავიკითხეთ ხმამაღლა ეს წერილი.

(ფსიქეა სახეზე ხელებს აიფარებს, ხან წითლდება, ხან კი ფითრდება. აფროდიტე წერილს გაშლის და კითხულობს):

– ბელტში მომწყვდეული მარცვალი

გრძნობს სამყაროს სავესებას,

ვარსკვლავი ცის უსასრულობაში

იმწყვდევეს პოეტის გულს,

საშოში მყოფი ბავშვის ნაყოფი, –

ადამიანის არსი,

მთელ კოსმოსს ესაუბრება.

ასე, მე და შენ

ვართ ერთნი.

მე და შენ ვართ ერთნი.

შეშლილობის სიწმინდე

და უკვდავი ვარსკვლავის, უკვდავი სულის სიწმინდე

ეს არის

თავისუფლება + უსასრულობა,

ეს არის 2+2 და ეს უდრის 5-ს.

აი, ყვავილი მკერდში ამოზრდილი

ამას შენ გაწვდი
სამუდამოდ შენი ემანულოს.

აფროდიტე ხარხარით:

– ხა! ხა! ხა!

ხედავთ ამ აბდა-უბდას,
პოეზიისა და ფილოსოფიის
ამ უცნაურ ნაზავს,
(სიცილით:)

ტვინის შეთხელებას,
ანუ შეშლილობას სიყვარულის ნიადაგზე.

(ფსიქეა შეძრწუნებული, მის ტანჯვას და მწუხარებას საზღვარი არა აქვს, სახეზე ხელებს აიფარებს და ტირის.

შემოდის დარბაზში ემანულოს. სახეზე ხელბაფარებული, თითქოსდა მზე სცემდეს თვალებში. თავისთვის ბუტბუტებს):

– მამა მოკვდა!! დიდი პოეტი მოკვდა!!

და მზე ანათებს!!

და მზე ანათებს!!

და მზე ანათებს!!

(ყველა ერთმანეთს გადახედავს, ყველას დამცინავი ღიმილი აღებეჭდება. მხოლოდ ფსიქეა დაღონებული. მეფე უსიტყვო მიმიკით კითხულობს. ეს დაცინვა ემანულოს მისამართით. ყველა მიმიკით ეთანხმება.

ემანულოს თითქოს თვალებდახუჭული აგრძელებს):

– ვიცი და მაინც არ ვიცი,

ხელოვანი ცრუ მოთამაშე?

სიამოვნებითა და ხარხარით რომ უნდა წერდეს?

(ირონიული ღიმილით:)

– თანამედროვეების აღმოჩენა?!

სტილი – სხეულის ბნელ საცავში დაცული?

ხელოვანის სხეული წერს₇₆!?

არა! მე ვიცი!!! ვიცი!!!

ხელოვანს ანგელოზთა დასი წინ უნდა უძღვოდეს,

უნდა ტანჯავდეს თვისი სხეული

და ცად გარდასახვაზე ოცნებობდეს! (პაუზა)

ადამიანი ჯერ კიდევ ვერ დაეწია ადამიანს!!!

(თითქოს ესლა ჩაესმა ირგვლივ მყოფთა ჩუმი და ბოროტი სიცილი და ამან შეაცბუნა. უცებ თითქოსდა გულმოსული მეფეს მიაშტერდება და თითს იშვერს მისკენ):

– შენ! – შენ! ვერ...

(ხმა ჩაუწყდება... ცრემლები ჩამოსდის. დედოფალი, ოდნავ გამოძწვევად, პათეტიურად):

– ბუნება თავისში გვითრევს, თვის პაწია ნაწილებს

ის უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვენ.

და ჩვენ არა გვაქვს ნება და უფლება,

მის ყოვლადობას ვეურჩოთ.

ეს მისი თავისუფალი და ლალი თამაშია,

მამა კვდება და შვილი რჩება.

ეს ბუნების თამაშია და სხვა არაფერი.

(ემანულოს თითქოს არც ჩაესმის ეს სიტყვები, ხმამაღლა, ისე აგრძელებს თავის სათქმელს. ის თითქოსდა ხედავს და მყის ავიწყდება ირგვლივ მყოფები. ემანულოს მუხლზე ეცემა:)

– დამნაშავე ვარ!

(თითს იშვერს ბიძისკენ):

– შენ და შენი მოწაფეები

აბუჩად იგდებდით ნარცისთა სკოლის ენას.

„მე იგივე ვარ მარად და მარად,

არ ვსდევ ფამთასვლას“⁷⁷

ან როცა კითხულობდით მამაჩემის, ორფევსის სიტყვებს:

– მე ვარო შენი თანამდევნი უკვდავი სული, –

როგორ ხარხარებდით! როგორ ხარხარებდით!..

(ხელებს ყურებზე აიფარებს, თითქოს ესლაც ჩაესმის ეს ხმები, ეს ხარხარი):

– მაშინ უნდა მომეძებნა პასუხი...

მაშინ მამა არ მოკვდებოდა.

(ბიძას მეტისმეტად მკაცრი და ზიზღიანი სახე გაუხდება):

– და შენს თავს ჩუმად დაეკითხე:

ასე ძლიერ მიყვარს თვითმკვლეელი?

(თავშეუკავებელი ხარხარი:)

ღირებულებათა გადაფასება მოხდა
ევრიდიკე, დედაშენი, ძველი დროების ლანდი,
დღეს ხორცშესხმული ქალია,
მასში სისხლი მოძრაობს, შმაგი ვნება,
ვნება – ხა! ხა! ხა!

აღიარე ემანულო, შვილო აღიარე,
რომ მამისადმი შენი სიყვარული კარგი თამაშია?
ჩვენ ისე არ შეგვიძლია გვიყვარდეს ვინმე.
თუ ამ სიყვარულში ჩვენი თავისადმი
სიყვარული არ ჩავდეთ.

აი, ეს არის მწარე სიმართლე!

(აქ ის ეშმაკურად იცინის, თითქოს უკვე გამოიჭირა ემანუ-
ელო ტყუილში და დონიჯშემოყრილი ფეხზე დგება

ბიძის სიცილი ავხორცულია და უხამსი. ყველა აჰყვება,
თუმცა იგრძნობა უხერხულობა და დაჭიმულობა. თითქოს ყველა
თავისთავში ეძებს ძალას, რათა ამ სიცილს აჰყვეს, მაგრამ საბო-
ლოდ ყველა, ეროსისა და ფსიქეას გარდა, ახარხარდება):

ემანუელის გაშეშებული, გახევებული წარმოთქვამს ლექსს.
ხელს იშვერს მათკენ):

– უბედურებაა, რომ მოძრაობ,
მარადიულო ქანქარავ, ქანქარავ – ბოროტო ქანქარავ.

ეს არის, რაც გაურბის იმას,
რაც არის.

შენ არ ხარ შენ!

შენ არ ხარ შენ!

შენ არ ხარ შენ!

იჯექი მყარად, მაგრამ არა, შენ გსურს სირბილი.

დარბიხარ წინ, დარბიხარ უკან,

დარბიხარ ზემოთ, დარბიხარ ქვემოთ.

(შეყოვნდება. სხვა ხმით:)

გზა კი უბრალოა, – ეს, პოხიერ ნიადაგში ჩაგდებული მარ-
ცვლის გზაა.

გაყინულ და გათოშილ მარტობაში რომ გაძლებს –
მაღლიერებითა და სიხარულით რომ მოკვდეს
და იქიდან ამოზრდის ნატანჯ, სულისმიერ ხეს.

(ციცკენ მიაპყრობს სახეს:)

მასში შენი მფეთქავი გული ცოცხლობს,
ხანდახან ჩაგესმის ეს ხმა – ეს შენი გული ფეთქავს.
საბრალო, საბრალო, საბრალო გული.
მას ყოველი საგნის ხმაში მოისმენ.

თუ არ უარყოფ,

თუ არ უარყოფ,

თუ არ უარყოფ,

თქვენში მფეთქავი გული უარყავით.

მიტომაც ასე საზარლად მოისმის საგანთა ხმა,

უბედურებაა ეს უსულგულო

და სულის გამომფიტავი სისწრაფე.

ეს მარადიული ქანქარა, – ქანქარა – ბოროტი ქანქარა.

(ბიძა სიცილითა და მანჭვა-გრეხით):

– რას ეძახი ბოროტ ქანქარას? რას ეძახი ბრბოს!

იმ გენიოსებს, დროს რომ ფეხი აუწყვეს,

სამყაროს სუნთქვას, რომ მიჰყვნენ და ტექსტი ჰაერში
ააგეს?

(ხარხარით):

– მალე გადაშენდება ეს შენი საყვარელი
რაფინირებული კლასიკური წერის მანერა,
რომელშიც ტყუილი, პომპეზურობა, პათეტიურობა
და სულის სიცარიელე დევს.

ნაზი ქსოვილი ეგზემას რომ ვერ ფარავს.

ჩვენი დღევანდელი ხელოვნება

წრფელად, პირდაპირ წარმოთქვამს სათქმელს.

ჩვენ არ ვხმარობთ ღვარჯლიან სიტყვებს,

ჩვენ არ ვიგონებთ მაღალფარდოვან, ბრტყელ-ბრტყელ ფრა-
ზებს

ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რაც გვინდა!

გინდა სექსი?! – და ვამბობ: „მინდა ჟიმაობა“,
გინდა სმა?! – და ვამბობ: „უნდა გამოვთვრე“.
თქვენ კი ალამაზებთ, – და როცა მიუწვდომლად აქცევთ
მშვენიერ, საკონცენტრაციოდ მზადმყოფ ქალს
და მას წარმოიდგენთ რაღაც სიცისფრედ!!!
ცივი და გათოშილი ეხვევი ამ მერის.
არა, არა (აქ სიცილით იგუდება)

ოცნება – მერის!!!

(ლამის დაახრჩოს სიცილმა, ცრემლებიც კი წამოუვა და და-
მარცვლით წარმოთქვამს):

– იქ მე აღ-ვა-გე სუ-ლის წუ-ხი-ლი!!

(მოღით, მოუბრუნდება მსმენელს):

– იყავი ის, რაც ხარ! მოეხვიე და აკოცე!

(აქ ის გამოუცნობ და ეშმაკურ სახეს იღებს და მიგვანიშნებს
უხამს გაგრძელებაზე ხელის მოძრაობით.)

ემანუელო მკაცრი ხმითა და შთავგონებით წარმოთქვამს:

– ვინ გაავლო ზღვარი ჩემში

სიკეთესა და ბოროტებას შორის?

და ეს ხომ შენ ხარ მამა! სამყაროს, რომ ანათებს.

(სცენაზე ჩაგვესმის ჩუმი და მოგუდული ხმით თუ როგორ იცი-
ნის სატირი და ირგვლივ მყოფნი (ეროსისა და ფსიქეას გარდა).

(უცებ სცენაზე ბნელდება და მხოლოდ ემანუელო სჩანს გა-
ნათებული. მისახვედრი უნდა იყოს, რომ სიტყვები, რომელსაც
ემანუელო წარმოთქვამს, მის სულში გახშიანდება მხოლოდ:)

– ემანუელო:

მე ხომ ჩემს თავში

სასოწარკვეთის უძირო ჭკას ჩავყურებ.

არა იმიტომ, რომ ბიძაჩემის – სატირის

სამყარო საშინელია და ასე უაზრო.

არა, თავად ამ სამყაროში ვცნობ

ჩემი აზრების ფრაგმენტებს

და თითქოს ამ სამყაროში ვპოულობ ჩემს სულში

დაფარული ბნელი სარდაფის, საზარელ აზრებს

დამაკნინებელ გრძნობებს, რომ ასახავს.

ეს ის ბნელი და ნესტიანი სარდაფია
იმ ვირთხებს და ფანტასტიკურ მწერებს რომ იფარავს
ნათელ ოთახში, თვალისგან რომ არ მოგვიკრავს.
(სცენა ნათლდება, ემანუელოს შემოიღობი სახე ეძლევა,
თითქმის ყვირის, ისე მიმართავს ირგვლივ მყოფებს:)

ემანუელო:

– ხარხარით კვდება მთელი ქვეყანა,
გაშმაგებით ებლაუჭება სურვილის საგანს
და ივემოვნებს

და ასე მთვრალი, გონებადაბინდული,

სწრაფი ნაბიჯით მიჰქრის

საით?

რისკენ?

ვინ ფიქრობს?

ჩქარა! ჩქარა! ჩქარა!

თვითმფრინავით ავფრინდეთ!

მანქანით გავქროლდეთ!

ადრე თუ სირცხვილი იყო ხანმოკლე ვნება,

ეხლა სირცხვილი არის ცოტა ხნითაც მარტოდ დარჩენა.

მყის მოგაძახებს ბრბო:

– პელო! პელო! პელო!

რა გზას დავადგე!

მძულს, მეზიზღება ჩემი მყრალი დროება,

აზრის ნაცვლად უაზრობას, რომ ჩამჩინებს

უნებურ ფიქრს კი ჭეშმარიტებად მასალებინებს.

გრძნობის ნაცვლად უსახო თამაშს შემომჩინებს.

(ბიძას საზიზღარი და უკმაყოფილო სახე აქვს. ის არც მა-
ლავს ამას. ბიძა ემანუელოს):

– ღმერთო ჩემო! (თეატრალურად ხელებს გაშლის.)

ეს რა ბოდვაა? რა ფილოსოფიაა?

ანუ რა ტვინის ჭყლეტა?

ღმერთის ხატებამ

კაცობრიობა დატანჯა.

დღეს კი კაცობრიობამ თავი გაინთავისუფლა.

(დამარცვლით:)

კაცობრიობა წარმოსახული ტანჯვის გარეშე!

და ხელოვნებამ ამ ტანჯვისგან

თავისუფალმა, ბოლოს და ბოლოს,

მიაგნო საკუთარ თავს.

სიმართლე თქვი, აღიარე, რომ სურვილი წარგმართავს,

მდაბალი ზრახვა, – აი, ეს არის შენი სული.

ანუ შენი მე-ობა.

შენ გინდა ის, რაც შენ ხარ

შენ გინდა ის, რაც შენ ხარ

შენ გინდა ის, რაც შენ ხარ

შენ გინდა სექსი!

სექსი! სექსი! და სექსი!

აი, რა წაგმართავს ყველაზე მეტად.

ყველაფერში სექსია,

ლტოლვა, ჟინი, ბრძოლა, სურვილის დაკმაყოფილება.

სხვა ყველაფერი კი სიზმარია.

მთავარია ერთგული იყო ახლანდებლობის

და იყო მიწის შვილი,

შენ, შენი ჟინის დაუკმაყოფილებას,

ხან მწუხარებას ეძახი! ხან დიად გრძნობას!

ხოლო შენს ბრმა ლტოლვას ღმერთის ხილვას ეძახი.

მხოლოდ სმა, მხოლოდ ძილი და სექსი,

სხვა ყველაფერი კი გამოიგონეს,

რათა ადამიანის ღვთაებრიობა დაემტკიცებინათ.

(ემანუელის გაშეშებული დგას, ღრმად არის დაფიქრებული,

რამდენჯერმე თავს გადაიქნევს და შემდეგ მწარედ გაეცინება.

ფსიქეა ხმამაღლა ტირის.

სატირი ფეხზე დგება და მკაცრ, სერიოზულ სახეს იღებს.

ჰაერში სამეფო კვერთხს აათამაშებს.

ევრიდიკე თავის ყელზე შემოხვეულ სიმბოლურ გველს კოც-

ნის, მეფე ევრიდიკესკენ დაიხრება, ჯერ ხელზე კოცნის, შემდეგ

მეფე გველს თავზე კოცნის.

– სატირი:

– ამ დღემდე, ხელოვნების სამეფო განკარგავდა დედამიწის ბედს

დღეიდან ცხოვრება-ევრიდიკე – ჩემი მეუღლე,

ხელოვნების სამეფოს სრულუფლებიანი წევრი შეიქმნა.

ევრიდიკე, – დამთავრდა ლანდის დრო,

ხელოვნების ქმნილებებში ისევე იცოცხლებ,

როგორც დედამიწაზე.

– სიბრძნეთა სიბრძნე გველი კი,

დღევანდელი დედამიწის წარმართველი შეიქმნა,

ერთ დროს, ის, უდაბნოში უარყვეს,

და მაშინ იყო, რომ ვიღაცამ ქვა არ აქცია პურად.

დღეს დედამიწაზე მდგომარეობა შეიცვალა

აღსრულდა შენი ერთგულის მისია.

(უცებ სცენა ბნელდება და გაისმის გველის სისინი):

– ქვა პურად იქცა! ყველაფერი პურია⁷⁸!

პური – აი, რა იმალება სხვა საგანთა იქით.

სცენა ბნელდება.

ფარდა აიხდება.

შემოდის ავტორი. მის ოქროსფერ სამოსს მწვანე ლაქები აქვს. მაყურებელს თავს დაუკრავს.

აცხადებს: – ლოგოსის ამბავი! (ჩაახველებს, შემდეგ სერიოზულად):

ავტორი:

– ყველა სურვილი, ყველა ჩვენი ბიჯი არის ცთომი.

ქრისტეს სხეულზე რომ

ჯვარცმის ახალ კვალს სტოვებს.

და იმდენჯერ აღსრულდება ჯვარცმის მისტერია,

რამდენჯერაც კაცობრიობა

თავის თავს უღალატებს,

რამდენჯერაც კაცი თავის თავს უმტრობს.

(ავტორის ტექსტს, – მოსდევს ტექსტში გადმოცემული ამბის სცენაზე ილუსტრირება:

ავტორი:

– მოსჩანს უდაბნო. შუა უდაბნოში რატომღაც კარებია, კარებზე თვალია გამოსახული. ის დაჟინებით გვიმზერს. ეს ემანუელის სულისმძიერი თვალი გვიმზერს. გვემინოდეს ამ მზერის!! უდაბნოში ქრისტე ზის და მას ეშმაკი ეცხადება.

გველის სისინს ენაცვლება ეშმაკის ხმა:

– აი, ეს ქვა აქციე პურად! მა-მა-შე-ნის სხე-უ-ლად!

ეშმაკი იღებს წიგნს (რომელიც მიწაზე იდო), ფურცლავს, შემდეგ ფურცელ-ფურცელ გლეჯს წიგნს და მიწაზე ყრის. თან ამბობს:

– შენ ამბობ, რომ ყველაფერი ქვაა, ქვა... არა პურითა ერთითა ცხონდების სული. მაგრამ მე! მე! მე შემოდია ვაქციო ქვა პურად... პურად!!!

სცენა ბნელდება

(ფარდა ისევ იხსნება და ვხედავთ აქა-იქ სცენაზე ჩამოკიდებულ წიგნის ფურცლებს, აქა-იქ პურები არის ჩამოკიდული, მათ შორის ჩამოკიდულია სათამაშო ტელეფონი, თოჯინა, თვითმფრინავი, ბურთი, მანქანა, ჭალი,... შუაში კი მოსჩანს ფეხებით ჩამოკიდული ორფეხის გასისხლიანებული გვამი. სცენა ბნელდება).

ფარდა

(ფარდის წინ შემოდის პირველი ავტორი. მის ოქროსფერ სამოსს მწვანე ლაქები აქვს, – უცებ ვხედავთ ის ორმაგდება, მოსჩანს მისი ორეული. მას სხვადასხვა ფერის ბრჭყვიალა ნაჭრისგან, რომელშიც მწვანე ფერი დომინირებს, ტანსაცმელი აცვია. ხელში მწვანე ჯოხი უჭირავს. პირველი წარმოთქვამს სევდიანად და მწუხარედ):

– ქვა იქცა პურად!

(და ის გადის.) რჩება მეორე ავტორი, სიცილითა და ირონიულობით:

– ადამიანის წარმოსახული ღმერთის მიერ გენიოსთა განსაკუთრებული მისიისთვის უარყვეს – ქვის პურად ქცევა.

– ქვა (ირონიულობითა და შემდეგ დაცინვით) ეს ცის მანანაა! ის ხომ ყოველი ქმნილების ქვაკუთხეა. ჩვენ, ყველა ქმნილებას რომ გამოვაცალეთ.

ალარ არსებობს რჩეული! დიადი სულისთვის, ადამიანთა უმრავლესობა საშუალებად მოიაზრებოდა...ადამიანი საშუალება და არა მიზანი?! კლასიკოსთა ქმნილებებში არასოდეს მოხვედრილა მილიონობით ადამიანი... აი, ამ დრომდე! (ჯოხს მალა ასწევს) ჩვენ განდევნილნი და უარყოფილნი მივიღეთ! ჩვენ დროც გარდავსახეთ! არავითარი ღვთაებრივი წრე! არავითარი ჟამი! ქვიშის მარცვლების უსახო მოძრაობა!.. ქვიშის მარცვლების უსახო მოძრაობა! ეხლა ყველა ადამიანის უფლება დაცულია. დედამიწის დღევანდელი ხელოვნება სწორედ ამ ქვის პურად ქცევას ეფუძნება. ჩვენ ავაშენეთ შენობა, რომელსაც საყრდენად პური აქვს... ჩვენი ყველა ქმნილება მიწიერ პურს ეძღვნება.

(ჩუმი ხმით... იღუმალ ხმით) ის ნათლის ანგელოზს ემსგავსება!

და წყვილად ღამეში მოსჩანს სული! სულის მოძრაობა! სულის გზა! სული! არავის და არაფერს, რომ არ ჰგავს...!!!

III მოქმედება ზმანება

სურათი I

(სცენაზე იისფერი შუქია. სცენაზე ერთი წამით ჩნდება მინის კოლბაში მორიალე თოვლის ფიფქები, უცებ რაღაც ააღდება და მინის კოლბას შავი ფარდა ჩამოეფარება. ემანუელის თეთრი სამოსი აცვია, საშინლად სევდიანი სახით ნელა მიმოდის, უცებ შეშლილი სახე ეძლევა, ცრემლები ჩამოსდის და ისე წარმოთქვამს თავის მონოლოგს:)

– მე შემიყვარდა სამყაროს წყვდიადით მოსილი ღამე,
ავადობა ამ ეპოქისა
და განმარცვული სული,
რომლის სამოსელი
საზარელმა ქარიშხალმა მიიტაცა⁸⁰.
და შემიყვარდა ფილოსოფოსი და პოეტი,
დატანჯული და მოცანცახე,
რადგან იქ დადგა,
სადაც არაფრის გამოთქმა არ შეიძლება.
და ვიხილეთ ქმნადობის პროცესი –
– მზის ღიაობა
– და აზრის აზრი.
აზრი – არავის და არაფერს რომ არა ჰგავს,
გრძნობა – არავისა და არაფერს, რომ არა ჰგავს⁸¹.
განა ეს კოსმოსის წმინდა ხმის ერთგულებაა?
ვინ მიჩურჩულებს ამ აზრებს, და გონებას მირევს?
(დაბეჯითებით:)
მდინარებას სადღაც მიყვებარ!
მაგრამ ამის ნაცვლად ვჭოჭმანებ
და ათასი აზრი ერთად, მყის მიპყრობს
– მამა! ისევ გლალატობ!
მე ხომ... (ხმა უწყდება, ისმის ემანუელის ჩუმი ტირილი.)
(სცენაზე დიონისე და აპოლონი შემოდის. ორივეს თავზე

თუთიყუშის ნილაბი ადევს. ისინი ერთმანეთს გადახედავენ. ემანუ-
ელო ტირილს წყვეტს, ხელებით შეიმშრალებს ცრემლებს და
მშვიდი ხმით კითხულობს:)

– რამ მოგიყვანათ, მეგობრებო,
აქ, ამ დილეგში!
სადაც ადამიანის სული,
ასე გაბერწებული და დაკნინებულია.
(თუთიყუშის ნილბით) დიონისე:
– განა ხელოვნების დიად სამეფოს შეიძლება
დილეგი ვუწოდოთ?
ან დავარქვათ სიბერწე ამდენი აზრის,
ამდენი გრძნობის, ამდენი ცთომის ჩვენებას?
თანამედროვე ხელოვნების სამეფომ
ჭეშმარიტების ახალი გზები მოიძია
და ამ სამეფოდან დედამიწას
ნანატრ თავისუფლებას სთავაზობს
დღეს ნებისმიერი გრძნობა ჭეშმარიტია,
დღეს ნებისმიერი აზრი ჭეშმარიტებაა.
ქვა იქცა პურად!
და მილიონობით ადამიანს უფლება ებოძა!
თუ ადრე მხოლოდ დედამიწაზე შემეძლო არსებობა,
ეხლა ხელოვნების სამეფოს სრულუფლებიანი მეტრი ვარ
და მეფე-პოეტის გვერდით მე – დიონისეს ადგილი მაქვს
მიჩენილი.

ემანუელის:
– საზარელი დრო დადგა!
დროება – გენიოსებს იდიოტებად, რომ აქცევს.
შიში და თრთოლვა მიპყრობს,
დაბრმავედა – დიდი ჯეიმში.
ის ღვთაებრივმა ცეცხლმა დასწვა.
(ემანუელის დაფიქრებული:)
– განა ეს ნიშანი და გაფრთხილება არ არის?
(ჩურჩულითა და შეძრწუნებული ხმით:)
რა ავადაა ეს ეპოქა, – ჩვენი ეპოქა.

(დაფიქრებული)

მზის ღიაობასთან დარჩენა, – ეს, თავზარდამცემია!

წყვედიადით მოსილი ღამე!

არა!!! არ შემიძლია ამ დროებაში ხელოვანი ვიყო!

(აპოლონი და დიონისე ერთხმად:)

– რა მზის ღიაობა?! რა წყვედიადით მოსილი ღამე?!

(ორივე იცინის, მაგრამ ეს არაა ღვარძლიანი სიცილი:)

– შენ დარდობ, რომ მამა მოკვდა!

თუმცა თავად, მამის გზას ზურგი აქციე,

ის რომ ცოცხალი ყოფილიყო,

ბოლოს და ბოლოს,

თანამედროვე ხელოვნებას ფეხს აუწყობდა.

(ემანუელის უცებ ხმამაღალი სიცილი აუვარდება:)

– რა სასაცილოა! როგორ ვერ მივხვდი!

თქვენ გინდათ, (ოდნავ ირონიულად)

ჩემი სევდა შეისწავლოთ.

და ეს სკოლის საშინაო დავალებასავით გადაწეროთ.

(მწარედ იცინის და მკაცრად:)

ჩემი სულის შესწავლა გადაგიწყვეტიათ!

ხა! ხა! ხა!

ერთ დროს ჩემი განუყრელი მეგობრები იყავით,

მაგრამ სატირმა საკუთარი ნების სათამაშოებად გაქციათ.

მის სამყაროში

პიროვნება კვდომას განიცდის.

ერთ დროს ორი ორიგინალი –

დღეს კი ორი ტრაფარეტი.

მე თავად ვერ გამოვიდა, ვინ ვარ.

ემანუელო, მამა რომ მოუკვდა?

ემანუელო, ხელოვნებას რომ ზურგი აქცია?

ემანუელო, კაცობრიობის საზრისი რომ ვერ უპოვია?

და მთელი კაცობრიობის ისტორია ცარიელი

ფურცლების ამო შრიალად რომ მიაჩნია?

* * *

(უცებ ემანუელს განმარტოვდება. თითქოს დაავიწყდა, რომ მის გვერდით თუთიყუშებად ქცეული აპოლონი და დიონისეა. ვხედავთ, რომ მას მარტოობის მწუხარე ნისლი ჰბურავს, – იისფერ სინათლეში ეხვევა ემანუელს. გაშეშებული დგას და ისე წარმოთქვამს:)

– ნუთუ ჩვენი ადამიანური დანიშნულების ძიება

იმ წერტილის ძიებას მოაგავს,

რომელიც არ არსებობს?!

და ჩვენ შეშლილობას კი ეს წარმოუსახავს,

როგორც რაღაც სიმყარე

(წარმოთქვამს დაღლილი და შეშლილი ხმით:)

შეშ-ლი-ლო-ბის დაღ-ლი-ლო-ბა!

შეშ-ლი-ლო-ბის დაღ-ლი-ლო-ბა!

ღმერთი – წერტილი! მზის სხივი – წერტილი!⁸²

მე პოეტი?! აღარ ვარ პოეტი?!

(მიმართავს ემანუელს:)

აპოლონი:

– შენ, ემანუელოს, ამბობ, რომ პოეტი ხარ,

მაგრამ თქვი:

შეგიძლია კი შეჰქმნა ლექსი,

რომელიც შენ გგავს?

ლექსი, შენს სულს რომ გამოსახავს?

(ორივე, დიონისე და აპოლონი:)

– ჰა! ჰა! ჰა!

(ისევ აპოლონი:)

– შენ არ იცი, ვინ ხარ!

– შენ არ იცი, ვინ ხარ!

– შენ არ იცი, ვინ ხარ!

(ერთხმად:)

– ჰა! ჰა! ჰა!

(აპოლონი მკაცრად:)

– შენ წერ ტექსტს! მაგრამ ეს ტექსტი ხომ შენთვისაც რე-
ბუსია!

ტექსტი – სფინქსი!
რა ღირებულება აქვს ნაწერს,
რომელიც ნებისმიერ ავტორს, შეიძლება მიეწეროს?
შეიძლება მომეწეროს მე – აპოლონს!
შეიძლება – დიონისეს! (ხელს იშვერს მისკენ.)
და შეიძლება – ბიძაშენს – სატირს_{82ა}!
(ხარხარით:)

შენს ანტიპოდს.
სიმართლეს გეტყვი!
ეს შენთვისაც სამძიმოა,
შენ ხარ არავინ – შენ ხარ ავტორი,
რომელსაც – ჰა! ჰა! ჰა! – ჰქვია არავინ!
ემანუელს:

– სასაცილოა! ჩემს კითხვებს,
და ჩემს სევდას ახმოვანებთ
რა აზრი აქვს წერას,
თუ შთაგონების დროს,
მე ავტორი, ჩემს თავს
არ შევიცნობ.
თუ არ ხდება ჩემი სულის ზრდა
არ შევიცნობ?! (ხელებს მაღლა აღაპყრობს.)
და ის, ვინც წერს ჩემში ვიღაც სხვაა?!
(დიონისე და აპოლონი უახლოვდებიან, ცდილობენ დაყვავე-

ბული ხმა მიიღონ:)
– ემანუელს! ჩვენ გარდავისახეთ
და თანამედროვეობას ფეხი ავუწყვეთ.
შენ კი ლამის მტრებად მიგვიჩნევ,
მაგრამ, აი ხელს გიწვდით,
ხვალ საღამოს სატირი კითხულობს ლექციას
სათაურით:
– ვინ არის ტექსტის ავტორი?
(დამარცვლით:)

ვინ ა-რის პო-ე-ტი?
აი, იქ მოდი!
წარსული მეგობრობა აღვადგინოთ!

სურათი II

(მოსჩანს წითელი დარბაზი, გრძელი მაგიდა. შუაში ზის ბიძა-
სატირი, გვერდს უმშვენებს დედოფალი ევრიდიკე, რომელსაც
აცვია ვულგარული ტანსაცმელი, ბუმბულებით გაწყობილი. აქვე,
მაგიდას შემოსდომიან თუთიყუშად ქცეული დიონისე და აპო-
ლონი, აქვეა ეროსი, ფსიქეა, ჰერმესი, ქრონოსი, თანატოსი. აქვეა
მეორე აფროდიტე, მასაც ვულგარულად აცვია, ეს მწვანე, ასიმეტ-
რიულად აჭრილი კაბაა. შემოდის ემანუელო, განადგურებული
სახით. მის გამოჩენაზე დარბაზში სამარისებური სიჩუმე დგება.

სატირი დგება, და ზარს დარეკავს):

სატირი:

„მოდით, დავაცხროთ უსაფუძვლო განგაში.

დღეს (ხელს იშვერს ემანუელსკენ) აცხადებენ,

რომ ხელოვნების სამეფოს

განადგურება ემუქრება.

(ის თავის გვერდზე მჯდომ თუთიყუშებს მიმართავს:)

– თითქოსდა თანამედროვე ხელოვნება,

აი, ასეთი, (ხელს იშვერს მათკენ) ხელოვნებად ვერ იწო-
დება!

გვადანაშაულებენ, რომ ჩვენ უარვყავით ორფევსის გზა,
ნარცისტა სკოლის გზა და რატომ?

ჩვენი წინაპრები აცხადებდნენ, რომ ხელოვნების სამეფო
ცასა და დედამიწას შორის არსებობდა.

და ცა აწესრიგებდა ამ სამეფოს.

დღეს ამ ტყუილს ვადა გაუვიდა

ყველა ღირებულება ამოყირავდა,

უნდა ვადიაროთ, რომ ჩვენა ვართ

დედამიწაზე! – დიას! დიას! მი-წა-ზე!
ხოლო ღმერთები (ხელს იშვერს ორი თუთიყუშისკენ)
არ არსებობენ. ეს ჩვენი წარმოსახვის ნაყოფია,
ღიადი ილუზია!
მხოლოდ უვიც ადამიანს აშინებს თანამედროვე ხელოვნება.
ჩვენ პირველად მისი წყალობით შევძელით
ამდენი საუკუნის შემდეგ
ნამდვილად სუნთქვა! დაუჭიძავი და ლალი საუბარი!
(ღიონისე და აპოლონი, ორი თუთიყუშის ხმით):
– მართალია! დაუჭიძავი და ლალი საუბარი!
(დედოფალი ევრიდიკე):
– თანამედროვე ხელოვნებამ
ბუნებრიობასა და სიწრფელეს გზა გაუხსნა,
და აჩინა ადამიანის ნამდვილი ბუნება,
და ძლივს ჭეშმარიტება გაგვიმჟღავნა.
ალარც იმ ლანდს წარმოვადგენ,
გველთან კავშირის გამო რომ დაისაჯა.
დღეს ხელოვნების სამეფოში
დედოფალი ვარ, ჭეშმარიტი დედოფალი!
და მე – მე ვარ, – მე ვარ ცხოვრება,
შეუნიღბავი და თავისუფალი.
(კრიტიკოსი პათეტიურად, სიტყვას აბრტყელებს, ისე სა-
უბრობს, თითქოს სიბრძნის წყარო იყოს:)
– ჩვენი სიმბოლო პურია!
აღსრულდა კაცობრიობის ოცნება:
ქვა იქცა პურად.
სურვილის დაძლევა?
ვინ მოიფიქრა ეს?
სა-კუ-თა-რი რა-ო-ბის მო-ძი-ება?!
ადამიანი ავად იყო!
და ადამიანი განთავისუფლდა ყალბი ადამიანურობისგან,
და დაივიწყა გამოგონილი, ღიადი დანიშნულება.
ეხლა იცის, რომ სიცარიელეშია...
და უკვე არავითარ ილუზიას აღარ იქმნის.

გეკითხებით:

– რატომ უნდა იტანჯებოდეს ადამიანი დედამიწაზე?
დაე, გაერთოს! დაე, ისიამოვნოს!
თავისუფლება – სიამოვნებაა!
სიამოვნება – თავისუფლება!
ადრე ადამიანი ერიდებოდა
თავისი ფარული ოცნების აღსრულებას
და გადაიღვა ნაბიჯი – ქვა იქცა პურად.
და ყველა ფარული ოცნება თუ სურვილი აღსრულდა!
(მხურვალე ტაში.)

(გამოდის პოეტი. აცვია ატლასის ნაჭრისგან ტანზე შემომ-
დგარი, კოსმოსური ტანსაცმელი, თავი გადაპარსული აქვს, თმის
მხოლოდ ერთი ზოლილა აქვს დარჩენილი, ყურზე ერთი საყურე,
იღუმალი გამომეტყველებითა და იღუმალი ხმით:)

– მზე შავია!
– მზე შავია!
– მზე შავია!

და დედამიწამ გადახსნა გულ-მკერდი.
მამაჩემი ძალღივით მოკვდა,
ის არავის უყვარდა და მეც მძულდა,
ილღიებში მაჯლაჯუნები გამომქსნა,
რადგან მტანჯავდა ძველი პოეზია,
ეხლა კი დეზადორის სურნელით ვთვრები.

დედაჩემი მძულს!

ჩემი თავიც მძულს!

მე შიზოიდი ვარ და

აღბათ მკითხველი ჩემზე იტყვის,

ერთი მაგისიც... მაგისი კეთილები,

ეს რა დაუწერიაო!

(ტაში. ხმამალალი შეძახილი: ბრავო! ბრავო!)

მეორე პოეტი:

– ღმერთი უწყალო იყო ჩემს მიმართ,
სასტიკი და გამოუცნობი,
მაგრამ ის ვერ მომატყუებს,

მე არ გამოვდგები მის მონად
და მე ის მოვკალი.
მე მონა არა ვარ!
მე მონა არა ვარ!
მე მონა არა ვარ!
მე მინდა ვიყო ღმერთი!
და მე ღმერთი ვარ!!!
მხურვალე ტაში. ისმის: ბრავო! ბრავო!
(ისევ მეორე პოეტი):
ყველაფერი აკვიატებული იდეის გამო მოხდა,
– გველი უარყვეს,
მაგრამ რა დააშავა ამ ბრძენმა არსებამ
კაცობრიობა ყოველთვის გველის მოსამართლე იყო,
მაგრამ დღეს ის მისი ადვოკატია.
გველი – რელაქსისა და ჭკუის ნიმუში.
გაუმარჯოს გველს!
(მხურვალე ტაში)
(მესამე პოეტი):
– მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის,
მე უცოდველი ვარ – და ვერც მაიძულებენ,
ვალდებულ ვარ ის ცოდვა, რაც არ ჩამიდენია.
არსებობს მითი – ადამის ცოდვა,
ევას ცოდვა, გველის ცოდვა –
ეს მითი გამოიგონეს, რათა ადამიანი დაემორჩილებინათ.
დროა თვალები აგვენილოს –
ადამიანი უცოდველია და თავისუფალი.
და ჩვენ შევქმნით სამოთხეს, – სამოთხეს დედამიწაზე.
(ტაშით დაინგრა დარბაზი.)
(ემანუელის თითქმის არც კი გაუგონია ეს ლექსები
ის ფეხზე წამოდგება)
– ემანუელო:
– ხელოვნება ცის მონახაზია,
ყოველი ადამიანის სულში, რომ მყოფობს.
ცის მონახაზი, რომლითაც კაცობრიობა სუნთქავს

ყოველი ეპოქა, ხელოვანის ღვთაებრივი სათქმელით
თავის უმაღლესს სასამართლოს ქმნის.
რომელშიც ერთდროულად მყოფობს
მოსამართლე, ადვოკატი და განსასჯელი.
ხელოვანი ამ უმაღლესი სასამართლოთი
სულთა განწმენდას ემსახურება.
(სატირი ხელოვნურად განრისხებული სახით წამოდგება.)
სატირი:
– დაე, ასე იყოს:
სასამართლო და ხელოვნება,
ეს ხომ აბსურდია!
ხელოვნება თავისუფლებას აფუძნებს,
თავისუფლება კი – სიამოვნებას,
ჩვენ ბუნების დიად კანონს ვაგრძელებთ.
ეხლა იხილავთ სპექტაკლს,
და გაჩვენებთ თანამედროვე ხელოვნების
მზერით კლასიკას.
სპექტაკლს ჰქვია:
„ილუზიის დასასრული“,
„ჰუმანიზმის ნიღბის უკუმხარე – ტირანიის გასამართლება“.
განსასჯელ სკამზე ზის კლასიკა! ნარცისთა სკოლა!
მაშ ასე, – იწყება სპექტაკლი.

სურათი III

(იგივე წითელი დარბაზი. იგივე წარმომადგენლები: ეროსი, ფსიქეა, აპოლონი, დიონისე, ევრიდიკე, აფროდიტე, თანატოსი, ქრონოსი... ბიძა-სატირი ტაშს შემოჰკრავს და სანთლით ხელში შემოდის ბაკქი ქალები და ლანგრებზე, რაღაც მჭვრივალე მინის ჭიქებში ჩასხმულია მწვანე ფერის სასმელი.)

სატირი:

– მაშ ასე, მეგობრებო!

ეხლა თქვენ ჩემს გზაზე უნდა გაგიყვანოთ.

აი, ბაკქმა ქალებმა მოგვიტანეს

გრძნეული მედეას დამზადებული სასმელი.

ჩვენ ამ სასმელით ხედვას ვსწავლობთ,

მაშ, ასე გადავდივართ სხვა განზომილებაში.

(სცენაზე მყოფი თითოეული წევრი უახლოვდება ბაკქ ქალებს, იღებს ბოკალს და სვამს სასმელს. ყველა ემანუელს შეჰყურებს. ბიძა მას უახლოვდება და თვითონ სთავაზობს ბოკალს)

ბიძა – სატირი:

– ჩემო ძმიშვილო და ჩემო შვილო.

(სატირის უმწეო სახე ეძლევა. უცებ, ის რაღაცით ემანუელს ემსგავსება:)

– დაივიწყე ეს გამოგონილი მწუხარება!

და მიმიღე, როგორც მამა!

ემანუელი:

– მამა!

(იცინის, გაბმულად, წყვეტილ-წყვეტილად.)

– მამა!

(და ემანუელს თითქოს სიგიჟე ეუფლება.

ისევ იცინის, ეს საშიში სიცილი, სიგიჟეს მოაგავს. იცინის ნაწყვეტ-ნაწყვეტად.)

ემანუელი:

– შენ ხარ, მამა! ეს არის ძმამე.

(უახლოვდება მეფეს, თითქოსდა კოცნის, მაგრამ ეს უფრო ლოშნაა. უცებ ხელებს სახეზე აიფარებს).

ბიძა-სატირი:

– მიიღე ეს სასმელი

და ის გასწავლის ხედვას

და შენ იხილავ მამის გზას.

ემანუელი:

– მამა!

(ბიძა – სატირი):

– თავს ნუ იტანჯავ!

თვითონ გააკეთა არჩევანი – თვითმკვლელობა.

ნუ გეშინია! შეიცანი შეუცნობელი!

(ემანუელს სახეზე ირონია, ორჭოფობა გამოსჭვავის, ბოლოს მტკიცედ:)

– დაე, ასე იყოს!

(ემანუელი იღებს სასმელით სავსე ბოკალს და სულმოუთქმელად სვამს. გაისმის თანამედროვე მუსიკა. ნელ-ნელა ყველა ერთ-სახოვანი ხდება და ყველა თუთიყუშად გარდაიხსება. ირგვლივ ყველგან მწვანე ბუხები დაფრინავენ.)

(ემანუელი ყვირის:)

– აი, ის მწვანე ბუხები, მამაჩემი სიკვდილის წინ, რომ ხედავდა.

(ბიძა შეცბუნებას დაყვავებით ნიღბავს:)

– ჩემო ბავშვო, საიდან იცი,

მამაშენი სიკვდილის წინ რას ხედავდა?

(მოულოდნელი გარდასახვის შემდეგ, გაისმის ბიძის სატანური ხარხარი. მხოლოდ მას შერჩა თავისი სახე. ყველანი მწვანე თუთიყუშად გარდაიხსებიან. ჯერ ყველაფერი მწვანე ფერში ეხვევა და ნისლში ინთქმება. ბოლოს სცენა ბნელდება. უცებ ეკრანზე გამოსახულება ჩნდება.)

(შორიდან კინო-კადრში მოსჩანს იესო ქრისტეს უსასრულო რიგი (ჯვარცმის ეკლიანი გვირგვინით თავზე). ახლო კადრი, გადიდებული, კამერა ეკლის გვირგვინს აფიქსირებს და მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ, რომ ის პურისგან არის გაკეთებული. როცა კადრი ძალიან გვიახლოვდება, იესო ქრისტეს ნაცვლად ჩვენს

წინ გოეთე აღმოჩნდება, რომელსაც რაღაც პურისგან გაკეთებული ქუდი ახურავს. შემდეგ ილუზია გრძელდება, შორიდან ვხედავთ იესო ქრისტეს რიგებს (კადრი უკან ბრუნდება). რიგით მეორე იესოს გამოსახულებას კამერა ახლოდან უჩვენებს. ახლო კადრიდან ვხედავთ დოსტოევსკის გადიდებულ, ნაწამებ სახეს... ისევ თავიდან (კადრი უკან ბრუნდება), ისევ შორს კადრში იესო ქრისტეს უსასრულო რიგი გვიანლოვდება (ჯვარცმის ეკლიანი გვირგვინით). ახლო, გადიდებული კადრი, კამერა ისევ ეკლის გვირგვინს აფიქსირებს, აღმოვაჩენთ, რომ ის პურისგან არის გაკეთებული და ბოლოს ახლო, გადიდებული კადრი – გალაკტიონის სახე... ჩქარი კადრი ქრისტეს უსასრულო რიგი (ჯვარცმის ეკლის გვირგვინი) და შემდეგ ახლოდან გამოჩენილ ადამიანთა სახეები... ბეთპოვენი, ლეონარდო, პიკასო, დანტე ალიგიერი...

(სცენაზე გამოდის მოსამართლის ტანსაცმელში გამოწყობილი არტიგა-ი-ქიმერიუსი⁸³. მას თუთიყუშის სახე აქვს და თავს მდაბლად დაგვიკრავს:)

– შენ, ლაქის სამეფოს ხელოვანო!

შენ ვერ მოგდრეკს მრისხანე ქარიშხლები

ვერც ზღვის სასტიკი ზვიგენები შეგაშინებენ.

შენ ზღვაში შეხვალ თამამად და დაუფიქრებლად,

სულის სიცარიელე რომ შეიცნო.

და როცა შენი დამსხვრეული გემით

ზღვის ფსკერზე აღმოჩნდები,

შენს გულში გახმიანდება სიტყვები

– ჩემი ცხოვრება ნაღდი იყო,

ცხოვრება – ვარდისფერი სიცრუის გარეშე.

და მიხვდები, მისია აღსრულდა!

რადგან, შენ ხარ შენ!

(სცენის სიღრმიდან გამოდის მსახიობი და ჩვენს წინაშეა ნარცისთა სკოლის წარმომადგენელი. გამოდის საბრალდებო სიტყვით არტიგა-ი-ქიმერიუსი:)

– აი, ეს არის...

(დამცინავი სახით მიმართავს გოეთეს:)

– როგორ იბადება ხელოვანი ნარცისი?

გოეთე დგება:

– ჩემმა ტანჯვამ დაბადა ცრემლთ-მდინარე

და ამ ცრემლით შექმნილ მდინარეში

უსასრულოდ ვიმზირები და ვიძირები.

აქ, იყრის თავს და მოძრაობს

მსოფლიოს საგნები.

და ასე სულიერდება და ერთიანდება

სამყაროს ყოველი აზრი, ქმედება თუ გრძნობა,⁸⁴

(ის ხელს გულზე მოიკიდებს.)

– ყოველი საგანი ჩემი გულიდან გარდმოდენილი ცრემლია,

და იკვრება იდუმალი წრე შემოქმედების

ზევიდან ქვემოთ, ქვემოდან ზევით, რაც ერთი და იგივეა.

ხალხი ამ მდინარეს ჩემს შემოქმედებას უწოდებს.

(გოეთე ნელი ნაბიჯით საბრალდებულო სკამისკენ მიემართება და მასზე ჯდება, ხელებში ჩარგავს თავს. არტიგა-ი-ქიმერიუსი წინ წამოიწევა – დაცინვითა და ირონიით:)

– აი, რას წარმოადგენს ნარცისთა სკოლა!

(ხელს იშვერს გოეთესკენ.)

– საგანს, უბრალოდ სურს იყოს საგანი! –

ისეთი, როგორც ის არის.

ადამიანს კი სურს,

ისეთად მიიღონ, როგორც იგია.

ნარცისის ხელში სამყაროს მრავალფეროვნება

ერთის ხელისდაკვრით კვდება.

სამყარო, ათიათასი ფერით,

ადამიანთა განუმეორებელი ხასიათით

და პიროვნული ნიუანსით,

ერთადერთი იდეის მტარვალობას ემორჩილება,

(გამომწვევად და ირონიით:)

ცარიელი ფრაზები!

ყალბი სათნობა, ყალბი პათეტიურობა!

(არტიგა-ი-ქიმერიუსი ყვირილზე გადადის, ის მკაცრად მისჩერება გოეთეს:)

– პათეტიურობა?
რომანტიკა ცხოვრებაში?
სიბერე, ავადმყოფობა და სიკვდილი
აი, სამი საზარი გარდუვალობა,
რაც წარმართავს სამყაროს
და მუდმივ ტანჯვაში აგდებს ადამიანს!
დაუცველი ადამიანი,
უმწეოდ ისრისება სამყაროს
შენეული მოვარაყებულის სიღიადის წინაშე.
შენ გამოტოვე სამყაროში არსებული
ბნელი კუთხე-კუნჭულები,
შენ გამოტოვე ადამიანის ანეგლოტური ცხოვრება,
– ცხოვრება ისეთი, როგორც ის არის, –
შეულამაზებელი და უაზრო!
ნარცისი თავისთავს შეიცნობს,
(იციანის)
ფრთხილად, (პაუზა) და სანახევროდ.
რადგან თავის მიერ შექმნილ მდინარეს ვერ სცილდება.

* * *

(სცენა ბნელდება. ეკრანზე მოსჩანს გოეთეს შთაგონებული სახე. მისი მზერა ერთი მიმართულებით არის გამიზნული. მოსჩანს: მახინჯი ბავშვი ტირის და მისკენ ხელს იწვდის, კადრი გოეთეს შთაგონებული სახით იფარება. ამას ენაცვლება კადრი, რომელშიც მოსჩანს უმწეო, გაძვალტყავებული, ავადმყოფი მოხუცი, ხელს იწვდის გოეთესკენ. კადრში ჩნდება ისევ გოეთეს შთაგონებული სახე. ისევ ერთი მიმართულებით მიპყრობილი მზერით, კადრი ამ სახით იფარება. ამ კადრს ენაცვლება ზღვა. აბორგებულ ზღვაზე მოსჩანს გემზე მჯდომი ადამიანები სასოწარკვეთილი ყვირით შეველას რომ ითხოვენ. ამას მოჰყვება გოეთეს შთაგონებული სახე, ისევ ერთი მიმართულებით მომზირალი, კადრი ისევ გოეთეს შთაგონებული სახით იფარება.)

* * *

(იგივე სცენა. საბრალებული სკამზე ზის გოეთე. არტიგა-ი-ქიმერიუსი მკაცრად მიმართავს გოეთეს:)

– ნარცისთა სკოლის წარმომადგენელი თავს შეიცნობს!
(პაუზა.)
– (მიმართავს მაყურებელს.
და შემდეგ მკაცრად მიმართავს გოეთეს:)

სულის სიღრმეში, უნდა ჩაიხედო,
ისე, რომ შენმა ცოდვამ დაგაავადლოს.
(მკაცრი, გაყინული ხმით:)
შენ კი მაშინაც კეკლუცობ,
როცა ყველაზე ღრმა აზრს წარმოთქვამ.
ცივი გონებით თავის შეცნობა ანუ, სოლიფსიზმი!
(მკაცრად, დატკეპნილად და დამარცვლით:)
გინდა გითხრა, რა ჰქვია შენი სულის მოძრაობას?
ეპოქის ბრწყინვალე სამოსელით რომ დაფარე!
ევოლუცია, ანალოგია და მეტამორფოზა.
(მრისხანე ხმით:)
შენ უღალატე შენს იღუმალ ბედს!

(საბრალდებულო სკამზე მჯდომი ყვირილს იწყებს (მას გოეთეს სახე აქვს.) ერთი წამით სცენა ბნელდება და ჩვენ გოეთეს ნაცვლად ვხედავთ საბრალდებულო სკამზე შოპენს. არტიგა-ი-ქიმერიუსი ირონიულად იცინის.)

არტიგა-ი-ქიმერიუსი:

– ხელოვანის ამაღლებული სიყვარული?
დედამიწის ენაზე მას მეუღლე ეწოდება.
როგორ? როგორ? როგორ?

(ეს ისე ჩაგვესმის ვითომცდა პატეფონი მოიშალაო)
(არტიგა-ი-ქიმერიუსი აგრძელებს. მკაცრი ხმით:)

– როგორ ექცეოდა პატივცემული ნარცისი,
თავის მეუღლეს? ცხოვრებას?
(შოპენს მიმართავს),

ცხოვრება არასოდეს შემოჭრილა მის შემოქმედებაში
და დოგმად იქცა ხელოვნების სამეფოში.

ცხოვრებისგან განყენებული ხელოვნება
ცხოვრებისგან მხოლოდ აბსტრაქცია, ექო და ფრაგმენტი...

გვრჩებოდა ... გვრჩებოდა ... გვრჩებოდა
(ეს ისე ჩაგვესმის ვითომცდა პატეფონი მოიშალაო)

ასე გაბანტონდა ხელოვნებაში ხელოვნური ადამიანი,

(სცენა ბნელდება. ეკრანზე მოსჩანს შოპენის ნაზი სახე. მოსჩანს დანაგვიანებული მტვრიანი ქუჩები, მათხოვარი ბავშვები. ამას ენაცვლება შოპენის შთაგონებული სახე და მისი ნაზი, ლამაზი მუსიკა. მეორე კადრში მოჩანს, როგორ მისდევს ერთი ადამიანი მეორეს და კლავს. კადრში ისევ შოპენის სახე და მისი ლამაზი მუსიკა მოისმის და მოჩანს მესამე კადრში კაცი ქალს აპკიდებია და ებლარძუნება, უხეშად ექცევა, კოცნის. ქალი სილას გააწნავს. ისევ შოპენის სახე და მისი ლამაზი მუსიკა მოისმის.)

(სცენაზე საბრალდებულო სკამზე ზის შოპენის ნაცვლად გალაკტიონი. ის სადღაც ცაში იმზირება. შთაგონებული სახე აქვს. არტიგა-ი-ქიმერიუსი მეტისმეტად ირონიულად მიმართავს მას.)

– ნარცისი – შემოქმედი! და ნარცისი – ადამიანი!

შეიცან თავი შენი! –

მაგრამ ის ხომ დროს ოცნებაში ატარებს (ხელს იშვერს გალაკტიონისკენ.)

თქვენ ფიქრობთ, რომ ის ცნობს თავის თავს?

ცდებით!

წაიკითხეთ მისი ლექსები:

„ვიმდერო, მაგრამ რაა ჩემი სიმღერა.

წუთით მიტაცებს, სამუდამოდ წყლულს ვერ შლის ვერა.

და თუ ვინმე ჩემს ხმებს მიჰყავს,

მე ვის წავყვე ჩემის წამებით?“⁸⁵

სიმღერა გართობა. –

– ბუნების მრუმე სახე.

ინსტინქტი, ინსტინქტი და ისევ ინსტინქტი!

როგორც მდინარე ალტაცებით ელამუნება

თავისი შხეფებით ქვებს.

მიაქციეთ ყურადღება, რას წერს იგი:

„ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი.

ნუკრის თვალებით, თმით – მიმოზებით.

და მწუხარების მალე ნიაჭში

მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები“⁸⁶.

და ისე წერს, თითქოს მართლაც შესტკიოდეს ბავშვზე გული, რომელიც ქუჩაში წაიქცა. გალაკტიონის დედა კი ვერადა ვერ ეღირსა მის ნახვას.

რა მოხდებოდა,

დედა გენახა, ასე რომ გელოდა?

(სიცილი წასკდება. აგრძელებს. მისი მეუღლე მას ამაღელვებელ წერილს წერს:)

„გალ. განვიცდი უშენობას. განვიცდი მარტობას. მე სიკვდილის მოახლებას ვგრძნობს. თითქოს კოსმოსის ცივი ხმა წვდება ჩემს სულს, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ შენ დამცინი.“

არტიგა-ი-ქიმერიუსი:

(წარმოთქვამს დამარცვლით და ირონიული წამღერებით:)

– მეუღლე ზუსტად აფასებდა

ამ გენიალურ ადამიანს.

– ის მას სარკასტულად დასცინოდა.

და ჩვენ ვადანაშაულებთ მას.

და ამ დანაშაულს ჰქვია

გაუცხოება საკუთარ ბედთან, საკუთარ ტექსტთან!

საკუთარი ტკივილის ვერ ცნობა! – ვერ გრძნობა

ავტორი, რომელსაც ჰქვია – არავინ! (სამჯერ განმეორდება)

(სცენა ბნელდება. კინო-კადრი – გალაკტიონი ცაში იმზირება.

მას დედა უახლოვდება, წყნარი, მოსიყვარულე ხმით ეკითხება: შვილო, გატუნია, რატომ, რატომ არ მოდიოდი ჩემთან? გალაკტიონი ხმას არ იღებს. დედას არ უყურებს, და ისევ შთაგონებული სახე აქვს. შემდეგ შემოდის მისი მეუღლე, ოღია ოკუჯავა და მიმართავს: გალ! შენ ყოველთვის დამცინოდი. რა კარგად თამაშობდი სიყვარულს! სიტყვათა თამაში, სიტყვათა თამაში! გალაკტიონი ისევ დუმს. ცივი მზერა და ისევ შთაგონებულ სახით ცას მისჩერება. ვხედავთ ქუჩაში თუ როგორ წაიქცევა ბავშვი. გალაკტიონს ისევ შთაგონებული სახე აქვს.)

* * *

(სცენა მწვანედ ნათდება. მოსამართლის სკამზე მოსამართლე-სატირი ზის, სკამიდან დგება, თავს დაგვიკრავს და სიტყვას წარმოთქვამს.)

(საბრალდებულო სკამზე ზის გოეთე, შოპენი, გალაკტიონი... მოსჩანს სკამზე მსხლომთა გრძელი რიგი, ოღონდ ისინი სახით არ ჩანან.)

არტიგა-ი-ქიმერიუსი:

– ვადანაშაულებთ მკვლელობაში!

(დარბაზში სამი თანამედროვე პოეტი ზის, თავგადაპარსული, პრიალა ტანსაცმლით. სიტყვით გამოდის ცნობილი კრიტიკოსი:)

– ვადანაშაულებთ მკვლელობაში!

(სცენა ჯერ ჩაბნელდება, შემდეგ ნათდება და ზემოთა ნაწილში მოსჩანს ემანუელის მამის, ორფეუსის ფეხებით ჩამოკიდებული გვამი. მას ხელში დანა უჭირავს. შემდეგ სცენის ზემოთა ნაწილში ვხედავთ პურებს, აქა-იქ ჩამოკიდებულს.)

(სატირი დგება და კითხულობს საბრალდებულო სიტყვას:)

– აქამდე მსოფლიო ემორჩილებოდა თქვენს მიერ ამორჩეული,

არა, აკვიატებული იდეის,

ერთადერთი იდეის ტირანიას!

ერთადერთი გრძნობის ტირანიას!

ერთადერთი აღქმის ტირანიას!

ეს კაცობრიობის ტრაგედიაა!⁸⁷

„ხელოვანნი ზღვას იესო ქრისტეს დარად გადასერავენ!“

თქვენი შემოქმედება ერთადერთი ნაბიჯია!

თქვენი შემოქმედება ზღვაში ჩაძირულის წარმოსახვა!

თქვენ უარყავით და მოკალით

დაუცველნი და სასოწარკვეთილნი,

თქვენ მხოლოდ ერთი ფორმა გაქვთ!

არ შეგწევთ მოისმინოთ სხვათა სიტყვები!

თქვენი სიბრძნე –

წარმოსახვითი წერტილის სიმყარეა!

თქვენი სიბრძნის გზა...

(სატირი ხელს იშვერს ბაკქი ქალებისაკენ

ბაკქ ქალებს ბორბალი გამოაქვთ.)

სცენა ბნელდება

* * *

(ეკრანზე მოსჩანს ბაკქი ქალები როგორ იღებენ პატარა ბორბალს. – გოეთე უახლოვდება ბორბალს, იკუნტება, ჯდება ამ პატარა, მრგვალ ბორბალში და კინოკადრში ვხედავთ დედამიწას, ცის უსასრულო სივრცეში ჩაძირულს – ამ უსასრულობაში ეს პატარა ბორბალი გოეთესთან ერთად სწორხაზოვნად გადასერავს ამ სივრცეს. შემდეგ მოსჩანს შოპენი. ისიც უახლოვდება ბაკქ ქალებს და ისიც იკუნტება და ჯდება ამ პატარა, მრგვალ ბორბალში და ისე გადასერავს ამ უსასრულო სივრცეს... მოჩანს ბეთჰოვენი... მოჩანს გაურკვეველი რიგი გენიოსებისა ნისლში... ცალკე ბორბალი სჩანს.)

ფარდა

IV მოქმედება ზმანება

სურათი I

(დარბაზი ნაწილ-ნაწილ უნდა განათდეს იისფერი შუქით. ერთ ადგილას მცირე განათების მეშვეობით ვხედავთ, რომ ეს იესო ქრისტეა ჯვარცმის ეკლიანი გვირგვინით თავზე. (სცენის ეს მონაკვეთი უფრო ნათლდება. დიდი განათება. ვხედავთ, რომ სინამდვილეში ეს დანტე ალიგიერია.)⁸⁸

ისმის სიტყვები, მკაცრად და სიყვარულით:

– სიყვარული!!!

ის, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს...!

...ბეატრიჩე!⁸⁹

(უცებ ვხედავთ, თუ როგორ ორმაგდება დანტე ალიგიერის სახე და ის, მრისხანედ წარმოთქვამს:

– ადრე, ჯოჯოხეთი, სალხინებელი, სამოთხე –

ცალ-ცალკე, თავისთვის მყოფობდა.

დღეს კი, ყველაფერი ერთმანეთში შეედინება:

ჯოჯოხეთი სამოთხეში, სამოთხე კი – ჯოჯოხეთში,

სალხინებელი – სათნოების უმაღლესი,

და დაფარული მწვერვალი.

(მეორე მაკეტი ნათდება... ისევ იესო ქრისტეს ვხედავთ ეკლიანი გვირგვინით თავზე. კარგად რომ ვაკვირდებით განათების მეშვეობით, ვხედავთ, რომ ეს დოსტოევსკია.)

ისმის მისი სიტყვები მკაცრად და სიყვარულით:

– მშვენიერება გადაარჩენს სამყაროს.

(უცებ დოსტოევსკის სახე ორმაგდება, რაღაცას ამბობს, ოღონდ სიტყვები კი არ ჩაგვესმის.)

(დარბაზი ბნელდება. სცენის შუაში მოჩანს იისფერი შუქით განათებული ემანუელის სილუეტი:)

ისმის ემანუელის ხმა, სასოწარკვეთით:

– სიტყვას – არა!

– სიყვარულს – არა!
 – რწმენას – არა!
 შეყოვნდება, და ისევ აგრძელებს:
 – სიბრძნეს – არა!
 – გმირს – არა!
 – ხასიათს – არა!
 შეყოვნდება, და ისევ აგრძელებს:
 – მუსიკას – არა!
 – მწერლობას – არა!
 – მხატვრობას – არა!
 თითქოს, რაღაც მოიშალაო, ისმის გაბმულად:
 – არა! არა! და არა!
 ხმა წყდება...

(სცენაზე გამოდის არსება, რომელსაც ორი ფერის ტანსაცმელი აცვია. სხეულის ერთი მხარე ყვითელი ფერისაა, მეორე მხარე კი მწვანე ფერის.
 წარმოსთქვამს სიტყვას:

– არსებობენ შემოქმედნი, რომლებიც მზეს გადააქცევენ ყვითელ ლაქად, მაგრამ არსებობენ ისეთნიც, რომელთაც ძალუძთ თავიანთი ხელოვნებითა და ინტელექტით გარდასახონ ყვითელი ლაქა მზედ!

ესპანუს ფრანგი⁹⁰

უცბად ის ორდება და ვხედავთ მისგან როგორ გამოდის ერთი კაცი ყვითელ სამოსში და მეორე კაცი მწვანე სამოსში.

მარჯვენა მხრიდან გამოდის კაცი ყვითელ სამოსში და წარმოთქვამს:

– მშვენიერება ჭეშმარიტებაში ძევს!

ავტორის ხმა:

– ფრიდრიხ შილერი⁹¹

ევმენიდები ყვითელ სამოსში გამოწყობილნი ნარნარი ხმით მღერიან და ნარნარ მოძრაობებს ასრულებენ.

– იღუმალი მზე სამყაროს ამშვენიერებს და ჭეშმარიტებას მით გაგვიმჟღავნებს.

მარცხენა მხრიდან გამოდის კაცი მწვანე სამოსით და წარმოთქვამს ხმამაღლა და მკაფიოდ:

– ჭეშმარიტება ოდენ ფანდია.

ავტორის ხმა:

– მილორად პავიჩი⁹²

სცენაზე გამოდის პანი მწვანე სამოსით. ის მღერის და ცეკვავს:

– მზე არ არსებობს!
 არსებობს მხოლოდ მწვანე ლაქა
 და მბრწყინავი მზის ილუზია!

მარჯვენა მხრიდან გამოდის კაცი ყვითელ სამოსში და წარმოთქვამს:

– პატივისცემა ადამიანისადმი! პატივისცემა ადამიანისადმი!
 აი, ეს არის ქვაკუთხედი.

ავტორის ხმა:

– სენტ-ეგ ზიუპერი⁹³

ევმენიდები ყვითელ სამოსში გამოწყობილნი ნარნარი ხმით მღერიან და ნარნარ მოძრაობებს ასრულებენ.

– მზე იღუმალი მზეა, რაც ადამიანში ღირებულება და რომლის წინაშე მოწიწებით თავი უნდა დავხაროთ.

მარცხენა მხრიდან გამოდის კაცი მწვანე სამოსით და წარმოთქვამს ხმამაღლა და მკაფიოდ:

– ვინდა ადამიანი დაახასიათო?
საკმარისია სამი ანეგლოტი.

ავტორის ხმა:

– ფრიდრიხ ნიცშე.

სცენაზე გამოდის პანი მწვანე სამოსით. ის მღერის და ცეკვავს:

– მზე, იღუმალი მზე არ არსებობს.
არსებობს მხოლოდ მწვანე ლაქები,
ოთახის ბნელ კუთხეებში, რომ უნდა აღმოაჩინო.

მარჯვენა მხრიდან გამოდის კაცი ყვითელ სამოსში და წარმოთქვამს:

– ხელოვნება, ეს ხომ ნაციის ტანთსაცმელია.

ავტორის ხმა:

– ონორე დე ბალზაკი.⁹⁵

ევმენიდები ყვითელ სამოსში გამოწყობილნი ნარნარი ხმით მღერიან და ნარნარ მოძრაობებს ასრულებენ.

– შენ, ხელოვანო, შენი იღუმალი მზით
შენს ერს მოსავ.

მარცხენა მხრიდან გამოდის კაცი მწვანე სამოსით და წარმოთქვამს ხმამაღლა და მკაფიოდ:

– განსხვავებულ კულტურათა
გამთლიანება და დიჰარმონიზაცია,
აი ხელოვნების მიზანი.

(პაუზა:)

ძველისა და ახლის შერწყმა!

ავტორის ხმა:

– პავიჩი.

სცენაზე გამოდის პანი მწვანე სამოსით. ის მღერის და ცეკვავს.

– შენ ხარ არავინ!
და ამიტომაც ერთდროულად ხარ შენ
აფრიკელი და ბელგიელი.

მარჯვენა მხრიდან გამოდის კაცი ყვითელი სამოსით და წარმოთქვამს ხმამაღლა და მკაფიოდ:

ეპოქის მღვიძარე სინდისი
ეს ხომ პოეტის სულია.

ავტორის ხმა:

– სენ-ჟონ პერსი.⁹⁶

ევმენიდები ყვითელ სამოსში გამოწყობილნი ნარნარი ხმით მღერიან და ნარნარ მოძრაობებს ასრულებენ.

– და მზეა, იღუმალი მზე, რომ გვაღვიძებს
და სინამდვილის გზაზე გვაყენებს.

მარცხენა მხრიდან გამოდის კაცი მწვანე სამოსით და წარმოთქვამს ხმამაღლა და მკაფიოდ:

ყველაზე მნიშვნელოვანია
არაორაზროვანი ხელოვნება.

ავტორის ხმა:

– **ორტეგა-ი-ქიმერიუსი.**

სცენაზე გამოდის პანი მწვანე სამოსით. ის მღერის და ცეკვავს.

– **არ არსებობს მზე!
და გვეყოს სითამამე,
აბუნად ავიგდოთ ეს ილუზია!**

მარცხენა მხრიდან გამოდის კაცი მწვანე სამოსით და წარმოთქვამს ხმამაღლა და მკაფიოდ:

– **ბოროტებაა ერთისადმი სიყვარული,
თვით ღმერთისადმი სიყვარულიც!**

ავტორის ხმა:

– **ფრიდრიხ ნიცშე.**

სცენაზე გამოდის პანი მწვანე სამოსით. ის მღერის და ცეკვავს.

– **როცა მზე გვიყვარს,
მზე აღარ არსებობს.**

მარჯვენა მხრიდან გამოდის კაცი ყვითელი სამოსით და წარმოთქვამს ხმამაღლა და მკაფიოდ:

– **გინდა შექმნა რაიმე გენიალური?
ყველა შენი სულიერი ძალა
ერთი წერტილისკენ მიმართე!**

ავტორის ხმა:

– **ლევ ტოლსტოი!⁹⁷**

ევმენიდები ყვითელ სამოსში გამოწყობილნი ნარნარი ხმით მღერიან და ნარნარ მოძრაობებს ასრულებენ.

– **და მზე დაიბადება,
და ამ მზეს შენში ღვთის დაბადება
ეწოდება.**

სურათი II

(ჩამოშვებული ფარდის წინ ადგილის გამოტოვებით მჭვირვალე ფარდაა. ფარდის ზემოთ მარჯვენა მხარეს „ცისფერი სისხლის“ ლაქაა. ფარდის უკან მოსჩანს დაჩოქილი, თეთრ-მჭვირვალე ვუალით შებურვილი არსება. ის ნელ-ნელა მოიხსნის ვუალს, ნელ-ნელა წამოიძვრება, შიგნით სხვა, თეთრი ტანთსაცმელი აცვია, რომელზედაც ცისფერი წვეთებია მარჯვენა მხარეს. მკერდზე უზარმაზარი ქვა ჰკიდია. პირში ვარდი აქვს გაჩრილი, სახეზე ცრემლი აქვს გამოსახული. უცებ ისევ მუხლებზე მოწყვეტით დაეცემა. იისფერი სინათლე მოსჩანს. ემანუელს ორეულის ხმა:)

– ამდენი საუკუნეა ადამიანი ფილოსოფოსობდა?
თალესი წყლიდან ხედავდა ამ სამყაროს.
და ეს ილუზიაა? ეს ბოდვაა? ეს ჰალუცინაციაა?
შეიძლება უერთგულო ერთ გზას?
ეს გონებაჩლუნგობაა, თუ სიბრძნე?

თუ ეს სიბრძნეა თალესი
– წყლის სამოსით ჭვრეტს სამყაროს, –
და ჭეშმარიტ გზას მიჩვენებს.
გალაკტიონი კი კაცობრიობის იდუმალებას მაზიარებს.
(გალაკტიონის ხმით:)

„სული გვექონდეს უსპეტაკეს თოვლისა,
პოეზია უპირველეს ყოვლისა.“
ხოლო თუ ეს გონებაჩლუნგობა,

თალესი მანიაკია, წყალს ჩაჩერებული მანიაკი
ასგზის რომ ამახინჯებს სამყაროს.

ზოლო გალაკტიონი კი იდეა ფიქსეთი შეპყრობილი გიჟია,
მსოფლიოში ათიათასს კაცს, რომ კლავს.

(აქ ის ხმას იცვლის, – გალაკტიონისებური ხმით:)

– „როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი.“

(ისევ თავისი ხმით:)

შეიზღუდო – რათა იაზროვნო?

შეიზღუდო – რათა გწამდეს?

შეიზღუდო – რათა გიყვარდეს?

ვინ? ვინ მიჩურჩულებს ამ აზრებს?

ვინ მარყევს ასე წამი-წამ

და გონებას მიბნელებს?

განა ანგელოზს კი ძალუძს ათიათასი გზა

ერთად მიჩვენოს და გზა დამიბნელოს?

(ჩურჩულებს გაფითრებული სახით:)

– ეს ის ანგელოზია, ერთ დროს

ღმერთად გახდომა, რომ მოინდომა,

და ჩამჩურჩულებს:

„ძველი დროების ყველა ხელოვანი მკვლელია!!!“

(ჩურჩულითა და შეძრწუნებული ხმით:)

– ეს ხომ სატირია...? (ყვირილით) – ეს ხომ ბიძაჩემია!!!

(ამ დროს სცენაზე სატირის ხარხარი ჩაგვესმის.)

ემანუელს ორეული:

– ჩემი სინდისი და სატირი? ლუ-ცი-ფე-რი?

სად ნახა ბზარი, ჩემში რომ შემოაღწია

მა-მა მკვდა-რი-ა

(და ჩურჩულით:)

ვინ მო-აკვ-დი-ნა?

(ჩურჩულით:)

– ვინ?

(თავს დაბლა დახრის, ხელებს მაღლა გაშლის და ამ დროს
ისმის საშინელი გუგუნნი, თითქოს მისი სულიდან გამოემართა

ორი გუნდი სცენაზე. ეს კარგად დასანახი უნდა იყოს.

პირველი გუნდი (სამი ერინია). მათ სისხლიანი ტანსაცმელი
აცვიათ, ხელში დანები უჭირავთ)

– ემანუელს!

შენს სულში მხოლოდ ჩაბნელებული,

პატარა დარბაზი მოსჩანს, პაწია ფანჯარა რომ აქვს.

ვიღაცას ფარდები გადაუწეგია,

და ამის იქით მოჩანს სამყარო,

უცნაური ფორმა, რომ მიიღო.

ეს უცნაური სამყარო

მამაშენის გასისხლიანებულმა სხეულმა შეჰქმნა,

შენთვის ყველაფერი გისოსებს დაემსგავსა.

გისოსია ბიძა! გისოსია – შენი სახლი!

გისოსია – შენი სამშობლო!

თვით ხეც კი, უბრალოდ ქუჩაში, რომ ფოთლებს აშრია-
ლებს

ესეც გისოსია.

შენთვის გისოსია ხელოვნების სამეფო,

თვით მზე შენს სულში რომ ამოტვიფრა ღმერთმა,

ისიც გისოსად იქცა,

შენ გზღუდავს ყველაფერი!!!

შენ უნდა გარდასახო ეს სამყარო.

აიღე ხმალი და შემუსრე ის, რაც გზღუდავს!

შემუსრე უმოწყალო დრო და აღადგინე სამართალი

დრო, ორ მოურიგებელ ბანაკად

რომ გახლიჩა სამყარო.

და ბოროტება სიკეთედ გარდასახე

აღადგინე ღვთაებრივის წრე-ბრუნვა, და სუნთქვა,

მსწრაფლწარმავალი დრო, ეს ფუჭი დრო ჟამად გარდასახე!

– (ეგმენიდების ჯგუფი ჩნდება, მათ მბრწყინავი ცისფერი სა-
მოსი აცვიათ, თავზე მბრწყინავი ვარსკვლავი ადგიათ.)

– სამყაროს უსაზომო სევდის იქით

შურისძიება?

ხელოვანი და შურისძიება?
მაშინ ხომ გაუფასურდებოდა,
ხელოვანის გზა.
შენი მონოლოგები, პოეტის სევდა,
მოხუცი ქალის მზერა, წვიმიანი ფანჯრის იქითა მხრიდან
ვარდს რომ გვისახსოვრებს,
თანაგრძნობის შუქს რომ მოგვფენს,

შენ კი იბადები,
და სამყაროც შენთან ერთად თვალს ახელს.
სამყაროს ამოდრავებს – არაფერი.
სამყაროს ნამდვილი აზრია – არაფერობა.
არაფერობა, – ეს ღმერთის დაფარულობაა,
განათებული ფარდის უკან, რომ ვგუმანებთ.
(ევმენიდები ნარნარი მოძრაობებით ეხვევიან ემანუელს და
მღერიან)

ევმენიდები სიმღერით:
– არაფერობის მდინარება, არის ღრმა შრე სამყაროსი,
ემანულოს სუნთქვა.
ემანულოს არ ძალუძს ქმედება,
რადგან მუდმივ ამ ხმას ყურს უგდებს.
ის სამყაროს ცვლის,
რადგან თავის თავს ქმნის.

(ემანულოს ისევ დაჩოქილია და ხელები სახეში აქვს ჩარგული,
წამოიწვევა და ისე წარმოთქვამს თავის სათქმელს. ორივე ჯგუფს
მიმართავს – ერთი ჯგუფი ხელმარცხნივ დგას, მეორე – ხელ-
მარჯვნივ. მიმართავს ორივე ჯგუფს ერთად)

ემანულო:
– ემანულოს, დიან ეს მე ვარ.

ეს მე ვარ, ემანულოს, ოღონდ არც მამაჩემი მოუკლავს ვინ-
მეს,

არც დედაჩემმა უღალატა მამაჩემს, არც ფსიქია ყოფილა ჩემი
შთაგონება

და არც ბიძაჩემის მოკვლაზე მიფიქრია.

მოკლედ, – ეს მე ვარ ემანულოს.
არაფერმა გამომზარდა,
და ასე მივადწიე ამ მონოლოგამდე*.
რა საჭიროა მატერიალურ სამყაროთა რიგები,
რალაც pretexte-ი -ხო...საბაბი, რალაც cauz-ა, ხო... მიზეზი
თუ ისედაც სულში დევს ეს სევდა,
ვით უუმცირესისა და უუდიდესს საგანთა პარალელური ხა-
ზები*⁹⁸.

ემანულო ტირის და მღერის:

– მე შემიყვარდა სამყაროს წყვილიაღით მოსილი ღამე,
(ხმა უწყდება... ტირის...)

– რა აღმტაცია ეს წყვილიაღით მოსილი ღამე!
სულის სიშიშვლემ, რომ გამოაბრწყინა
და ვინილეთ ქმნადობის პროცესი.

– მზის ღიაობა!

– და აზრის აზრი!

მაგრამ, მე მითრევს და მიმადინებს ჩემი მდინარე
და მავიწყდება წყვილიაღით მოსილი ღამე.

სევდას ყური უნდა მივუგლო!

ჩემი მდინარე,

ცრემლთ-მდინარე თავს შემახსენებს,

და ღვთაებრივის სუნთქვა მომწვდება.

–

(უცებ სცენაზე გრუსუნნი ისმის, ელვა გაკრთება, ისმის
საბრძოლო ყიჟინა. ემანულოს თავზე ხელს მოიკიდებს და ჩვენს
წინ თავისი დიდებითა და ბრწყინვალეობით ათენა-პალადა⁹⁹ გამო-
ცხადდება. ის მკაცრად და დაყვავებით საუბრობს:)

– ემანულოს, გონების სიცხადეს,

– გულზე გამავალ გონების ხმას ყური მიუგდე.

ვინ გიჩურჩულებს, რომ რწმენით განათებული გზის მიყოლა
თავის მოზღუდვაა?

შემოქმედება შეზღუდვა?

აზროვნება შეზღუდვა?

სიყვარული შეზღუდვა?

რა სასაცილოა და უსახური
ეს აზრები
სიკეთე, კეთილქმედება, ამაღლებული სიყვარული,
სათნობა, აზრის სიწმინდე არარად იქცა?
გოეთე, შოპენი, გალაკტიონი... ვინ განსაჯა?
ვინ დაადანაშაულა გულგრილობაში?
ეგოისტურ თავის მოზღუდვაში?
ვინ? სატირმა და მისმა მეგობრებმა?

შემოქმედების საიდუმლოება
ღვთიური მზის სხივის
გზის ერთგულება.
ბრიყვნი, – მოზღუდვას, თუ შეზღუდვას, რომ უწოდებენ.

(ათენა მთელი თავისი დიდებულებითა და ბრწყინვალეობით
ანათებს სცენას. ემანულოს წინ აღიმართება.)

– ყოველდღიურობას ბრძოლით მივარღვევ
გონება, ნება და რწმენა წარმართავს ადამიანს,
ცის მაღალი დანიშნულებისთვის.
გაიხსენე ოქროს ხანა,
როცა ორფევსი ღვთაებრივ ლექსებს ქმნიდა,
გაიხსენე! მაშინდელი აფროდიტე, ეროსი, ფსიქეა, აპოლონი,
დიონისე, ევრიდიკე და ქრონოსი.
გაიხსენე ის ხელოვნების სამეფო და შეადარე
ამ თანამედროვე ხელოვნების სამეფოს.
ღვთაებრივი სიყვარულის საფეხურები, ეს ხომ ზნეობის სა-
ფეხურებია!!!

ზნეობა მშვენიერებაში გვემალება და მით გვეცხადება.
როცა სულს შეგვიგუნებებს ხელოვნების სრულყოფილება,
მშვენიერებითა და მაღალი აზრით ვტკბებით.
ჩვენში სახლდება ღმერთი და ვისმენტ ცის მუსიკას,
იყო ადამიანი – ეს ბედნიერებაა!! –
მაგიურ სასმელს უნდა მიჰმართო,

და გამოიხმო, რაც ღვთაებრივი ფარდის იქით გადაგვემალა,
ღვთიანდელი ხელოვნების სამეფოს
ტყუილი დაუფლებია.

ღღეს, გულგამოცარიელებული დაეხეტება
ადამიანი სიბნელეში
ღღეს, ხელოვანი, რომელსაც სიმღერა უყვარს,
სიმღერას უარყოფს.

ღღეს, პოეტი, რომელსაც ლექსები უყვარს,
ლექსების თხზვას ანებებს თავს.

(ათენა პალადა მკაცრად და თითქმის ყვირილით:)

– შენ დამივიწყე, შენ დამივიწყე გონების სინათლე
და ამიტომაც დაკარგე გზა.

მამაშენი მოკლეს! – მერე ვინ მოკლა იგი?
როცა შენ ჭოჭმანობ, შენც მკვლელად იქცევი!

(ათენა-პალადა უუსწრაფესად ქრება.

ემანუელოს:)

– ვინ მოკლა მამა?

(ჩნდება ქრონოსი, რომელსაც თავზე მწვანე პირბადე აქვს
აფარებული. ისმის საათის მონოტონური ხმა.

ემანუელო ყვირილით:)

– დროებამ! დიახ, დროებამ! დროებამ! დროებამ!

მაგრამ რას ნიშნავს დრო?

ის მიდის და აღარასოდეს მობრუნდება?

ის, რაც ცვლის და თავადაა მსახვრელი ცელი.

ის, რაც ტრაგედიას ქმნის, ის რაც მშობელია

ყველა უბედურების.

ის, რაც ზრდის და აბერებს.

ის, რაც აცოცხლებს და კლავს.

ვინ? ვინ მამღვეს ამ გონებას.

(ემანუელოს სასოწარკვეთით:)

– გონებას, რომელიც აზროვნებს,

გონებას, რომელიც ჭეშმარიტებას ეძიებს?

ვის? ვის სჭირდება ჩემში ჭეშმარიტება?

ვინ აღმართა ზღვარი ჩემსა და ჩემს სურვილს შორის?

ჭემმარიტება, რომელიც მთრგუნავს და მიპირისპირდება?
ორი ჭემმარიტება? ორი ზნეობა? ორი დროება?
არა, გონების სიცხადეს უნდა მოვუხმო!!
და ერთი – ერთადერთი გზა ვიპოვო!
ერთადერთი ჭემმარიტება!
(ემანუელის ხმამაღლა:)
– ორი ზნეობა? ორი ჭემმარიტება? ორი დროება?

(სცენაზე გამოდის აფროდიტე. ის ორმაგდება, მაყურებლისთვის უკვე ცნობილია ეს ორი სახე. ერთი ნარცისთა სკოლის მშვენიერია, ანუ მშვენიერი ქალბატონი, მშვენიერი აღნაგობით, მშვენიერი მკერდით, მშვენიერი მკლავებით. ტანზე მჭვირვალე ზღვის ქაფისებრი კაბა აცვია. ყელს კი უმშვენიერეს მარგალიტის მძივები. მეორე აფროდიტეს, თანამედროვეს, აცვია მწვანე, აჭრილი და ასიმეტრიული კაბა. ეს უკანასკნელი გამხდარია, მკერდდაწვეულია. პანკის ვარცხნილობა, თავზე პურის ქუდი ახურავს, რომელიც მწვანე ბუმბულებით არის გაწყობილი.

აპოლონი და დიონისე – ორმაგდება – პირველი აპოლონი თავისი დიდებულებით, მზის ფორმის თავსაბურთით, მზისებრ განათებული თეთრი სამოსით. მეორე აპოლონი მდაბიოა, რომელსაც თავზე მწვანე თუთიყუშის ნილაბი ადევს.

პირველი დიონისე ვახის გვირგვინოსანი ახალგაზრდა ჭაბუკი, მეორე – მდაბიო, გახეხილი ჯინსით, თავზე მწვანე თუთიყუშის ნილაბით.

ეროსი ორმაგდება – ერთი მშვენიერი ჭაბუკია, ხელში ოქროს ისარი უჭირავს, მეორეს კი – ხელში სარცხვინებელი უჭირავს, ტანზე შემოფლეთილი მაისური და გახეხილი ჯინსები აცვია, ტყავის სამაჯური აქვს მაჯაზე.

ფსიქეა ორმაგდება – პირველი მშვენიერი, ულამაზესი და სათნო ქალწულია. თავზე ყვავილებისა და მჭკნარი ფოთლების გვირგვინი ადგას, აცვია თეთრი მბრწყინავი სამოსელი, (და არა კაბა) მეორე ფსიქეას შემოღობილი სახე აქვს, თავზე გვირგვინი არ ადგას. მისი სახე სასოწარკვეთილებას და უიმედობას უნდა გვიმ-

ულავნებდეს. მას ხელები სქელი თოკით აქვს შეკრული.

ევრიდიკე ორმაგდება – პირველი უმშვენიერესი ხატია, ოცნებაა, განათებული, მოოქროვილი კაბით, ნარნარი სიარულით, კლდეამოსილი, ბრძნული გამომეტყველებით. მეორე (დღევანდელობა) ურცხვი, ავხორცი, თავზე პურის ქუდი ახურავს, რაც მწვანე ბუმბულებით არის მორთული, საკმაოდ მოშიშვლებულია.

ქრონოსი ორმაგდება: პირველი დიდებული, სათნო მოხუცი, ენერგიული, ხელში რაღაც მბრწყინავი უჭირავს. მეორეს – პირბადე აქვს, სახე არ მოუჩანს, ცელი მიწაზე დევს, ხელში კი უჭირავს ქვიშის საათი, რომელსაც მექანიკურად ხან წალმა დააყირავებს, ხან ისევ ამოაყირავებს.

თანატოსი ორმაგდება – პირველს მრისხანე, მაგრამ დიდებული და პატივსაცემი გამომეტყველება აქვს. შავი მოსასხამითა და ცელით ხელში, ის შიშის მომგვრელია. მეორეს კი – აცვია კლოუნის ტანსაცმელი, მისი ტანსაცმელი ბრჭყვიალა, ფერად-ფერადი ნაჭრებისგან არის შეკერილი.

იგივე სცენა.

მოსჩანს ხელოვნების სამეფოს მწვანე ფერის დარბაზი. მეფე ტახტზე ზის, თავზე პურის გვირგვინი ადგია (მწვანე ბუმბულებით გაწყობილი). მის გვერდით ზის ევრიდიკე, მასაც პურის გვირგვინი ადგას თავზე (მწვანე ბუმბულებით გაწყობილი). მათ გვერდითაა ეროსი და ფსიქეა, დაწყვილებულნი. ისინი წამდაუწუმ ურცხვად კოცნიან ერთმანეთს. ფსიქეას შემოღობილი სახე ეძლევა: ხან ტირის, ხან იცინის. ეროსიც უცნაურად იქცევა. აქვეა აპოლონი და დიონისე, ორივეს თუთიყუშის ნილაბი აფარია სახეზე. აქვეა ქრონოსი, ქვიშის საათით ხელში, კლოუნის ტანსაცმლით, სახეზე პირბადე აქვს ჩამოფარებული.

აქვეა თანამედროვე ოთხი პოეტი, ერთი კრიტიკოსი. ყველას პურის ქუდები ახურავს, რომლებიც მწვანე ბუმბულებით არის გაწყობილი. შემოდის ემანუელო და როგორც ეს საზოგადოდ ხდება, მის დანახვაზე ყველა ცბუნდება და იძაბება... ემანუელო ყველას დაკვირვებით ამტერდება და შემდეგ ის სატარს მიმართავს.

ემანუელს:

– ქრონოსმა მისია დაკარგა,

და ვინა ვართ ჩვენ დღეს.

არაფერი დაგვითესია

და აღარც სამკალია მოსაწვევი.

სამკალი აღარ ელოდება

ამ უღმობელ მსაჯულს

და ისიც უსაქმოდ დგას

გაშეშებული და გახევებული.

ღმერთის მეხსიერებაში აღარაფერი იწერება,

ჟამის წიგნის მწერლობა შეწყდა.

(ემანუელს თითქმის ყვირილით, მკაცრად:)

– ნუთუ არავის არაფერი არ გენიშნებათ!

(ემანუელს ეცხადება ფსიქეა, შეშლილი სახით, ემანუელს პირიდან პეპელათა გუნდი გამოდის. ემანუელს:)

– რა სასაცილოა ეს თანამედროვეობა?

ეს თანამედროვე მამა, ჰო, ეს ბიძა!

რა ვუყო ჩემს დროებას, რომელმაც მშობა,

სული ჩამიდგა? დიადი სული?

უკვდავი სული?

სული, კი შეიძლება სხვაგვარი იყოს?

(ემანუელს ტირილს იწყებს:)

– მე შემიყვარდა წყვილიადით მოსილი ღამე,

ეს ავადობაა ამ ეპოქისა.

აქ, ის იცნობდა თავის თავს?

არა! არა! და არა!

წყვილიადით მოსილი ღამე –

მარტოობის უდაბნოა, გადასასვლელი ხიდია,

არა! არ უნდა გაირბინო!

ნელა, დინჯად უნდა გაიარო,

მაგრამ... არ უნდა შეყოვნდე!

სამარადჟამოდ არ უნდა შეყოვნდე!

(ტირილს წყვეტს და გაბრაზებით:)

რა ვუყო იმ „მე“-ს, რომელიც ვარ ახლა?

ამ დროს? ამ სივრცეში?

ეს სასჯელია? თუ ჯილდო ღმერთისგან,

რათა შევიცნო სამყარო?

ისეთი, როგორც ის არის?

რა ვუყო ჩემს სულს, რომელიც კვდება,

კვდება ამ სამყაროში.

(ემანულო ყვირის:)

წარსულში უარყოფილი ცხოველი,

განდილების და გაღმერთების საგანი შეიქმნა!

(მწუხარედ და სასოწარკვეთით:)

– განა ეს სიზმარია?

განა ხელოვნების დღევანდელი მდგომარეობა საშინელი სიზმარია?

რომლიდანაც გაღვიძება შესურვება?

მაქვს კი უფლება განვიშორო ეს საზარი სიზმარი? შხამიანი ბოდვა?

(ემანულო:)

– ჩვენ ხელოვნების სამეფოში

აფროდიტე ვაქციეთ უზნეო ქალად.

(აფროდიტე გაბრაზებული სახით ენას გამოუყოფს, სიცილი და დაცინვა გრძელდება ემანუელს მიმართ).

ემანულო:

– ღმერთები, ჩვენს ქმნილებებს სულს, რომ ჩაუდგამდნენ

თუთიყუშებად ვაქციეთ.

(ხელს იშვერს აპოლონისა და დიონისესკენ. ისინი ერთხმად, თუთიყუშის ხმით:)

– ჩვენ ვაკვეთილი კარგად ვიცით,

ხელოვნება გართობაა,

გართობა კი ჭეშმარიტება,

ჭეშმარიტება კი გულწრფელობაა.

მიდი რა! გაუბერე! ნუ მარიაჟობ!

შეხედე დედაშენს, ევრიდიკეს.

ემანულო:

– ძველი ხელოვნების სამეფოში

ევრიდიკე მშვენიერების სახეა იყო,
 ცხოვრების ხერხემალი და მისი ღერძი.
 ოდესღაც ცხოვრების კვინტენსაცია,
 დღეს კი გვიჩვენებს მხოლოდღენ ცხოვრების ფასადს, –
 ბნელ კუთხეებს, სიბინძურეს, უზნეობას, უვიცობას.
 მთავარი დაიკარგა, – აზრის აზრი!
 (ევრიდიკე აღშფოთებას ვერ მალავს).
 – მე ძლივს გავხდი ნაღდი.
 აი, ისეთი, როგორიც ვარ.
 ეხლა მოკეტე! და ნუ მარიაჟობ!
 (ემანუელ ისე აგრძელებს, თითქოს ევრიდიკეს სიტყვები არც
 მოუსმენია:)
 – შეხედეთ ფსიქეას. აი, ამ უბრალო ქალს.
 ოდესღაც მიწიერი სამყაროს მანათობელს.
 თქვენ იცნობთ ამ სახეებს: ბეატრიჩე, ლაურა, მერი,
 დღეს კი...
 (ხმა უწყდება.)
 (სატირი და მისი მეგობარი ოთხი პოეტი ემანუელს სიცილს
 დააყრის. ემანუელი ამას საერთოდ ვერ აღიქვამს და ისე განაგრძობს:)
 – დღეს საბრალოდებულო სკამზე ზის
 ხელოვანთა რიგი!
 – დღეს განსჯის საგანია ხელოვანის სულის სიწმინდე!
 – ხელოვანის ცრემლი!
 – და ვის მიერ?
 – თანამედროვე ხელოვანთა მიერ!?
 (ემანუელი ყვირის:)
 – ბრბო-ო-ო...ო!!!
 (მეფე-სატირი მრისხანე სახით დგება ტახტიდან, ხელს
 ჰკრავს ევრიდიკეს და ემანუელს წინაშე გაბრაზებული დგება.
 ხმამაღლა:)
 – სათნოება ნილაბია, ნილაბი.
 სათნო ცხოველი?

(სიცილით კვდება)
 ადამიანი ცხოველია, ჩვეულებრივი ცხოველი
 დახვეწილი თუ დაუხვეწავი თამაშით.
 (სიცილით:)
 პოეტები ტყუიან, თითლიბაზობენ – როგორც შენ!
 ვარდისფერსამოსში გამოწყობილი სიცრუე, –
 ვარდისფერხორცა შიშველი აფროდიტე! ხა! ხა! ხა!
 ადამიანში არავითარი საიდუმლოება არ თვლემს,
 ის უბრალოდ ავხორცი ცხოველია.
 და ის, ვინც სათნოებას ქადაგებს უფრო უზნეოა,
 ვიდრე ის, ვინც ღიად მრუშობს.
 როგორ შეგიძლია მამაშენის გზის ერთგული იყო?
 მე კარგად გიცნობ, და ვიცი თუ როგორ ვერ იღებ
 დღევანდელობაში ტრადიციებს.
 შენ ნებისმიერი წესიც კი მემამბოხედ გაქცევს.
 გულს გიწვრილებს სუფრის დაუსრულებელი რიტუალი,
 გეზიზღება გატყლარჭული, პათეტიური
 და პომპეზური სადღეგრძელოები.
 გეზიზღება ტაბუდადებული სექსი,
 ქალის თავისუფლება შენთვის წმინდათაწმინდაა.
 და ისევ გეკითხები:
 – როგორ შეგიძლია შენ, იყო მამაშენის გზის ერთგული?
 ადამიანს – არ ესაჭიროება ამაღლება,
 მისი ბუნებრივი მდგომარეობაა მრუშობა, შური,
 ეგოიზმი, თავკერძობა, ამპარტაენობა, გემოთმოყვარეობა.
 სხვა ყველაფერი კი, რასაც ნარცისთა სკოლა ქადაგებდა,
 დიდი ტყუილია...
 მამაშენის – ნარცისთა სკოლის რჩეული წევრის –
 თვითმკვლევლობაც ამის დასტურია.
 ემანუელს:
 – შენ ცრუობ, რომ მამაჩემმა
 თვითმკვლევლობით დაასრულა სიცოცხლე!
 (პაუზა)
 ადამიანის აზრი წმინდაა! მისი იდეა ამაღლებული!

გრძნობა ღვთაებრივი.
როცა მოშვებულნი და ბუნებრივნი ვართ.
ჩვენს სულში ბოროტება,
შური, მრუშობა თავს წამოყოფს და გვამარცხებს,
იყო ადამიანი ეს ნიშნავს,
აღმატებოდე შენს თავს,
და ეს, ყველა დიადი წიგნის
ერთ ფურცელზე არის ჩაწერილი
(სატირი და მისი მეგობრები ამაზრზენად იცინიან).

ემანუელი:

– მიჩვენე ადამიანი, ვინც მოკლა,
ვინც მრუშობაში ცხოვრობს,
ვინც ქურდობს
და საკუთარ თავთან ჰარმონიაშია.
ჩვენ შევსვამთ ჩვენს ღვთიურ სასმელს
და აღვადგენთ სამართალს.
ჩვენ გამოვიხმობთ პერსეფონეს,
მისი მარცვლიდან მომზადებულ სასმელში ის კვდება,
რათა იცოცხლოს და გვაზიაროს დიდ სინამდვილეს
(ემანუელი ჭიქას მალლა ასწევს)
აღვადგინოთ წონასწორობა,
რომელიც დაირღვა!

(ემანუელი მოუხმობს ფსიქეასა და ეროსს. თქვენ გევალებათ
სასმელი ყველას თანაბრად გაუნაწილოთ.

დარბაზი ცისფერი ფერით ივსება. ყველა რიტმულად ირხევა
და ტოკავს. გაისმის ჯერ ამაღლებული მუსიკა, მას შემდეგ ენაცვ-
ლება მრისხანე მუსიკა, რომელსაც თითქოს სურს დიდ სინამდვი-
ლეს ფარდა ჩამოსხნას და საგანთა ღიაობა აჩინოს. ყველას ერთ-
ნაირი სახე ეძლევა, წაგრძელებული, მეოცნებე, დაფიქრებული,
თითქოსდა ერთდამავე სიზმარს ხედავდნენ.

სცენა ბნელდება. გველ-ემმაკი სისინებს. თავზე ადგას რქები,
პირიდან ცეცხლი გადმოდის:)

მე ვარსებობდი, მე ვარსებობ, და მე ვიარსებებ,
მარად და ყველგან.

მე ვარ მტვერი, მე ვარ ქვიშა, მე ვარ ამონაფურთხი,
მე ვარ გინება, მე ვარ მატლი, მე ვარ მრუშობა,
მე ვარ სიბნელე – აი, რა ამოდრავებს, აი რა წარმართავს
სამყაროს.

(სცენზე მოსჩანს ვაშლის ხე. იქვე დგანან ნახევრად შიშველი
სატირი და თანამედროვე ევრიდიკე. გველ-ემმაკი ვაშლს მოს-
წყვეტს და სთავაზობს მათ. ორივე სიცილ-ხარხარით შეექცევა.

ისმის ღმერთის ხმა, მოსჩანს ნისლის სითეთრე. მკაცრი
ხმით:)

ეს რა ჰქმენ, სატირი!

ეს რა ჰქმენ ევრიდიკე!

ევრიდიკე:

– მე არა, ეს გველმა მიმიტყუა.

სატირი:

– მე არა, ეს ევრიდიკემ შემომაჩჩა.

(მოჩანს დიდი ვაშლი, რომელზედაც დევს ორფეოსის გასისხ-
ლიანებული გვამი. სატირი უახლოვდება დანით და ჭრის ვაშლს.
მოსჩანს მისი გასისხლიანებული პირი.)

სცენა ბნელდება. ისმის საზარელი ხმაური. ავისმომასწავებე-
ლი ხმაური. შემდგომ გულისგამაპოებელი ქვითინი. სცენა ნათლდე-
ბა და ვხედავთ ორფეოსის გვამი ფეხზე დგას. მის წინ ემანუელი
ჩნდება).

ორფეოსის ხმა:

– ეს მამაშენის სული დგას შენს წინაშე,

ძვირფასო ბავშვო,

შენ, ვინც სატირის თაყვანისცემა დაიწყე

და დაივიწყე მამის გზა.

შენ! შენ! შენ!

(მამის ხმა, გაკვირვებული და შეძრწუნებული:)

ვინც ერთ დროს ღმერთის სუნთქვა დამარქვა

ჩემი ბრძოლა წაგებულა,

შენი სურვილი აღსრულდა,

ვიცი, ვით ებრძოდა ემანუელი ემანუელს.

ხომ ხედავ, სატირის სურვილმა

დაფარა შენი ბრმა ცთომა,
სიყვარული მამისა საზარელია,
ნამდვილი ხომ ყველაფერი საზარელია.
თავ-ზარ-დამ-ცე-მი!!

(თავს აბრალებს ემანუელს. ახლოს მიდის მასთან.)

– ხომ ხედავ, შვილო,
გველის შხამმა ერთ დროს
ვერაფერი დააკლო ჩემს სულს.
მან მიანიჭა ჩემს სულს სიბრძნე
და ღვთაებრივი საიდულოება შეამეცნებინა.

(ემანუელი ძალაუვნებურად უკან დაიხევს. ის კი მაინც უფრო
უახლოვდება.)

ემანუელი:

– ჩემი გზა ცრემლის გზაა
სიწმინდეა,
სწყურია მიიღოს ცის სიმაღლე,
ყველა საგანს რომ ანათებს
ცრემლის სიწმინდე – გამოუთქმელია,
ის, მარტობის სიცივეს ისურვილებს
და ყველა საგანს ერთნაირად ესადაგება
ეს უცნაური ვარსკვლავი – დედამიწის პარადოქსია,
ხელოვნების სამეფოს დაუწერელი კანონი.

(ემანუელი ცახცახითა და თრთოლვით წარმოთქვამს:)

და ასე, ხელოვანის შინაგანი თვალი იბადება.

(თითქოს სცენა ბნელდება, მოსჩანს სცენაზე სინათლისაგან
შექმნილი მიკროკოსმოსი.)

ზმანება გრძელდება. ემანუელი სცენაზე გაშეშებული დგას,
თვალები ცისკენ აქვს მიპყრობილი. ემანუელი პირს დააღებს. პეპე-
ლათა უსასრულო რიგი მიედინება ცის სიღრმეში. ის მას თვალს
ადევნებს. ემანუელი ორმაგდება, შემდეგ სჩანს მისი მესამე (იის-
ფერი ტანსაცმლით).

– არც ერთი არსება, არც ერთი საგანი ჩემს გარეშეობით
ეს არის ძნელი, არ გქონდეს სურვილი
და შენში კი სუფევდეს, მყოფობდეს მთელი სამყარო.

(ემანულოს რაღაც უჭირავს ხელთ.)

– ეს ხან სამყაროა, ხან ხეა, ხან ყვავილი, ხან მზე,
ხან გოგონა, ხან ძაღლი, . . .

(ჰქრება სინათლისგან შექმნილი მიკროსამყარო.)

ემანუელი ხმამაღლა:

– შენ მეტისმეტად დიდი იყავი მამა!

მეტისმეტად ნამდვილი!

შენ განასახიერებდი ჭეშმარიტებას,
მაგრამ მე არ მძალუდა შენთან ერთად
დამენახა ეს სამყარო.

(ძალიან ჩუმიად, წყნარი, გაშეშებული ხმით.):

– ვით ცრემლის სიმრთელე!

ვით ცრემლის სიწმინდე!

მაპატიე!

(ემანუელი მუხლებზე ეცემა. მამის გვამს მუხლებს უკოცნის.
გვამის ხავილი:)

– სინამდვილე სულ ასე ავლებს გზას.

ვერ ცნობ მართალ-ტყუილს,

არ იცი სიზმარი-ცხადი.

როცა შენი მონოლოგებით დამძიმებული

ურწმუნობის შავმა ფიქრმა შემიპყრო,

ჩემს ოთახში ჩავიკეტე სასოწარკვეთილი

და მაშინ იყო, რომ მესტურა ჩემი ძმა, არა – ნახევარ-ძმა,

სატირი, ხარხართა და ცეკვა-ცეკვით.

ჭიქაში ჩამიყარა რაღაც მწვანე ფხვნილი

და მითხრა: – დალიე და დამშვიდდებო.

(მამის სული ხელით მოძრაობას აკეთებს, ვითომ წარმოსა-
ხვით წყლით სავსე ჭიქას იღებს და სვამს. შემდეგ ხროტინს
იწყებს. სცენაზე ჩნდება მწვანე ბუზები.)

(მოულოდნელად სცენაზე ისმის სატირის ყვირილი:)

– ეს ტყუილია! ეს ტყუილია!

(ის ფეხზე დგას, შემდეგ უცბად მოწყვეტით დაეცემა, გულზე
ხელს მოიკიდებს, ძლივს სუნთქავს. მისტერია თავდება. ყველა
ფხიზლდება. ყველას შეცბუნებული სახე აქვს, რადგან ყველა

მიხვდა, რომ მკვლელი სატირია. სატირი ნელ-ნელა გონს მოდის და ცდილობს გაწონასწორებული, მშვიდი ხმა ჰქონდეს. ემანუელს გამომწვევი სახით უყურებს და იცინის. ეს სიცილი ავისმომასწავლებელი სიცილია.)

– სატირი ევრიდიკეს:

– მან ეს მისტერია, არა! ეს ჰალუცინაცია გამოწვია, რათა მე დამადანაშაულოს.

შენ! შენ ხარ დედა, –

შენ უნდა შთაგონო შენ შვილს,

რომ ზმანება ავმა ძალამ შთაგვაგონა,

რომ ჩვენ მივსტირით შენს მეუღლეს,

ჩემს საყვარელ ძმას,

– ხელოვნების სამეფოს ყოფილ მეფეს,

თვითმკვლევლობით რომ დაასრულა სიცოცხლე.

(ევრიდიკე თანაგრძნობით ხელს მოხვევს. ყველა სხვა პერსონაჟი გახვევებული და გაოგნებულია და დაბნეულნი ტოვებენ დარბაზს.)

სურათი III

(სცენაზე მოსჩანს დედოფალი ევრიდიკეს საძინებელი ოთახი. მოსჩანს საწოლი, რომელზედაც მოსჩანს ავხორცული ღამის ნაკვალევი. ზეწრები, საბანი და ბალიში მიმოფანტულია საწოლზე. დედოფალი სარკეში იხედება, თმებს ისწორებს. შემოდის აფროდიტე. ვხედავთ, თუ როგორ გაცხოველებით საუბრობენ. აფროდიტე უთითებს ფარდაზე. დედოფალი უხმოდ თავს დაუკრავს და აფროდიტეც ფარდის უკან იმალება.)

დედოფალი აშკარად ელოდება ემანუელს. ის სარკეში იხედება და ისე წარმოთქვამს:)

– შენ დაიბადე ასე უცხო

ავადმყოფობასავით საშიში, და მიუღებელი,

თვით მე, დედაშენს, არ ძალმიძს შენი მიღება

და აბა სხვას, – სატირს,

ეს როგორ მოვთხოვო₁₀₀.

(ამ დროს თითქოს ქარიშხალი ამოვარდა, ისე იღება კარი და ემანუელი დგება დედის წინაშე. თითქოს ეს ტექსტი ჩაესმოდა, ისე აგრძელებს საუბარს:)

– დედა, მე ვარ, უცხო? შენი შვილი?

– ღვთაებრივი პოეტის შვილი?

შენ დაივიწყე მამის სიყვარული,

და მისი ღვთაებრივი სამყარო ამ ბნელ სამყაროზე გასცვალე.

ის კი მკვლელია! მკვლელი!

შენ დაგავიწყდა შენი ადგილი,

(პაუზა):

– შენ ხომ

ძველი ხელოვნების სამყაროში

ოქროსფრად, მზისებრ ანათებდი.

აზრი – შენი არსებისა არ იკარგებოდა.

ეხლა კი ყველაფერი წამიერობისთვის მუშაობს,

– საპალნე ვირის სამუშაოა,

დღევანდელი ბრბოს, მონა-ხელოვანთა სამუშაო.

მათი ქმნილებანი ქვიშის მარცვლების უსახო თამაშია.

უბრალო ნიავესაც კი შეუძლია ქვიშის სურათი

წაშალოს და დაგვაგიწყოს.

დედავ! ჩემო სიცოცხლე, ჩემო...

ემანუელო შეყოვნდება:

რა აზრი აქვს ცხოვრებას, – თუ მას ხელოვანის სული

არ შთაბერავს ღვთაებრივ სუნთქვას,

და ცის ლურჯი ნაჭრით არ შეუკერავს

თავისს სამოსელს,

შენ კი...

(ამ დროს ფარდა შექანდება. ემანუელო აღელვებული მივარდება, მაგიდაზე დაგდებულ დანას ხელში აიღებს და ჩაასობს ფარდის უკან მდგარ დამალულ აფროდიტეს, რომელიც მოცეკვილი დაეცემა.)

ყვირილსა და ხმაურზე სატირის ამაღლა – პანი, ბაკქი ქალები – შემორბის. ორი თუთიყუში (გარდასახული აპოლონი და დიონისე), მეფის მეგობარი პოეტები და მწერლები, ეროსი ფსიქია, ქრონოსი, ჰელიოსი, თანატოსი...

სატირი, ახლანდელი მეფე (მრისხანედ ხელს იშვერს ემანუ-ლოსკენ):

– აი, მკვლეელი!

ემანუელო (შეშლილი სახით):

– აა, ვირთხებო, ყველანი აქა ხართ.

ბაქნი-ბუქნი! ბაქნი-ბუქნი!

რა გინდათ ჩემგან? შემჭამოთ?

გამანადგუროთ? თვალები ამომთხაროთ?

თუ ჩემი სული აიღოთ ვით სათამაშო.

(სატირი თითს იშვერს ემანულოსკენ)

– ემანუელოს! (დაცინვით.) მწუხარებისა და ცრემლის პრინცი!

ემანუელოს:

– მკვლეელი არა ვარ, არ ვიღებ

ამ სამყაროს, ამ დროებას.

(ქრონოსს მიმართავს. ეს უკანასკნელი სახეზე ხელებს აიფარებს.)

– ამ დროების აყროლებულ ნაერთს

ვირთხის, ბუზის, გველისა და

იღბლიანი მაიმუნისას.

განა ეს იყო ჩემი ოცნება?

ვარსკვლავთმტვერის სიახლოვე,

სამყაროს სიმაღლე ცათამდე ასული

და სულის სიწმინდე ყვავილებით გამოხატული,

და ეს ყველაფერი დაინგრა.

ა-ღა-რა-ფე-რი ა-ღარ არ-სე-ბობს!

მეფე – სატირი:

– რას ჩმახავ?

მოკალი და პასუხი ავე!

სამყარო არსებობს, არსებობს ცხოვრება

(დედამისს უახლოვდება, ის ხელს ჰკრავს.)

არსებობს მისი გამოხატვის საშუალებაც

და შენ ის უარყავი.

შენ უარყავი თანამედროვე სამყაროს მოდელი,

უარყავი ჩვენი ძვირფასი აფროდიტე

და შენ, (ხელს იშვერს მისკენ)

შენ პასუხი უნდა აგო!

დელოფალი-ევრიდიკე შეძრწუნებული:

– ოჰ! ეს როგორ იქნება,

მან უნებურად მოკლა თავი, ეგონა.

მეფე-სატირი:

– კარგი გამართლებაა, ჩემმა ღმერთმა.

ამ ჭკუათხელს მთელი სამყარო თავგად ეჩვენება,

გიუბსაც აქვთ თავიანთი ლოგიკა.

(ყველანი შეწუხებულნი, თავზარდაცემულნი იკრიბებიან დაჭრილი აფროდიტეს ირგვლივ:)

მეფე-სატირი:

– მშვენიერებავ, შენ იღუპები!

დელოფალი-ევრიდიკე:

– შენ, ჩემს გამო დაიღუპე მშვენიერებავ!

ემანუელოს, რომელსაც ეგონა, რომ ბიძა მოკლა, გაოგნებული ყვირის:

– ეს ხომ ქრონოსის ბრალია! ქრონოსის!

ის ხმალს იშიშვლებს, ქრონოსს, რომელსაც თავზე პირბადე აქვს ჩამოცმული. ემანუელო ხმალს შემოჰკრავს. მოჭრილი თავი ძირს დაეცემა გრუსუნით... ყველა დაინახავს, რომ ეს მეღუზა გორგონას თავია (ფრიდრიხ ნიცშეს სახე უნდა ჰქონდეს).

ყველა ერთხმად:

– მეღუზა გორგონა! მეღუზა გორგონა!

ემანუელო სახეზე ხელებს აიფარებს:

– ყველას გაქვავება გველის!

ჩნდება ათენა-პალადა დაცინვით:

– განა ყველაფერი უკვე გაქვავებული,

გარდასახულნი და გახვევებულნი არა ხართ!

განა დიონისესა და აპოლონის თუთიყუშებად

ქცევა არ გენიშნებათ!
აფროდიტეს მეტამორფოზა?!
ან, ფსიქეას სიგიჟე?!
სამწუხაროდ, ყველა ვიცნობთ თანამედროვე
ხელოვნების სამეფოს,
და მას თვალი უნდა ვუსწოროთ!
ემანუელს – სიმართლის კიდევ ერთი ნაწიბური
– ქრონოსის მოკვეთილი თავი!
ათენა-პალადა ჰქრება...

(ფარდა ეშვება)

V მოქმედება ზმანება

სურათი I

(ისევ ძველი სცენა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მედუზა გორგონას გასისხლიანებული თავი (რომელსაც ფრიდრიჰ ნიც-შეს სახე ექნება), ვით სურათი ჩამოკიდებულია ზემოთ, სცენის თავზე. სცენაზე, როგორც მოჩვენება, ჩნდება ორი აფროდიტე, მწვანეკაბიანი აფროდიტე დანას ჩაასობს პირველს, და მოსჩანს თუ როგორ სწყდება პირველ აფროდიტეს მარგალიტის მძივები და წკრიალით მიწაზე ეცემა. ეს მომენტალურად ხდება, როგორც მოჩვენება. სცენაზე მოსჩანს, რომ პირველ აფროდიტეს გულმკერდიდან ცისფერი სისხლი სდის. მას გარს ახვევია მეფე-სატირი, დედოფალი-ვერიდიკე, ეროსი, შეშლილი ფსიქეა, რომელსაც ხელები შეკრული აქვს. აქვეა დიონისე და აპოლონი თუთიყუშის ნიღბებით. აქვეა თანატოსი, მოკუნტული და შეშინებული, აქვეა ქრონოსი (მას თავი არა აქვს).

ეროსი სასოწარკვეთილია. ის დაიჩოქებს, დედას ნაზად ეხვევა, უკოცნის ხელებს, შემდეგ ლოყაზე ლოყას ადებს და ქვითინებს.)

აფროდიტე მისუსტებული ხმით:

ადამიანის ხმაღს – ემანუელს ხმაღს, არ ძალუმს გამანადგუროს.

ეს მე, – მე თავად დამიტევა სიყვარულმა და ამიტომაც ვკვდები დედამიწისთვის.

ახლა კი ოლიმპოს მთას უნდა მივაშურო,

რათა ღვთაებრივი ძალა დავიბრუნო.

(სატირს მიმართავს:)

– შენ ქრონოსის მეშვეობით შემცვალე.

ეხლა ყველაფერი სასაცილოდ მეჩვენება.

მეჩვენება მე, გეჩვენება შენ, გვეჩვენება ჩვენ.

მე დაკვარე ჩემი მიზანი,

სამყარო სუნთქავს, მაგრამ მას
აღარ ახლავს ჩემი აღფრთოვანება,
ყველაფერმა დაკარგა აზრი.
სათნობითა და მშვენიერებით
აღარ სუნთქავს სამყარო,
ყველაფერი დაიფანტა, და ღვთაებრივი აზრიც სადღაც გაჰქრა.
ბალახი ამოდის – მაგრამ რატომ?
მზე ანათებს – მაგრამ რატომ?
თოვლი მოდის – მაგრამ რატომ?
წვიმა მოდის – მაგრამ რატომ?
ბავშვი იბადება – მაგრამ რატომ?
ყველაფერი მიმდინარეობს, მაგრამ დღეს ეს ხომ არაფერია,
ყველაფერი ცალ-ცალკე, თავისთვის ჩაკეტილია.
და ასე, არარავდება ყველაფერი.
მზე აღარ არის ნათელი.
მას მოაქვს სიბნელე!
მას მოაქვს სიბნელე!
მას მოაქვს სიბნელე!

(აფროდიტე ხელებს სახეზე აიფარებს და ქვითინებს. შემდეგ
ვხედავთ ჰაერში როგორ მიფრიალებს აფროდიტეს მჭვირვალე
ზღვისფერი კაბა ნელ-ნელ ცაში. ეკმენიდეები ამალღებულნი სევდი-
თა და ტირილით:)

– აფროდიტე ოლიმპოზე ასულა!
აფროდიტე ოლიმპოზე ასულა!

– – – – –

ისმის შედახილები (თანატოსი, ქრონოსი, დიონისე, აპოლონი,
ფსიქეა,...)

– მშვენიერების ქალღმერთმა დაგვტოვა.
– სათნობის ქალღმერთმა მიგვატოვა
– სიცოცხლის სიხარულმა ზეიმი შეწყვიტა.
– დედამიწა გაბერწდა და უსახური შეიქმნა.

(ეროსი, მწუხარე სახით:)

– დედავ, ჩვენ ხომ დედამიწაზე წარმოგვზავნეს,
რათა ხელოვნების სამეფო ავალორძინოთ.

ჩვენ ხომ ერთნი ვართ! – მშვენიერება სიყვარულია,
სიყვარული კი სათნობა,

და ყველაფერი ერთად კი თავისუფლება.

ადამიანი თავისუფლად მაშინ სუნთქავს,
როცა სიყვარული, მშვენიერება და სათნობა
ფერხულში არიან ჩაბმულნი.

უკვდავებისა და სიყვარულის უარყოფა?

როგორ უნდა უარყო სიუხვე, და სიბერწეს ჩაეჭიდო?

ზღვას ზურგი აქციო, და ჭაობში ჩარგო თავი?!

მე დაუძღურდი! და ვგრძნობ,

როგორ ნავლდება ჩემში სიყვარულის ღვთიური ძალა.

დედის წასვლამ ძალა გამომაცალა!

(სცენას ყველა დაღონებული ტოვებს. აფროდიტეც აღარ
სჩანს. ეროსი თავისთვის:)

– ფსიქეა და ემანუელო

ამ უსახური და უაზრო დროების მსხვერპლია.

დედის სიზარელი ბრძანება და უაზრო მოთხოვნა

ემანუელოსა და ფსიქეას სული დამეკნინებინა,

ფსიქეას, (მეშინია და მრცხენია კიდეც ამას რომ

წარმოვთქვამ),

ამ ცის, ღვთის ღიმილის დესანტს დედამიწაზე

ავხორცობა ექადაგა და ეს, თავისუფლებად მოენათლათ.

ფსიქეამ წონასწორობა დაკარგა!

II სურათი

იგივე სცენა.

– ეროსი: –

ჩვენ სიყვარულს სიხარული აღარ აგვირგვინებს.

თოვლის ფიფქი – ფსიქეა – ამ უზნეო სამყაროში გადნა და
ორთქლად იქცა.

მჭკნარი ფოთოლი – ფსიქეა დაიმსხვრა

ის განქრა დედამიწისთვის.

ეხლა მეც ოლიმპოს მთას უნდა მივაშურო,

და გავიგო როგორ უნდა გააგრძელოს კაცობრიობამ არსე-
ბობა.

თუ დედამიწაზე აღარ იარსებებს დედა,

– ღვთაებრივი აფროდიტე,

მშვენიერების, სათნობისა და ჰარმონიის დედა.

თუ გაზაფხული ისე მოვა,

რომ ადამიანის სულს არ მოეხმება,

და ათიათასი ძაფით არ დააბამს სამყაროს გულში,

თუ ზეცა ასეთი ცისფერი ამაოდ ცისფერობს,

თუ მზე ანათებს და ეს სინათლე

ადამიანთათვის სიბნელე გახდა,

თუ ყვავილები სასაცილოა,

და მათი სურნელიც სიცილის მომგვრელი,

მაშინ, ამ სამყაროში,

ჩემთვის ადგილი აღარ მოიძებნება.

მე თითოეული არსების გულში ვმღერი,

ღღეს თავის გულს არავინ უგდებს ყურს.

რადგან მათი სული გახევებულია,

და ის უაზრო, და ცხოველურ ჟინს აუტაცნია.

ოდესღაც ღვინოში ვინთებოდი,

და მახსოვს ადამიანებს თრობითა

და საღვთო ბილიკებით როგორ აღვიტაცებდი ცაში.

რალაც უნდა შეიცვალოს სამყაროში,

პასუხი ღმერთებმა უნდა გვიკარნახონ

(ამ დროს ფსიქეა შემობრის, ტანსაცმელი ნახევრად
შემოფლეთილი აქვს, ხელში ყვავილების თაიგული უჭირავს, მა-
გრამ ხელები შებოჭილი აქვს. შებოჭილ ხელებს ხან ზეცისკენ
აღმართავს და იქით იმზირება და ქვითინი აუვარდება, ხან დაბ-
ლა იმზირება და იცინის. ეროსი გაშეშებული დგას, მეტისმეტად
აღელვებულია. მწუნარებისგან გულმოკლული, თავს დაბლა დახ-
რის მის წინაშე. უცებ ფსიქეას უწინდელი, სერიოზული სახე უბ-
რუნდება, წყნარდება. თუმცა გონიერი სახე აქვს, მაგრამ ერთიანად
თრთის და ისე მიმართავს ეროსს, თან ცრემლები ჩამოსდის:)

– შენ აღარ შეგწვევს გააერთიანო საგნები და ადამიანები,
სად დაიკარგა შენი ძალა?

სად გაჰქრა შენი ოქროვანი ფრთები?

მხოლოდ სექსი, მხოლოდ სექსი შეგიძლია

ჩაუნერგო ადამიანებს.

სად დაიკარგა შენი ღვთიური ნიჭი?

სად დაიკარგა შენი ერთგულება?

სად დაიკარგა შენი თავგანწირვა?

სად დაიკარგა შენი უანგარო გრძნობა?

სად დაიკარგა შენი ნიჭი სიყვარულისა?

სად დაიკარგა შენი ნიჭი თანალმობისა?

შენმა სუნთქვამ სხეულად მაქცია –

ამდენი საუკუნის განმავლობაში ეს არასოდეს მომხდარა.

მე ხომ ღვთიური სული მაქვს...

მე ვარ ხელოვანის მარტობის გათოშილობა და ერთადერ-
ობა,

მე ვარ მჭკნარი ფოთოლი, სევდით რომ შევერწყმი კოსმოსის
უსარულობას.

მე ხომ...

(ხმა უწყდება. აკანკალებული, ათრთოლებული ხმით:)

ჭეშმარიტება ვნებით მიიწვდომება?

ეს აფროდიტეს ახირებაა.

სატირის უგუნური მოთხოვნა (ტირილი აუვარდება).

– შრ! შრ! შრ! მე მჭკნარი ფოთოლი ვარ და უნდა განვქრე...

ცას შევუერთდე და ღმერთებს ვეახლო.
 (ემანუელო დაიჩოქებს და ისე წარმოთქვამს მონოლოგს:)
 – რად არ შემიძლია ისევ ერთ გზას გავუყვე მხოლოდ?
 რათა ერთ გზაზე ვიდოდე, მე – ხელოვანი და ჩემი სული...
 (ხმა უწყდება).
 ფსიქეა... ეროსი... აპოლონი... დიონისე... ქრონოსი... აფროდიტე...
 ევრიდიკე და ჰარმონიულ მთელს ვქმნიდეთ.
 (პაუზა.)
 (ემანუელო დაღლილი და სევდიანი ხმით:)
 – რად არ შემიძლია ისევ ერთ გზას გავუყვე მხოლოდ?
 ერთი მზე, ერთი ვარსკვლავი ან ყვავილი მე შევითვისო.
 (ისევ პაუზა.)
 – რად ჩავიკარგე სამყაროს უსასრულობაში?
 რატომ დაკარგა აზრი ამ სამყარომ?
 რატომ ცვივა მარცვალის ასე უაზროდ,
 ასე უაზროდ, ამ სხვადასხვა ნიადაგებზე?
 სად? სად გაჰქრა მიწა ასე მყარი,
 საიდანაც ამოიზრდება ერთი ხე,
 ან ერთი ყვავილი,
 ან სად არის ნაყოფი,
 სიცოცხლის საზრისს რომ ატარებს?
 რატომ გაბერწდა ხელოვნების სამეფო?
 რატომ გაბერწდა ეს დედამიწა?
 საით წავიდეთ?
 (სატირი და მისი ამაღლა ბაქკი ქალები, პანი, დიონისე, აპოლონი, ოთხი პოეტი და კრიტიკოსი ემანუელოს გარს შემოეხვევა. სატირი დაცინვითა და ღრიალით:)
 – „რად არ შემიძლია ისევ ერთ გზას გავუყვე მხოლოდ?
 – საით წავიდეთ?
 (მიმართავს ემანუელოს:)
 – რაოდენ სასაცილოა ეს კითხვები?
 (დაცინვით:)
 შენს გამო დაიღუპა ძვირფასი აფროდიტე.

შენს გამო ფსიქეა გაგიჟდა!
 შენს გამო ეროსი ტოვებს ხელოვნების სამეფოს!
 შენს გამო...
 შენს გამო იღუპება ხელოვნების სამეფო!
 (ფსიქეა წინ წამოიწევა და ისევ ქვითინებს. ხელებს ზევით ალაპყრობს, შემდეგ ემანუელოსკენ ალაპყრობს ხელებს. ემანუელო ფსიქეას შებოჭილ ხელებს შეუხსნის. ემანუელოც ტირის და თავზე კოცნის და უყვავებს. ფსიქეა ხან ტირის, ხანაც ჩერდება და ყვავილებს სათითაოდ აძლევს ემანუელოს. უცებ წყნარი ხმით მიმართავს ემანუელოს:)
 – ემანუელო, მომენატრა შენი წმინდა გულის ლოცვა გახსოვს?!
 (წარმოთქვამს ნელი, ნარნარი ხმით, მლოცველის პოზაში დგება და ხელებს ცისკენ ალაპყრობს:)
 ემანუელო:
 – რად არ შემიძლია მიყვარდეს ყველა?
 ყველა, ვით ერთი!
 რად არ შემიძლია ჩემი გრძნობა ისეთი იყოს,
 როგორც მზის სხივი!
 (ემანუელო:)
 – ფსიქეა!
 ჩემო უკვდავო სულო!
 ჩვენ ხომ მთელ კოსმოსს გარემოვაცავთ,
 რადგან ვიყვარებთ განურჩევლად ყველაფერს,
 რაც არსებობდა, რაც არსებობს და რაც იარსებებს.
 (უცებ ფსიქეას ხელს გაუშვებს და მკაცრად ყვირის:)
 – ჩვენ არ შეგვიძლია სიძულვილი!
 ბოროტების არსებობა ვერა და ვერ ვირწმუნეთ.
 ბოროტება... (შეშდება, ცრემლები ჩამოსდის.
 ემანუელო მკაცრად მიმართავს სატირს:)
 – შენ! შენ! შენ! – მოეგლინე ამ სამყაროს,
 ვით ჭკუის სიბერწე, სულის სიღატაკე და უღმერთობა.
 შენ აიძულე გზააბნეული ხელოვანი,
 თავად გამოეხმო სასჯელი ღვთიური ცეცხლი

ეს მზის ღიაობაში დარჩენაა!
 ეს მზის ღიაობაში დარჩენაა!
 და ნაწარმოების მაგივრად მიგველო
 ქმნალობის პროცესი!
 ქმნალობის პროცესი!
 ქმნალობის პროცესი!
 არასოდეს მიგველო აზრი,
 – ეს საფუძველთა საფუძველი.
 არასოდეს შეგვეგრძნო სიყვარული
 სამყაროს სიცოცხლის ეს წვენი.
 და ასე, ხრიოკ უდაბნოდ გადაგვექცია
 ოდესღაც აყვავებული კოსმოსი.
 (თითქმის ყვირილით:)
 არასოდეს მომხდარიყო
 ჯვარცმის შემდგომ აღდგომა.
 დაუსრულებელი ჯვარცმა!!!
 (პაუზა:)
 – შენ დაჰბადე ხელოვანი – მკვლელი!
 – შეიცან თავი შენის უარყოფელი
 სიმართლეს ფარდა უნდა ავხადო!
 (სცენაზე შემოდის ჰელიოსი პირბადით. ემანუელო მიმართავს
 ჰელიოსს:)
 – ჰელიოს, ვინ გაიძულა ასე მოქცეოდი ხელოვნების სამე-
 ფოს?
 ჰელიოსი:
 – ხელოვნების სამეფოში მზე და სიკვდილი მუდმივ ქორწი-
 ნებაშია
 სატირმა კი, მზე და სიკვდილი დაგვაცალკავა.
 მზე, რომელიც დედამიწაზე ანათებს, დედაჩემია.
 მე მეორე მზე ვარ, ფილოსოფოსის და ხელოვანის
 სულისმიერი მზე.
 ჩემს გარეშე არ იბადება არც ფილოსოფიური აზრი
 და არც ხელოვანის შთაგონებული ფრაზა.
 სულისმიერი გზა ჩემით ნათლდება.

ჩემმა მარტოდყოფნამ აპოლონს ღვთიური სინათლე წაართვა
 და ეს მადლმოსილი აპოლონი თუთიყუშად იქცა.
 ასე იქცა ჩემს გარეშე თანატოსი არარად,
 სიმხდალისა და შიშის პაწია ფინიაღ.
 აქამდე ხელოვნების სამეფოს
 ხელოვნური განათებით ანათებდნენ!!
 დღეს ემანუელომ გამომიხსნა! –
 ორფეოსის, მკვლელი – სატირია!
 ყველა ერთხმად:
 – ეს დაუჯერებელია და სამარცხვინო!
 დღევანდელი ხელოვნების მეფე –
 სატირი პოეტი-მკვლელია?!
 ის ხომ ორფეოსს, ამ დიდ პოეტს
 თვითმკვლელობაში ადანაშაულებდა,
 და კაცობრიობის დამახინჯებაში ბრალს სდებდა.
 (ყველანი ერთხმად მრისხანედ და მწუხარედ:)
 ჩვენ შევიცვალეთ!
 ჩვენ სუნთქვა შევწყვიტეთ!
 და ხელოვნების სამეფოც შეიცვალა!
 ემანუელო:
 – სატირმა ძმა მოკლა!
 ძმა, სამყაროს ღვთაებრივი სილამაზითა
 და სიცოცხლის ღიადი აზრით, რომ ავსებდა,
 დღევანდელიობამ ქვა პურად აქცია, –
 თქვენ ხომ ყველანი პური ხართ.
 აპოლონი – პური, ქრონოსი – პური, ეროსი – პური,
 აფროდიტე – პური, თანატოსი – პური, დიონისე – პური.
 მე – ემანუელოს ვერ მაქციეს პურად.
 მე დამნაშავე ვარ,
 წინ უნდა აღვდგომოდი
 ბიძის ბოროტებას,
 თანატოსის საუბრისათვის ყური უნდა დამეგდო,
 სინამდვილისთვის თვალი უნდა გამესწორებინა.
 ბოროტება და სიკეთე არ უნდა გაგვეიგივებინა.

(პაუზა. ემანუელი მეტისმეტად მწუნარედ:)

– მე ხომ შემეყარდა წყვილით მოსილი ღამე,
სულის სიშიშვლემ რომ გამოაბრწყინა,
სულის სიშიშვლე – ფსიქა შეიშალა!
(თავზე ხელებს შემოიდებს.)
ჩვენ ისევ ძველ გზას უნდა გავუყვით.
ხელის ცეცებით, სიბნელეში,
ღვთაებრივი ფარდით დაფარულ გზას,
ადამიანის, თავისუფალი არჩევანი მაშინ აღსრულდება,
როცა ღმერთს მინდობილი ვმღერით და ვაზროვნებთ.
გულის ხმას უნდა მივყვით.
რადგან, მხოლოდ გულს ძალუძს გაამთლიანოს სათქმელი,
და ერთ უჩინარ, სასიცოცხლო ძარღვად აქციოს.
მხოლოდ გულით ხილული გვაბრუნებს ღმერთთან,
მხოლოდ გულს ძალუძს ღმერთის დიად მესხიერებაში

ჩაგვწეროს

და გვასწავლოს ხედვა.

ემანუელი:

– შენი დრო ამოიწურა. დრო ყველა საგნის არარად

მქცეველი

და შენ უნდა განჰქრე! განჰქრე,

(ამ დროს სატირი ხმაღს იშიშვლებს:)

– აი, ამ ხმლით შეგმუსრავ!

თუმცა არა, შენივე იჭვით აღესრულები!

დატოვებ დედამიწას და დატოვებ ხელოვნების სამეფოს.

შენ! (შემზარავი ხარხარით) შენ ხომ შედეგრი ვერ შექმენი,

იჭვმა და სიბრძნემ

ლაღად და თავისუფლად წერა მოგაშლევინა.

ხა! ხა! ხა!

(ემანუელი გამჭოლი მზერით შესცქერის.)

დღეს დიდ ხელოვანთა მღუმარების მიზეზი

თეორია ბოდვას! – თეორია ჩინია!

გამოთქმული აზრი დანაშაული!

გრძნობა – დანაშაული! ქმედება – დანაშაული.

დასრულებული ნაწარმოები დანაშაული.

მედუზა გორგონამ ჩემში მოკლა ნაივური ხელოვანი.

(ნერვიული სიცილი, წყვეტილ-წყვეტილი:)

დღეს ხელოვანის

იდეა-ფიქსედ შეიქმნა,

– ერთგულების გზის უარყოფა.

მაგრამ, დღეს თვალეი ამეხილა,

ჩემში, შიგნიდან ვხედავ, რომ ყველაფერი ანათებს.

და ეს სინათლე მასწავლის სიტყვებს, და გონებას მიწვავს
სიტყვა – ცეცხლი, – ღმერთის სიყვარულთან, რომ დამაბ-
რუნებს.

ამ ცეცხლის შემწეობით უსაზღვროდ იზრდება ჩემი სიყვარული.

და ჩემს ბრმა თვალეებს ხედვა უბრუნდება¹⁰¹.

(ჩურჩულითა და დაცინვით):

– მედუზა გორგონას შეგონებანი:

– ღმერთისადმი მინდობა ცოდვა და დანაშაულია!

უნდა ვუარყოთ ნიჭიერება, უფსკრულის თავზე,
უაზროდ რომ შეგვაყოვნებს.

გვიან მივხვდი, ტრადიცია კაცობრიობის მიერ
ნაპოვნი ხის ნერგია,

რომლის გარეშეც ჩვენი სიცოცხლის ყლორტები,
კვირტები, ყვავილები თუ ნაყოფნი ვერ გაიზრდება.

ხელოვნება ღვთის რწმენის გარეშე აზრს კარგავს.

და სწორედ ტრადიცია ღვთის რწმენასთან,

მისასვლელი გზის მონახაზს გვჩუქნის.

ადამიანს თავისუფლება სჭირდება, –

სულს, რომ ზრდას ასწავლის,

და მას აზრისთვის, მშვენიერებისთვის, სიყვარულისთვის

და სათნოებისთვის აღძრავს სამოქმედოდ,

მხოლოდ მაშინ აღორძინდება დედამიწა.

(ხელს მიიდებს გულზე)

როცა ღვთაებრივის სუნთქვა გაგვიძვება, –
და იღუმალი ფარდის წინ მდგარი
სიხარულისგან თრთი და კანკალებ,
მაშინ იბადება შენში სულისმიერი გზა,
ყვავილებით რომ მოსავს კაცობრიობის
ტანჯულ სულსა და სხეულს.

(ემანუელო ხმალს აღმართავს. ყველას ერთხმად გმინვა აღ-
მოხდება. ეროსი, ფსიქეა, დიონისე, აპოლონი, თანატოსი, ქრონო-
სი, ერინიები, ევმენიდები...)

ემანუელო:

– იქნებ, შენ გგონია, რომ შენს ხერხს –
ან, ძალას გამოვიყენებ?!

არა, მე ხმლით არ შეგმუსრავ.

მხოლოდ, ჩემი ცნობიერებიდან განვდევნი შენს სახებას.

შენ არ არსებობ! შენ არ არსებობ!

შენ ილუზია ხარ! შენ ილუზია ხარ!

ჩვენში უნდა დავძლიოთ ის, და ხელოვნების სამყაროს...

(ყველანი თვალყურს ადევნებენ დაწყებულ ორთაბრძოლას.
შემდეგ ემანუელო ხმალს გადააგდებს, ხელებს სახეზე აიფარებს,
– ნელა დაუშვებს ამ ხელებს, – ვხედავთ მის ცრემლიან სახეს,
შემდეგ ხელისგულებში მოიმწყვდევს საფეთქლებს და მკაცრად
და დაჟინებით უმზერს სატირს.

სატირს ხმალი უჭირავს, მაგრამ თრთის და ვერ უძლებს
ემანუელოს მზერას. საბოლოოდ ის დაიჩოქებს, გულზე ხელს
მოიკიდებს, პირიდან სისხლი წამოუვა და კვდება.

უმაღლესი ვერიდიკეც მიწაზე ეცემა და კვდება. სცენა ბნელდება.
ისმის რაღაც ხმები... თითქოს სცენას ქარიშხალმა გადაუქროლა,
სცენა ნახევარ განათებით. ყველა გარდაისახა. ისევ ძველი, წინან-
დელი სახით. ყველა ერთმანეთს ხელს ჩასჭიდებს:)

– ჩვენ ოლიმპოზე უნდა წავიდეთ,

ცთომისაგან განვიწმინდოთ

ღვთაებრივი ძალა ხელახლა მოვიპოვოთ,

და ახალი გზაც გამოჩნდება.

(ყველანი ზეცისკენ მიფრინავენ. ზემოთ მოსჩანს ფსიქეას სა-

მოსელი, ნელ-ნელა როგორ ადის ზემოთ. ვხედავთ ხან დიონისეს
ტანსაცმელი როგორ ადის ზემოთ, აპოლონის... თანატოსის ცელი
ზემოთ ადის... ქრონოსის საათი ზემოთ ადის...)

ერინიები:

– შენ შენი ვალი აღასრულე,

და დასძლიე შენში ბოროტება,

სამყაროს რწმენა, სინათლე, სიყვარული

და სიბრძნე დაუბრუნდება.

(ევმენიდები წკრიალა, ნარნარა ხმებით:)

– შენ ემანუელოს, შენ იქეცი მზის სხივად,

შენ განაცალკავე ბოროტება სიკეთისაგან

და შენი ოცნება აღსრულდა.

შენ ხელახლა გააერთიანებ ყველას,

ვინც ხელოვნებას ემსახურება.

შენი გული, შენი წმინდა გული და ნება

ააღორძინებს ხელოვნების სამეფოს,

და დედამიწაც სუნთქვას დაიწყებს.

(ზეციდან მოისმის, ერთხმად როგორ მღერის ფსიქეა, აპოლო-
ნი, დიონისე, თანატოსი, ქრონოსი...)

– ემანუელოს!

შენ სევდას არა აქვს დასასრული,

შენ სევდას არა აქვს დასასრული,

შენ სევდას არა აქვს დასასრული,

და მას ვერ დაადუმებ

და მას ვერ ჩაკლავ.

ეს არის, რაც გაფორმებს,

ეს არის, რაც გამოძრავებს,

ეს არის, რაც გესურვება.

ასე სევდის უსაზომობა ეფინება შენს თვალებს,

შენს გულს, შენს ხელებს, შენს თმებს.

ასე ყვავდება სევდაში ჩაძირული შენი ბაგე

და ტკივილის ნაცვლად

ყვავილების მდინარედ გადმოინდება.

ყვავილების მდინარე – ასე მოსჩანს შენი გზა.

შენი გზა – უკუქცევით ჯვარცმული ქრისტე!
ჯვარცმული ქრისტე, ჯვარცმული ქრისტე!
და ბოლოს ქრისტე აღვამილი და ნათლით მოსილი,
და მის მიერ რწმენით, სიკეთით, აზრითა და სიყვარულით
გაბრწყინებული სამყარო.

ფარდა ეშვება

ფარდის წინ ფსიქეას ლანდი მოსჩანს თეთრი მბრწყინავი
სამოსით, თავზე მჭკნარი ყვავილების გვირგვინი ადგას, შუბლს
მბრწყინავი ვარსკვლავი უნათებს და მთრთოლვარე ხმით წარ-
მოთქვამს:

- სიწმინდე! – არა ნილაბს დაპირისპირებული და დამიზნე-
ბული!
- სიწმინდე, – ცის სიყვარული!
- სიწმინდე! – პოეტის გულით მზის ნათელის მოხილვა და
ამბორი!
- სიწმინდე! – აზრის სიმაღლით ღვთაებრივთან საუბარი!
- სიწმინდე! – პოეტის ცის ვარსკვლავად ქცევა!
- სიწმინდე! – ღვთაებრივის დაუსრულებელი წყურვილი!

კომენტარის უმსაგალო

ერთგან ტარკოვსკი წერს:

– „სიმბოლო შეიძლება გაიშიფროს, მისგან შეიძლება ამოვი-
ლოთ გარკვეული საზრისი. იქნება უკეთესია ვთქვათ „ფორმულა“,
ხოლო ხატი არ არის ისეთი რამ, რაც შეიძლება მოაზრებულ
იქნეს ინტელექტუალურად, მას შეიძლება მხოლოდ მიწვდეს. იგი
მხოლოდ შეიძლება შეიცნო, განიცადო... და ეს იმიტომ რომ არსე-
ბობს ინტერპრეტაციის ურიცხვი შესაძლებლობა. ხატი გამოხატავს
ბმების შესაძლებლობათა უსასრულო რაოდენობას, თვით ამ ხატსა
და აბსოლუტს შორის“.

მართალია, ამ დრამაში მე შევეცადე ინტერპრეტაცია გამეკეთე-
ბინა ჩემი ტექსტისათვის მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს
დროში ახალგაზრდობამ, საბედნიეროდ არა ყველამ დაკარგა ინ-
ტერესი ლიტერატურისადმი, საზოგადოდ ხელოვნებისადმი, რადგან
ის ტელევიზიის იაფფასიანმა ტელესერიალებმა და კომპიუტერზე
მიჯაჭვულობამ სულიერად გააბერწა. და თუ ადრე, სხვა დროებაში,
მე გავიცინებდი კიდევ ავტორის მიერ თავისი ნაწარმოების ამგვარ
ინტერპრეტაციაზე „დღეს“, მე ვცდილობ „ჩვენი დროის“ დასძულ
კითხვაზე პასუხი გავცე.